

გოგიატა მელიქიძე

სამშობლოსათვის

თბილისი.
2008 წ.

წიგნი ციხე-საპყრობილეში გამოტარებული სამშობლოზე ფიქრია. იგი ნაწილია იმ დიდი მთლიანობისა, რომელსაც სამშობლოსათვის სიცოცხლე ჰქვია.

ISBN 978-9941-0-0575-6

წ ი ნ ა თ ე მ ა

ჩვენთვის ესოდენ კარგად ნაცნობი სიტყვა-სამშობლო, იმდენად ამაღლებული და განსაკუთრებული ფენომენის აღმნიშვნელია, რომ ვლებრივ მეტყველებაში ამ სიტყვას ხშირად არ ვახსენებ. მაგრამ მისი განცდა ყველგან და ყოველთვის თანა გვდევს. უფრო მეტიც, ბევრი ჩვენთაგანისათვის სამშობლოზე ფიქრი სიცოცხლის არსია და მთელი ჩვენი ცხოვრება სამშობლოს მიმართ სწორების გამოხატულებაა.

სიტყვა სამშობლოში იმდენად მკაფიოდ ისმის ჟღერადობა მშობლისა, რომ იგი უპირველესად სწორედ მშობლისეულ განცდას ბადებს. ამიტომაც ამბობს პოეტი: 'სამშობლო, როგორც დედაი, ერთია ქვეყანაზედა'.

წიგნში აღწერილია ის დღეები, რომლებიც სამშობლოზე და მხოლოდ სამშობლოზე ფიქრით იყო აღსავსე. ამიტომ წიგნის დასათაურებაც სწორედ ამ დღეთა სულისკვეთებით არის განპირობებული.

ღმერთმა კეთილად შეიწიროს განცდა, ზრუნვა და ფიქრი სამშობლოსა ჩემისა!

და ფიქრი სამშობლოსა ჩემისა!

ავტორი

მსოფლიო სევდის ჭირისუფალი

ეს ლექსი ათი წლის წინათ დაიწერა და უკვე მრავალჯერ გამოქვეყნდა. მსოფლიო სევდის ჭირისუფალი საქართველო კი ჯერ ისევ ჭირთა თვისთა არის უფალი. ხოლო თვით ლექსის ავტორი კვლავაც სამშობლოს სევდის ჭირისუფალია.

თვალში წარსული ჩაგვდგომია მშობლიურ სევდად,
ცრემლის წვეთიდან გვიმზერია სამყარო ჭრელი,
ქვეყნიერებას გულგრილობა ოდითგან სდევდა,
და დარდი არვის არ ჰქონია არასდროს ჩვენი.

ბედთან ვიყავით ქართველები თურმე უმძრახად
და ღვთის ტირილი თანაგვდევდა ძაძით შემოსილთ,
რისი შავი ზღვა, რა შავი ზღვა, ერთი თუ ძმა ხარ,
ცრემლია, ცრემლი ზღვად დამდგარი საქართველოში.

წელიწადებმა გადიარეს ქარაშოტებად,
წარსულის ქარებს გამოვცდით და ზურგი ვუყავით,
მაგრამ ახალი ქარიშხლების არის ოტება
და ღელავს, ღელავს საქართველოს ცრემლის კურცხალი.

ფეხზე დგებიან სულ ახალი საუკუნენი
და სიტყვას ითხოვს კიდევ ერთი ათასწლეული,
სამშობლოს განცდა ტკივილია განუკურნები,
რომლითაც ყველა დრო და ჟამი არის ძლეული.

დავემხე მიწას და ჩურჩულით მიწას ვუთხარი,
რადგან ქვეყანას მწუხარების დაეცა ჩერო,
მსოფლიო სევდის შენ იქნები ჭირისუფალი,
უჭირისუფლოდ დარჩენილო, სამშობლოვ ჩემო!

I დღე

პარლამენტის შენობის წინ შეგჯუფებული ხალხი გავიარე და რკინის ბარიერებით შემოსაზღვრულ მოშიშშილეთა ტერიტორიას მივადექი, რომელსაც მკერდზე სათანადო წარწერის მქონე ახალგაზრდები იცავენ.

წესრიგის დამცველმა მოხალისეებმა თავაზიანად შემაჩერეს და მოსვლის მიზეზი გამომკითხეს:

– აქციაში ჩართვისათვის მოვედი, ვუპასუხე ახალგაზრდებს.

– ამას სპეციალური მომზადება სჭირდება. აქციაში ჩართვა ასე უცებ არ ხდება, მიპასუხეს მათ.

– ამისთვის მე მთელი ცხოვრება ვემზადებოდი.

– აქციის ორგანიზატორებს თუ ესაუბრეთ ამ სამზადისის შესახებ?

– ყველაფერი წინასწარ მაქვს შევათანხმე და ახლა მხოლოდ მათთან შეხვედრა მჭირდება.

– კი ბატონო, ახლავე გამწესრიგებელთან შეგახვედრებ.

ამ სიტყვებზე რკინის მოძრავი ბარიერი ხმაურით გვერდზე გასწიეს და შესასვლელი გამიხსნეს. ერთ-ერთ მათგანს ჩემი აქციის გამწესრიგებელთან მიყვანა დაავალეს და თვითონ ისევ რკინის მოძრავ ბარიერს მიუბრუნდნენ. ეს ის რკინის დაბალი ბარიერებია, რომლებსაც ზეიმებისა და სხვა სახალხო ღონისძიების დროს ქუჩებში ალაგებენ. მათი გადაადგილება საკმაოდ იოლია. ამიტომ ახლა ეს ბარიერები ერთმანეთზე არის გადაბმული და პარლამენტის შენობის წინ გაშლილ კარვების ქალაქს ერთ საერთო გალავნად აქვს შემორტყმული, რათა აქციის მონაწილეები იზოლირებული და ქალაქის ჩვეულებრივი რიტმიდან გამოყოფილები იყვნენ. ისინი ამ თავისი აქციით ცხოვრების ჩვეულებრივი რიტმიდან ისედაც გამოყოფილები არიან, რადგან პროტესტის ისეთი მშვიდობიანი და საკმაოდ მკაცრი ფორმა აირჩიეს, როგორც შიმშილია. შიმშილი შიმშილის ქვეყანაში. ქვეყანას სხვა უამრავ პრობლემასთან ერთად შიმშილის პრობლემაც რომ აქვს, ამაზე მეტყველებს ქუჩაში ესოდენ მოძრავლებული მათხოვრები და პრეზიდენტის სახელით აქა-იქ გახსნილი უფასო სასადილოები. ეს უკანასკნელი ხელისუფლების ზედაპირული და საკმაოდ ნეგატიური ფაცი-ფუცია. რადგან ჯერ კიდევ ხშირად ვხედავ ნაგვის ბუნკერებში მამიებელ ადამიანებს, რომლებთაც მის გარშემო არსებული საზოგადოების განცდა საერთოდ წაშლილი აქვთ და გაფართოებული თვალებითა და გაფაციცებული მზერით ნაგვის ბუნკერებს ჩაჩერებიან.

ქვეყანას ნამდვილად არ ულხინს და არც ისეთი ტაშ-ფანდურების ატმოსფეროა, როგორ ტაშფანდურსაც ამ უბედური ქვეყნის ბედნიერი პრეზიდენტი მართავს. პრობლემები და საზოგადოებრივი სატკივარი საკმაოდ ბევრია, მაგრამ სახალხო პროტესტი მაინც სიცრუის საწინააღმდეგოდ არის გამოთქმული. სიცრუისა და სიყალბის გამო გამოვიდა ხალხი ქუჩაში. და ეს ეგრეთ წოდებული კარვების ქალაქი, სიცრუის წინააღმდეგ მებრძოლი ქალაქია. ხოლო მკვიდრნი ამ ქალაქისა არიან ის გულმართალი ქართველები, რომლებსაც ქვეყანაში გამეფებულ სიცრუესთან ბრძოლისათვის თავი გადაუდიათ. ეხლა მე სწორედ ამ თავგადასავლულ ადამიანებს უნდა შევუერთდე და გავხდე მკვიდრი სიცრუესთან მებრძოლი სიმართლის ქალაქისა.

კარვების იმ გამწესრიგებელთან წარმადგინეს, ვინც აქციის მონაწილეთა მიღებას აწარმოებს და რომელთანაც წინასწარ ვიყავი შეთანხმებული. მან დანახვისთანავე მიცნო, მეგობრულად გამიღიმა და ხელი ახლობლური სიყვარულით ჩამომართვა. ახლობლობის განცდა და მეგობრული თანადგომის თვითშეგნება აქ იმდენად თვალნათელია, რომ მსგავს სითბოსა და სიყვარულს სხვა ჩვეულებრივ სიტუაციაში მყოფ ადამიანებს შორის ვერც ვერსად ნახავთ. შიმშილი აფაქიზებს ადამიანთა სულებს, ხოლო სამართლიანი ბრძოლის იდეა აკავშირებს და ამეგობრებს მათ.

უცხო კაცის თვალთ საკმაო ხანს ვათვალიერე კარვების ქალაქი და აქ მყოფი მოშიმშილეები. მათი გასათნობელი და გაფაქიზებული სახეების მიმართ ამ დღეებში ისეთი სითბო და სიახლოვე ვიგრძენი, რომ გადავწყვიტე მათ მხარში დავდგომოდი. მხარში დავდგომოდი სახალხო სიმართლეს და ჩემი სამშობლო ქვეყნის უკეთეს მომავალზე ფიქრს. ეს შეიძლება ვინმეს სამიტინგო პათეტიკად მოეჩვენოს, მაგრამ ჩემთვის იგი საკმაოდ ძველი და ძალიან ნაცნობი სულისკვეთებაა. იმდენად ნაცნობი, რომ მის გარეშე ცხოვრება ვერც წარმომიდგენია. სამშობლო ის კონკრეტული რეალობაა, რომელიც მთელი ჩემი არსებით მომიცავს, როგორც მის განუყრელ, სისხლხორცეულ ნაწილს. იგი ჩემშია, ჩემს სულსა და ხორცშია განივთებული და მას სამშობლო და მხოლოდ სამშობლო ჰქვია. ზოგიერთისთვის საქართველო მარტო ქვეყანა და სამოქმედო ასპარეზია. ჩემთვის კი იგი სამშობლოა: დედასავით ტკბილი, მამასავით საყვარელი და შვილივით ახლობელი. სამშობლო, ჩემი სულის სიღრმეში ისეთი იდუმალი გარინდებით არის გაყუჩებული, რომ მისი გარინდება მთელი სამყარო ქვეყნის ლაპარაკზე უფრო მეტყველია.

საოცარი სიცხადით ვგრძნობ, რომ სამშობლო ჩემშია და მე თავად ვარ სამშობლოში. მე თავად ვარ ცოცხალი და მეტყველი სამშობლო, რომელიც იმდენად სავსეა სიცოცხლის მადლით, სიცოცხლის ხალისითა და მარადიული სიცოცხლისაკენ სწრაფვით, რომ სიკვდილისთვის ჩემს ირგვლივ ფეხის დასადგმელი ადგილიც კი არ მოეძებნება. მე თავიდან ბოლომდე სიცოცხლე ვარ. ყოველთვის ვიყავი და ყოველთვის ვიქნები. ვიქნები შენი მარად ცოცხალი საქართველო!

გამწესრიგებელი ისეთი თვალეებით მიცქეროდა, როგორითაც წყალში ჩავარდნილმა მისთვის საშველად ხელგაწვდილ კაცს შეიძლება შეხედოს. მიცქეროდა მადლიერებით, და სახიდან მშვიდი ღიმილი არ სცილდებოდა.

– მოხვედი?

– მოვედი.

მოვედი არა მხოლოდ სურვილით, არამედ რწმენით. ეს არის თქვენი ბრძოლის სამართლიანობის რწმენა, რომელსაც ერთი სული მაქვს როდის შევუერთდები.

– ახლავე, მითხრა გამწესრიგებელმა და ფეხზე წამოდგა. ხელი მხარზე მომხვია და იმ კარვისკენ წამიყვანა, რომელშიც ექიმი მორიგეობს. ეს შედარებით უფრო პატარა კარავია და შესასვლელში თეთრ ტილოზე

გამოსახული წითელი ჯვარი აქვს დამაგრებული. ექიმმა ჯანმრთელობის მდგომარეობა გამომკითხა. იმის შიშით, არ “დამბრაკოს”-მეთქი ვუპასუხე.

– ჯანმრთელი ვარ, ძალიან ჯანმრთელი და შეიძლება მთელს ქვეყანაზე ყველაზე უფრო ჯანმრთელი ვიყო იმ საქმის გამო, რასაც ახლა ვიწყებ.

რა საქმეს იწყებ?

– შიმშილობას. შიმშილობას ჩემი სამშობლო ქვეყნისათვის.

– აა, ხო. მგონია რაღაც სხვას გულისხმობდი.

– სხვას არც არაფერს.

– წნევას გაგიზომავ.

– კი ბატონო.

– ოო. მაღალი წნევა გქონიათ.

– კი, ეს ყოველთვის ასეა. წნევა ყოველთვის მაღალი მაქვს, მაგრამ არაფერს მიშლის და არც მე არაფერს ვუშლი.

ის, რომ მე წნევას არაფერს ვუშლი, გამოკვეთილად და მკაფიოდ წარმოვთქვი, რათა ექიმისათვის მიმენიშნებინა, რომ მანაც არ უნდა დამიშალოს ამ სამართლიან ბრძოლაში ჩართვა.

– წამალი მაინც უნდა დალიო, მითხრა ექიმმა და მკლავიდან წნევის საზომი შემხსნა.

– კი ბატონო, თქვენდამი სრული მორჩილებით...

ექიმმა წნევის წამალი მომცა, სარეგისტრაციო ჟურნალში გამატარა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გართულების შემთხვევაში მასთან დაუყოვნებელ დაკავშირების შესახებ გამაფრთხილა.

– ვღებულობთ? იკითხა გამწესრიგებელმა, რომელიც აქამდე კარვის კართან მელოდებოდა.

– კი ბატონო, უპასუხა ექიმმა და შვებით ამოვისუნთქე, რადგან მაღალმა წნევამ ჩემს გულანთებულ სწრაფვას ხელი ვერ შეუშალა. ეხ, ეს წნევა... რომელსაც ციხიდან გამოსვლის შემდეგ ვმკურნალობ და დღემდე ვერაფერი მოვუხერხე. იგი ციხიდან დამჩემდა და ახლა იგი ჩემს თანამდევ პრობლემად იქცა. ციხიდან გამოდიხარ, მაგრამ ციხე კვლავ შენი ცხოვრების თანამდევ ნაწილად რჩება. რჩება თავისი განცდითა და ფიქრით. რჩება, როგორც ავადმყოფობა, როგორც ეს მოუშორებელი წნევა.

ვერასდროს წარმოვიდგენდი, რომ ჩემს ქალაქში ჩემი ქვეყნის სიყვარულის გამო ციხეში დამიჭერდნენ. ჩემი ქართული რელიგიური რწმენის მიზეზით დამაპატიმრებდნენ და ხელზე ბორკილებს დამადებდნენ. რას ვიფიქრებდი, რომ სახალხო მიტინგზე სიტყვაში გამოსვლის დროს ჩემს მიერ ერთი სატანური სექტის მიმდევრების მიმართ ნათქვამი სიტყვა – წადით, მათ რელიგიურ დევნად შემერაცხებოდა და ამის გამო დევნის მუხლით გამასამართლებდნენ. ცრუ ეფექტებს აყოლილი ჩვენი ხელისუფლება ცდილობს ამერიკისა და ევროსაბჭოს მიმართ ყველაფრით თავი მოიწონოს. ეს იმდენად შლეგური მცდელობაა, რომ იელოველთა სარწმუნოებრივი ინტერესების დაცვისთვის მზად არის უამრავი ხალხი ციხეში ჩაყაროს. თავი

მოიწონოს დასჯილთა მშრალი სტატისტიკით და ამით ხაზგასმით აღნიშნოს, რომ ვითომ უცხო რელიგიურ წარმომადგენლობების ინტერესებს იცავს. სწორედ ასე იყო ჩემს შემთხვევაში, როცა ჩემი დაჭერის შემდეგ უცხოელთა ანგარიშებში გაჩნდა ჩანაწერი: 'საქართველოში იელოველთა სარწმუნოებრივი ინტერესების დაცვა გაუმჯობესდა. ქვეყანამ ამ კუთხით უკვე მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა'. რა თქმა უნდა, მათ ჩემი უსამართლო პატიმრობა არ აღელვებთ და არც იელოველთა ინტრიგებით ციხეში ჩაყრილი კიდევ სხვა თხუთმეტამდე პატიმრის ბედი არ აინტერესებთ.

ექიმის კარავიდან უკვე ამ კარავთა ქალაქის სრულუფლებიან წევრად გამოვედი. ამ გულმართალსა და თავდადებულ ბიჭებს, თუ აქამდე გარედან ვგულშემატკივრობდი, ახლა უკვე მათთან ერთად ვიქნები და მათ ბრძოლით შემართებას საკუთარი თავით, საკუთარ სხეულში აყეფებული შიმშილით განვიცდი.

ადგილი იმ კარავში მიმიჩინეს, საიდანაც ცოტა ხნის წინ ექიმებმა ერთ-ერთი მოშიშხილე საკაცით გაიყვანეს. გაყვანის დროს იგი მთელმა კარვების ქალაქმა გააცილა. გაცილება კი ასე ხდება: კარვების ქალაქის ყველა მონაწილე ფეხზე დგება და საკაცზე მწოლიარეს ტაშით აცილებს. ტაში მანამ არ წყდება, სანამ ექიმები ფერდაკარგული და ძალამილეული მოშიშხილის საკაცს სასწრაფო დახმარების მანქანაში არ შეაცურებენ. ამ დროს მოშიშხილე, როგორც წესი, უკვე ვეღარ ლაპარაკობს და აქ დამრჩენებს მხოლოდ იმით ემშვიდობება, რომ გამხდარ მარჯვენა ხელს მაღლა აღმართავს. ეს აღმართული ხელი არა მარტო თანამომძეთადმი გამომშვიდობების ნიშანია, არამედ საბრძოლო შემართების მოწოდება და სიცოცხლისაკენ სწრაფვის გამოხატულებაც გახლავს. ამიტომ არასწორია ისეთი ახსნა, რომ თითქოს შიმშილის საპროტესტო აქცია ღვთის წინააღმდეგ მოქმედებაა და იგი თვითმკვლელობის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს. ძნელია სადმე სიცოცხლის ისეთი წყურვილი ნახო, როგორც მოშიშხილეს აქვს და არც ისეთი გასაცოდავებული ადამიანი მეგულება სადმე, როგორც მოშიშხილეა. ამიტომაც არის შიმშილი ნებაყოფილობითი განსაცდელი და ბრძოლის უკანასკნელი ფორმა. შიმშილი ჰუმანიზმის კლასიკური გამოხატულებაა და ასე ესმოდა იგი ყველას, ვისაც მასთან სერიოზული შეხება ჰქონია.

დღეს უკვე მეორე კაცი გადაიყვანეს სავადმყოფოში, მაგრამ აქციის მონაწილეთა რაოდენობა მაინც არ იკლებს. იმდენად დიდია პროტესტი ქვეყანაში გამეფებული სიცრუის მიმართ, რომ საპროტესტო აქციის მონაწილეებს მოკლებისა და გათითოკაცების საფრთხე არ ემუქრებათ. ამ სიტყვამ 'არ ემუქრებათ' გამახსენა, რომ უკვე სხვა პირში აღარ უნდა ვილაპარაკო, რადგან მეც მათი ძალისხმევის მონაწილე და მათეული სულისკვეთების მატარებელი ვარ, ამიტომ არ ემუქრებათ კი არა, არ გვემუქრება. ან კი რა შეიძლება დაემუქროს სამართლიან კაცთა ერთობას, როდესაც თვით ღმერთია ჩვენთან, როგორც სიმართლის ზეციური მეუფე.

გვიან ღამით პროტოპრესვიტერი გიორგი გამრეკელი მობრძანდა. მისთვის დამახასიათებელი სტოიციზმით მოგვეფერა. მერე კარვების ქალაქის ცენტრალურ ადგილას ყველამ ერთად მოვიყარეთ თავი და პარაკლისი გადავიხადეთ. კიდევ ერთხელ ვიგრძენი, თუ რა ძალიან გვჭირდება ეკლესიური კულტურა და მოძღვართან ურთიერთობა. ჩვენ იმ ხალხის წარმომადგენლები ვართ, რომელი ხალხიც ჯვარგადაუსახავად არაფერს ეკარებოდა და ლოცვის გარეშე საქმეს არ იწყებდნენ. ეს ყველაფერი ასე იყო, მაგრამ დღეს...? დღეს ხომ უფლის მიმართ ჩვენი მოღვაწეობა ხშირად იმას არ სცილდება, რომ უფლის რწმენას ვაღიარებთ. კი გვწამს, მაგრამ არ ვემსახურებით, ან ისე მცირეა უფლის მიმართ ჩვენი მსახურება, რომ ჩვენი წინაპრის მქონე ხალხს არ გვეკადრება.

ამ დღეებში ამეკვიატა საქართველოს სიყვარულით ჩვენებრ გულგავსებული ლადო ასათიანის სიტყვები: “თავს არ მოიკლავს ქართველი არა, ის შეიძლება ბრძოლაში მოკვდეს; ერთი იმედით სიცოცხლე მარად გაგრძელდეს ქვეყნად და განმეორდეს.” ჩვენ არა ვართ თვითმკვლელები და არც ჩვენი აქცია ისახავს ვინმეს მკვლელობას მიზნად. ჩვენ ზნეობრივი ფრონტის მეომრები ვართ, რომლებიც ღირსეული სიცოცხლის უფლების მოსაპოვებლად ვიბრძვით. აქციის ერთ-ერთი ლოზუნგიც სწორედ ასეთია, რომელიც პირდაპირ ჩემი კარვის თავზე კიდია. ამ ზნეობრივი ფრონტის შეჩერების სურვილი ჯერ არ გასჩენია ჩვენს ხელისუფალს და ბრძოლა გრძელდება...



აქცია განუწყვეტელია, ანუ, როგორც პრაგმატიკოსები იტყვიან სადღე-ღამისოა. დროდადრო აქციის სახელით მიტინგი იმართება, რომელზეც საზოგადოება მოდის და რუსთაველის პროსპექტი ხალხით ივსება. ამ დროს მანქანების მოძრაობა წყდება და პროსპექტი იკეტება. მძღოლები ჩვენთან ჩავლის დროს ხშირად სიგნალს გვამღევენ. არ ჩერდებიან, მაგრამ პიპინით ჩაგვირბენენ და ჩვენს მიმართ სოლიდარობას ამით გვამცნობენ. ზოგი უფრო

თამამია. მანქანის გვერდით მინას ჩამოწევს, ფანჯრიდან თავს გამოყოფს და გამამხნეველებელი შემახილით გვეხმიანება. წელან ერთმა შავგვრემანმა ბიჭმაც გადმოყო თავი, ხელი აგვიწია და დამარცვლით შემოგვძახა: ჯ ი გ რ ე ბ ო ო ო. მისი ეს გაგრძელებული 'ო' ისეთი დიდი და უსასრულო მეჩვენა, რომ ვფიქრობ ის ჩემი შავგვრემანი ქართველი სადაც წავა, იმ ჯიგრებოს გაგრძელებული ექო ყველგან წაყვება. ის ყველგან ქართველი იქნება და რაც მთავარია, ყველგან ექნება განცდა ჯიგრობისა. კაცს ასეთი განცდა რომ ჰქონდეს უპირველესად თვითონ უნდა იყოს ჯიგრიანი. ქართველებს ბევრი რამ გვაკლდა, მაგრამ ჯიგარი და ჯიგრიანობა არასოდეს გვკლებია. ანუ არ გვკლებია კაცთმოყვარეობის ის მაღალზნეობრივი განცდა, რომელსაც ქუჩაში უბრალოდ ჯიგრიანობას ეძახიან. ეს გრძნობა, როგორც უკვე ვთქვით, არასოდეს გვკლებია, მაგრამ დღეს რა მოგვივიდა? როგორ ავირჩიეთ ჩვენი სამშობლო-ქვეყნის ხელისუფლებად ის გუნდი, რომელსაც ამ გრძნობის განცდა საერთოდ არ გააჩნია და რომელთათვისაც ასეთი ვაჟკაცური გრძნობა მხოლოდ ცინიზმის თემას წარმოადგენს. არ აგვირჩევიაო, მიპასუხებთ და მართალიც იქნებით, მაგრამ ხმების მოპარვის მეშვეობით თავი პრეზიდენტად რომ გამოაცხადა, ხომ გაჩუმდით და შეეგუეთ. სიცრუესთან შეგუება სიცრუის ტოლფასი ცოდვიაო, გვასწავლის ბასილი დიდი. უფალმა ჩვენმა სულ ათიოდე მცნება დაგვიტოვა და მასში ერთ-ერთი მთავარი სწორედ ის არის, რომ არ ვიცრუოთ. მაგრამ სიცრუემ ლამის არის ქვეყანა წალეკოს. ასეთი მაღალი რანგის სახელისუფლებო სიცრუე დამანგრეველია ქვეყნისა და ხალხისათვის. ამიტომ რაკი ასეთი იმედგაცრუებული ქვეყნის შვილები ვართ, გამოვფხიზლდეთ, არ შევეგუოთ სიცრუეს. დავიცვათ სიმართლე და ამით დავიცავთ როგორც საკუთარ თავს, ისე სამშობლო-ქვეყანას ჩვენსას.

პირველივე დღეს გავიცანი მომშიშლილები. ისინი ძირითადად ჩემსავით უპარტიო ადამიანები არიან, რომლებიც საკუთარი სინდისის კარნახით არიან ამ აქციაში ჩართული. მათ შორის ბევრი ღირსეული ადამიანია; უბრალოდ მართალი კაცები არიან და აქაც საკუთარი სიმართლის ღირსებით დგანან.

ამ აქციაზე მეუღლემ მომაცილა. მერე რკინის ბარიერთან იდგა და თვალეზგაფართოებული თანამიგრძნობდა. ბოლოს დამემშვიდობა და სახლში წავიდა. მოგვიანებით ტელეფონზე დამიკავშირდა:

– მაგ აქციიდან ისეთი სულისკვეთება გამომყვა, რომ საქმელის დანახვაზე სინდისის უცნაურ ქენჯნას განვიცდი. ნეტავ, შეიძლებოდეს, რომ მეც ვიშიმშილოო.

მის აცრემლებულ ხმაში ჩვენი შიმშილობის მიმართ ისეთი გულწრფელობა იგრძნობოდა, რომ ღვთის წინაშე შეიძლება იგი აქციაში მონაწილეობას არაფრით ჩამოუვარდებოდეს. თქმით აღარაფერი მითქვამს, მაგრამ გულში კი ნამდვილად გავიფიქრე: ეხ, ჩემო მზია, ნეტავ ბევრის გულს სწვდებოდეს სინდისის შენეული ხმა, მაშინ ხომ გაცილებით უფრო მართალი ხალხი ვიქნებით და სამართლიანი ქვეყანა გვექნება. სიმართლე მომენატრა, საერთო, საქვეყნო სიმართლე. ისე ძალიან მომენატრა, რომ ლამის დიდი ხმით ვიყვირო;

ისეთი ხმით ვიყვირო, რომ მთელმა საქართველომ გაიგოს: გაიღვიძე, გაიღვიძე, სიმართლევ ჩვენო!

უკვე გვიანი ღამე იყო, როდესაც ამ გამოღვიძების შინაგან ძახილში ჩამეძინა.

II დღე

თენდება. მზე შორიდან ძალიან შორიდან მოდის. მოდის ჩვენსკენ, მოდის ჩვენთვის, მოდის ჩვენთან შესახვედრად. რა ბედნიერებაა ისეთ სიდიადესთან შეხვედრა, როგორც მზეა. მზესთან ყოველი შეხვედრა ნამდვილი დღესასწაულია, როგორც შეხვედრა ნათელთან. მე ახლა ამ ნათელის მომლოდინე კაცი ვარ. ისედაც მთელი ცხოვრება ნათელს ველი და ამ ნათელისაკენ ვისწრაფი. ახლაც სწორედ ასეა, – ვდგავარ აქ და ნათელს მოველი. მოველი მოთმინებით, მოველი გამძლეობით, მაგრამ მაინც მოველი. მოველი ნათელს, რომელიც ჯერ მხოლოდ შორეული რიჟრაჟით იწყება.

ამოვა მზე. დარწმუნებული ვარ, აუცილებლად ამოვა მზე, – მზე სიმართლისა. ბიბლიაში უფალი სიმართლის მზედ არის მოხსენიებული და სად არის იგი, თუ არა იქ, სადაც სიმართლეა. ჩემი ბრძოლა ახლა მარტოოდენ სიმართლისათვის ბრძოლაა. სხვა ინტერესი და სხვა მიზანი ამ ბრძოლას არ გააჩნია. ან კი რა ინტერესი შეიძლება ჰქონდეს უსამართლოდ გაჭყლეტილ და ციხემოვლილ კაცს, რომელსაც არამარტო პირადი ანგარიში აქვს უსამართლობასთან, არამედ რომლის სამშობლო-ქვეყანაც ლამის წალეკოს უსამართლობის ღვარცოფმა.

ქვეყანას ჰყავს პირველი პირი, რომლისთვისაც ამ ღვთითკურთხეულ ქვეყანას პირველი პირობის პატივი არ მიუნიჭებია. არ მიუნიჭებია, მაგრამ მაინც მიითვისა. საარჩევნო ხმები მოიპარა. მეღამ ისევ თავის კუდი დაიყენა მოწმედ და თავი პრეზიდენტად გამოაცხადა. მაგრამ არსებობს სხვა მოწმეც და ეს სხვა მოწმე არის მისი აღმატებულება ქართველი ხალხი, რომელიც ამ სიცრუით აღშფოთებული ქუჩაში გამოვიდა. ქუჩები ხალხით აივსო და ეს ყველამ ჩვენგანმა დავინახეთ. გარდა დანახვისა, კარგად ვიგრძენით, როგორ აივსო მთელი ქვეყანა ხელისუფლებაზე გაბრაზებული ადამიანებით. პარლამენტის შენობის წინ მიმდინარე შიმშილობის აქციაც ამისი გამოხატულებაა. გამოხატულებაა საერთო, სახალხო უკმაყოფილებისა. მე ამ აქციაში არამარტო სურვილისა გამო ვმონაწილეობ, არამედ აქ მონაწილეობას საკუთარ ვალდებულებად მივიჩნევ. ვალდებული ვარ ვიყო იქ, სადაც ჩემს ქვეყანაზე ფიქრია და სადაც ჩემი ქვეყნისთვის მნიშვნელოვან საქმეთა გადაწყვეტის მცდელობაა. თუკი საქვეყნო საქმის მიმართ გულგრილი ვიქნები, რაღაა მაშინ ჩემი ქართველობა და როგორი მოქალაქე ვიქნები ჩემი ქვეყნისა. ასეთ შემთხვევაში ხომ გაუვა მაღლი სამშობლოსათვის ნათქვამ ჩემს ყველა

ლოცვას და ხომ ერთიანად გაწყალდება ჩემს მიერ ნათქვამი საქართველოს ყველა სადღეგრძელო.

მე ისევ ვლოცულობ. ვცდილობ ლოცვები კიდევ უფრო გავაძლიერო. პატრიარქისაგან გამოგზავნილი ღვთისმშობლისა და წმიდა გიორგის ხატები მომიტანეს. ისინი კარვის აღმოსავლეთ კუთხეში დავამაგრე და ახლა მათ წინაშე ვლოცულობ. დილით ადრე, სანამ რუსთაველზე მოძრაობა დაიწყება, კარვიდან გავდივარ, ქაშუეთის ტაძრის პირდაპირ ვდგები და წმიდა გიორგის დაუჯდომელს ვკითხულობ. ეს საოცრად კარგი დაუჯდომელია. ბევრი მისი მონაკვეთი ჩემთვის იმდენად ძვირფასი და ახლობელია, რომ ზეპირად ვიცი. მას ყოველდღიურად ვკითხულობ, ვკითხულობ უკვე წლების მანძილზე და ამ ლოცვა-სავედრებლის მიმართ საოცარი სითბო და სიყვარული დამიგროვდა. წმიდა გიორგიმ იმდენად უხვად მოილო მოწყალეობა და იმდენად ბევრჯერ შემახსენა თავი, რომ არც მაქვს უფლება არ მიყვარდეს. მან ღმერთი ჩვენი “მტკიცითა გონებითა აღიარა უსჯულოთა კრებულსა შინა და მით ამხილა უგნურთა ბრმაი თაყვანისცემი” (2 იკოსი). ამიტომაც მივმართავთ მას: ‘გიხაროდენ, მართლმადიდებლობისა სარწმუნოებისა უღმრთოთა მიმართ განმცხადებელო (და) გიხაროდენ კერპთაყვანისმცემლობისა საცდურებათა მამხილებელო” (2 იკოსი). ეს სწორედ ის არის, რისთვისაც მე ციხეში ჩამაგდეს.

ჯერ კიდევ ცხრა წლის წინ ტელევიზიაში მოეწყო ღია დებატები იელოველებსა და მართლმადიდებლებს შორის. გადაცემას “ზხარი” ერქვა, სადაც ამ სექტის წარმომადგენლობა იმდენად უსუსურად და სამარცხვინოდ წარმოჩინდა, რომ დარცხვენილები სტუდიიდან კუდამოძუებულები გაიპარნენ. მაგრამ ეს საჯარო სირცხვილი არ დაივიწყეს, შემოიყვანეს თავიანთ არასასურველ პირთა სიაში და დაიწყეს ძიება ჩემთან ანგარიშსწორებისა. დაიწყეს იმ ფაქტების მოგროვება, თუ სად ვამხილე მათი ცრუ სწავლება და სად დავგმე მათი მავნებლური საქმიანობა. ბოლოს ერთ-ერთ მშვიდობიან მიტინგზე ჩემი გამოსვლა ფარული ვიდეოკამერით ჩაიწერეს და პოლიციაში წარადგინეს. ამ გამოსვლაში მათი მავნებლური საქმიანობა კვლავაც უარყოფითად მქონდა შეფასებული და ვგმობდი უფლის სახელით მათ სპეკულირებას. მოგვიანებით შევიტყვე, რომ პროკურატურას მიღებული ჰქონდა დავალება იელოველთა უფლებების საგანგებოდ დაცვისა და ამ კუთხით ეფექტურ ღონისძიებათა გატარებისა. ასეთი დავალების მიღების შემდეგ იელოველების მიერ აღძრულ საჩივარს ხელიდან როგორ გაუშვებდნენ. სახელდახელოდ შეიკერა საქმე ჩემს წინააღმდეგ და სასწრაფოდ დამაპატიმრეს. მიუხედავად იმისა, რომ არსად, არცერთ ჩემს მიერ წარმოთქმულ სიტყვაში დანაშაულებრივი არაფერი იყო, მაინც გამასამართლეს და იელოველთა დევნის მუხლით (მუხლი №156) პატიმრობა მომისაჯეს. ბევრი ვამტკიცე ჩემი უდანაშაულობა, მაგრამ სიმართლის დამტკიცება ვერაფრით ვერ შევძელი. ჩემმა უსამართლო პატიმრობამ აღაშფოთა საზოგადოება. მოეწყო სახალხო მანიფესტაციები; პროკურატურის შენობასთან გაიმართა საჯარო მიტინგები, რომლებიც მოითხოვდნენ მართლმადიდებლობისათვის

დევნილის უსამართლო პატიმრობიდან გათავისუფლებას. სიმართლისათვის მსჯავრდებულის მიმართ სამართლებრივი დევნის შეწყვეტას და სხვა ამის მსგავს. მაგრამ რად გინდა... ვერსად, ვერავისთან სიმართლე ვერ დავამტკიცეთ. სიცრუის მანქანა ისეთ სახელმწიფო ბერკეტის ირგვლივ ბრუნავდა, რომ ჩემისთანა კაცის გაჭყლეტვა მისთვის არავითარ პრობლემას არ წარმოადგენდა. ხალხი შფოთავდა და სამართალს მოითხოვდა. პარლამენტშიც აღმოჩნდნენ დეპუტატები, რომლებმაც ჩემი უსამართლო პატიმრობა წერილობით გააპროტესტეს, მაგრამ მათი სადეპუტატო ხმა სიმართლის საპოვნად საკმარისი არ აღმოჩნდა. საქმეში პატრიარქიც ჩაერთო და საპატრიარქოს ოფიციალური მიმართვაც გაიგზავნა, მაგრამ სიმართლის პოვნაში ყველა და ყველაფერი უძლური იყო. სასჯელი გამომიტანეს და პატიმრობა თავიდან ბოლომდე, უკანასკნელ დღემდე უშეღავათოდ მომახდევინეს, მაგრამ პატიმრობაც არის და პატიმრობაც: ციხეში ისეთ განსაკუთრებულ და აუტანელ პირობებში ჩამაგდეს, რომ ამერიკისა და საქართველოს პრეზიდენტებისათვის თავისუფლების მოედანზე ყუმბარის მტყორცნელი და შემდეგ პოლიციელის მკვლელი არუთინოვის ყოფა ჩემთვის სანატრელი გახდა. ციხის ასეთი საპატიმრო გვემა მხოლოდ წარსულ საუკუნეებში გადატანილ წამების ფორმად მიმაჩნდა და ვერ წარმოვიდგენდი ცოცხალ ადამიანს როგორ შეიძლებოდა საპატიმროში სხეული დალპობოდა. ვერც იმას ვიფიქრებდი, რომ პირდაღებულ ჭრილობებში საკუთარი ხელით მარილს ჩავიტენიდი, რათა ჩირქისა და სისხლის დენა შემეჩერებინა. ციხეში იჯდე და დასაჯდომი გენატრებოდეს? დაჯდომის საშუალება არ იყო და ასე ფეხზე დგომით ვხვდებოდი რკინის ცხაურში შემოსულ დილის რიჟრაჟსა თუ საღამოს წყვილიადს. ათასობით პატიმარი გმინავდა თბილისის საგუბერნიო ციხედ წოდებულ 15 საპრობილეში, რომელიც ყველა სხვა ციხე-საპატიმროსაგან თავისი არაადამიანური ყოფით გამოირჩეოდა.

ციხის წინ გამავალი ქუჩიდან მანქანების ხმა შემოდიოდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ქუჩა ახლოს იყო; ახლოს იყო ქალაქი, სადაც მოძრაობდნენ მანქანები, სადაც ადამიანები სადღაც მიდიოდნენ და მოდიოდნენ, მაგრამ მათ არ იცოდნენ, რომ იქვე გვერდით, მათგან სულ რამდენიმე მეტრის მოშორებით ადამიანები არაადამიანური ყოფით სულს ღაფავდნენ. სადაც ადამიანებს ტილები ჭამდნენ, ცოცხალი სხეული ულპებოდათ და ღია იარებს მარტოოდენ მარილით იშუშებდნენ.

ყურადღებას ძალიან როცა დავმაზავდი, ციხის წინ მდებარე მოედნიდან პრეზიდენტის მიერ დადგმული ახალი შადრევანიდან წყლის შხუილის ხმაც კი შემოდიოდა. წყლის დიდი ბურთიდან ჩხრიალით ჩამოდიოდა წყალი, შხუოდა შადრევანი და იქვე ადამიანები გაუსაძლისი პირობების გამო ვიხოცებოდით. ეს იყო სახე სააკაშვილის ქვეყნისა, სადაც ხმაურობენ ბედნიერი შადრევნები და გმინავენ უბედური ადამიანები. თუმცა მე თავს უბედურად არ მივიჩნევდი, რადგან ვიცოდი ამ უბედურებაში რისთვისაც ვიყავი და ჩემი სიმართლის განცდა ძალას მმატებდა. მართალია უსამართლოდ

ვიტანჯებოდი, მაგრამ ვიტანჯებოდი ჩემი უსამართლოდ ჯვარზე გაკვრული უფლისათვის, რაც თავისთავად საოცარი განცდაა. თვით რუსეთის ციხე-საპყრობილეში ნათრევი და ბევრის მნახველი პატიმრებიც კი გაკვირვებით მიყურებდნენ ვარდისფერ ხორცზე, როგორ ვიყრიდი მარილს, რომ წყლულები მომეშუშებინა და ცოცხალი სხეულის ღვინო როგორმე შემეჩერებინა. ჩვენს მიმართ ისეთი არაადამიანური სიძულვილი იგრძნობოდა და ისეთი გულგაციებული დამოკიდებულება სუფევდა, რომ იოდი და ბამბაც კი სანატრელი იყო. ხოლო როდესაც უჰაერობისაგან ხელში მაკვებოდა პატიმარი და ადმინისტრაციას მისი საკნიდან გაყვანის მოთხოვნით ვეძახდი, აქეთ მემუქრებოდნენ და მეორე დღემდე მოთმენას მბრძანებლობდნენ. პატიმრებზე ფიზიკური ზეწოლა ჩვეულებრივ მოვლენად იყო ქცეული. მართალია, მე არ მიმიცია საშუალება, რომ ციხის ზედამხედველებს ჩემზე ხელი აეწიათ, მაგრამ მათი აწეული ხელის შედეგიც მრავლად იყო ჩემს გვერდით, როდესაც ცემით დალურჯებულ პატიმრებს ცივი ტილოს ტამპონებით ვუყუჩებდი სხეულს.

ამ მძიმე გვემასა და წამებაში შემწედ ისევ წამებული წმიდა გიორგი მყავდა, რომლის მიმართ დღენიადაც ვლოცულობდი. საპყრობილის კედლებში შეიქმნა წმიდა გიორგის მიმართ პირადი სავედრებელი ლოცვა: 'უფლის სიყვარულით სულგანათლებულო, ზეციურო წინამბრძოლო ჩვენო, შავნაბდიანო წმიდა გიორგი, მოხედე საღმრთო გულმხურვალებასა ჩემსა, ღირსეულ მყავ ცხოვრებითა და მილხინე ყოვლად საყვარელი უფლითა ჩვენითა!' ჩემი რკინის გისოსებით გადარაზული სარკმელიდან შავნაბადის ქედი მოჩანდა. სადღაც მის იქით წმიდა გიორგის სახელობის შავნაბადის მონასტერი მეგულებოდა და თვითონ სახელი შავნაბადა სხვა არაფერია თუ არა წმიდა გიორგი. ამიტომ შავნაბადისკენ თვალმიპყრობილი პატიმარი, ცხადია, სწორედ მის მიმართ მლოცველი ვიქნებოდი. წმიდა გიორგის მთელი მადლი და ძალმოსილება უფლის მიმართ სიყვარულშია გამოვლენილი. მეც უფლის სიყვარულის გამო ჩამაგდეს ციხეში, ამიტომაც ლოცვაში ნათქვამი სიტყვები: "უფლის სიყვარულით სულგანათლებულო" არა მხოლოდ წმიდანის მიმართ გაკეთებული მიმართვაა, არამედ უფლისადმი სიყვარულის არსობრივი განსაზღვრებაა, რაც ჩემთვის ესოდენ ახლობელი განცდა და უაღრესად ძვირფასი თვითმყოფადობაა.



ეს მხოლოდ რკინის მეორე კარი იყო ციხის იმ ცხრაკლიტულში, რომელშიც ვიმყოფებოდი

პატიმრისათვის ლხინი ძალიან პირობითი და შორეული მცნებაა, მაგრამ არანაირი ბედნიერება და არც არაფერნაირი ლხინი არ მინდოდა, თუ იგი უფლის გარეშე და უფლისაგან განყენებულად იქნებოდა. ყოველი ლხინი და სიკეთე მხოლოდ უფლისთვის, მხოლოდ უფლითა და მარტოდენ საუფლოდ შეიძლება ინატროს კაცმა. სწორედ ამის გამოხატულებაა წმიდა გიორგისადმი მიმართული ლოცვის უკანასკნელი სიტყვები: ‘მილხინე ყოვლად საყვარელი უფლითა ჩვენითა’.

სწორედ იქ, საპყრობილეში შეიქმნა ახალი სამადლობელო ლოცვა: “გმადლობთ შენ, უფალო ღმერთო ჩემო, რამეთუ გამომირჩიე ქრისტესმოყვარე სამწყსოსა შენსა და ღირს მყავ სახელისა შენისათვის პატიმრობის განსაცდელში მყოფობისა...” გული ამ მადლიერებით მქონდა სავსე, სული კი სავსე იყო საუფლო მოთმინებით. ლოცვით ღამდებოდა დღეები და ლოცვით თენდებოდა ღამეები. ლოცვა იყო ერთადერთი თავშესაფარი, რომელშიც უღმერთო ადამიანებისაგან განწირულსა და უსამართლო ხელისუფლებისაგან მოძულეებულ პატიმარს სულის მოთქმა შეემძლო.

პატიმრობა თავისთავად საშინელებაა, მაგრამ კიდევ უფრო დიდი საშინელებაა უსამართლო პატიმრობა. ციხე უსაშველოდ გადაჭედილი იყო და მათ შორის უამრავი უსამართლო პატიმარი იმყოფებოდა. უსამართლოდ

დასჯილი ადამიანები იმ ჯოჯოხეთურ ყოფაშიც კი ლამაზები და სულით ამაღლებული კაცები იყვნენ. მაგრამ როგორი იყვნენ და როგორები არიან ის სახელმწიფო მოხელეები, რომელთა კისერზეც ამდენი უსამართლოდ დასჯილი ადამიანის ცოდვა ჰკიდია?



პატიმრობის შემდეგ თბილისის ძველ, სამსაუკონოვან საგუბერნიო ციხესთან

რა თქმა უნდა ცუდები, ძალიან ცუდები, რომელთაც ამ სიცუდის გამო ადრე თუ გვიან მოეკითხებათ. იქნებ ამ მოკითხვის ერთგვარი გამოხატულება ისიც არის, რომ უამრავი მოქალაქე მისდგომია მათი კაბინეტის კარს და ხმამაღლა სკანდირებს: წა-დი! წა-დი! წა-დი!

უსამართლო ხელისუფლება, ასევე უსამართლოდ ჯიუტია და არასოდეს არ წავა. პირიქით, აქეთ შემოგიტევს და სიცრუის ნაცარს თვალებში შემოგაყრის. 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნები გააყალბა, ამომრჩეველთა ხმები უტიფრად მოიპარა და თავი პირველივე ტურში გამარჯვებულ პრეზიდენტად გამოაცხადა. აღშფოთებული მოსახლეობის საპროტესტო გამოსვლები რომ ჩაეხშო მოლაპარაკებები მოიგონა. დაიწყო ოპოზიციურ ლიდერებსა და სახელისუფლებო ჯგუფებს შორის მოლაპარაკებები, მაგრამ შედეგი თითქმის არაფერი ყოფილა. ლაპარაკი ლაპარაკად გრძელდებოდა, რომელიც ხელისუფალთა მიერ ხელოვნურად ჭიანურდებოდა, თითქოს შეთანხმებებსაც მიაღწიეს, მაგრამ გადაწყვეტილება, როგორც ასეთი, არსად არ სჩანდა. ხელისუფლებამ ხალხისკენ არცერთი ნაბიჯის გადადგმა არ ისურვა. სამაგიეროდ უტიფრად აცხადებდა, მოლაპარაკებათა მაგიდის ალტერნატივა არის ომი და საბრძოლო დაპირისპირება. თუ ეს არ გინდათ, მოდით, კვლავაც

მოვილაპარაკოთ, ვიმსჯელოთ ყველა საკითხზე და შეთანხმებას ასე მივალწიოთო. ამ ხელოვნურად თავსმოხვეულ მოლაპარაკებას ხალხი ვერ უარყოფდა, მაგრამ იმასაც კარგად ხვდებოდა, რომ ეს მოლაპარაკებები სუფთა წყლის ნაყვა იყო და სხვა არაფერი. მოლაპარაკება მოლაპარაკებისათვის, შეთანხმება შეთანხმებისათვის, მაგრამ არავითარი საქმე და არავითარი გადაწყვეტილება. ორთვიანი არაფრისმთქმელი მოლაპარაკებების შემდეგ ხელისუფლება ისე გათავხედდა, მათთან მოლაპარაკების ნდობით აღჭურვილ ჯგუფს ისე დაუყარა ჭორი და ხელისუფლებასთან შეკრულობასა და პირად გარიგებაში ისე დასდო ბრალი, რომ მათ სახალხო მხარდაჭერა ჩამოაცილა. ბოლოს ისეთ უტიფრობამდე მივიდა, რომ მოსალაპარაკებლად მისულ ჯგუფს კარები მიუხურა და მდივნის პირით შემოუთვალა: ახლა არ მცალია, წადით და მოლაპარაკებისათვის სხვა დროს მოდითო.

სიცრუისა და სიყალბის ასეთმა ნიაღვარმა, უტიფრობისა და თავხედობის ასეთმა გამოვლინებამ არა მარტო ხალხს, არამედ თვით ყველაზე უფრო გაწონასწორებულ პოლიტიკურ ჯგუფსაც კი წონასწორობა დააკარგვინა. ორთვიანი მოლაპარაკების წყლის ნაყვითა და ცხვირწინ კარების მიხურვით აღმფოთებულმა ახალმა მემარჯვენეებმა განაცხადეს: არსადაც არ წავალთ, აქ, პარლამენტის თავმჯდომარის კარებთან დავსხდებით და მანამდე ვიშიმშილებთ, სანამ ამ მოლაპარაკების კონკრეტულ შედეგს არ დავინახავთო. ასე დაიწყო შიმშილობის აქცია დეპუტატთა 7-კაციანმა ჯგუფმა პარლამენტის შენობაში, უშუალოდ თავმჯდომარის კაბინეტის წინ.

ქალბატონი პარლამენტის თავმჯდომარე ჯერ შეცბა, მაგრამ მერე თავისი სახელისუფლებო უტიფრობა მოიხმო და განაცხადა: შიმშილობა მათი უფლებაა და შეუძლიათ ეს უფლება გამოიყენონ, მაგრამ ამას ჩვენგან არაფერი შედეგი არ მოჰყვებაო. ეს ქალბატონი არა მარტო ნაცმოდრობის დეპუტატთა თავმჯდომარეა, არამედ საერთოდ პარლამენტისა და მათ შორის იმ 7 მოშიმშილე დეპუტატისაც. იგი სათანადო რეაგირებას უნდა აკეთებდეს დეპუტატთა მოთხოვნებზე და პარლამენტის მუშაობას შესაბამისად უძღვებოდა. მისი განცხადება სრული თავხედობა იყო და ასედაც მოიქცა. თითქოს ის 7 მოშიმშილე დეპუტატი უშუალოდ მისი სიცრუითა და უმოქმედობით არ იყო აღმფოთებული. თითქოს მათი შიმშილობით გამოხატული გამწარება ამ ქალბატონის თავხედობისა და უტიფრობის შედეგი არ ყოფილიყოს.

მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ პარლამენტის თავმჯდომარის კაბინეტთან მოშიმშილე დეპუტატები სკამებზე ისხდნენ და ასე შიმშილობდნენ. ასე იყო ერთი დღე, ორი დღე, ათი დღე და თექვსმეტი დღე, მაგრამ რამდენ ხანს შეიძლება დღე და ღამე სკამზე მჯდომარე მშიერმა ადამიანებმა გაძლონ. ბოლოს იატაკზე გაზეთები დააფინეს და ხელისუფლებასთან ბრძოლით დაღლილი და დაოსებული ამ გაზეთებზე მიწვნენ. ქალბატონი თავმჯდომარე იმ მუხანათი დამპყრობლის ზნეობრივ სიმაღლეზეც ვერ აღმოჩნდა, რომელ დამპყრობელთანაც ცოტნე დადიანს

ჰქონდა საქმე და რომელსაც სიმართლისა და სამართლიანობისათვის გვემულმა ცოტნემ სინდისის ქენჯნა გაუჩინა. 16 დღის უქმელ, გაზეთზე მძინარე დეპუტატებს ქალბატონმა თავმჯდომარემ ზედ გადააღაჯა და თავის კაბინეტში ისე გააგრძელა მუშაობა, თითქოს მის კარებთან მისი გულისათვის ადამიანები ასე თვალსა და ხელს შუა სულს არ ღაფავდნენ.

პარლამენტის შენობაში მოშიშმილე ახალი მემარჯვენეები თითქმის ყოველ საღამოს ჩამოდიან ჩვენ კარვების ქალაქში, სადაც საერთო ოპოზიციური თათბირი იმართება. ისინი გამხდარი და ფერმკრთალები ჩანან, ნელა მოძრაობენ და არც საუბრის თავი აქვთ. წუხელის მათ სახელზე საგანგებო მიმართვა მოვამზადე და დღეს პირადად მათ ლიდერს გადავეცი.

ბატონ დავით გამყრელიძეს და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის კაბინეტთან მოშიშმილეთა ჯგუფის სხვა წევრებს.

ჩემო ძვირფასებო,

სიმართლისათვის ბრძოლა ღვთითკურთხეული საქმეა და თქვენ ახლა ამ ბრძოლის ასპარეზზე დგახართ. სწორედ ღვთით ყოფილიყოს კურთხეული სიმართლის მოპოვებისა და მისი დამკვიდრებისათვის დაწყებული შიმშილობის ეს საპროტესტო აქცია, რომელსაც თქვენ პარლამენტის შენობაში აგრძელებთ და მე ამავე შენობის წინ სხვა ჩვენს თანამოაზრეებთან ერთად ვეწევი. დღეები გადის და ბრძოლა თანდათან ძნელდება. ჩვენ ახლა არა მარტო ხალხის ხმის შეუსმენელი ხელისუფლება გვებრძვის თავისი უმოქმედობით, არამედ საკუთარ სხეულში აყეფებული შიმშილიც. მაგრამ იმდენად დიდია სიმართლისა და სამართლიანობის წყურვილი, რომ ამით ყველა სხვა ბრძოლის დათმენა შეიძლება.

აქ თანა მაქვს ჩემი განუყრელი ლოცვანი, რომლითაც ქაშუეთის ტაძარს დღენიადაგ ვესაუბრები. გარდა ამისა ჩვენს სანახავად მოდის უამრავი მოქალაქე, რომლებთან საუბრებიც კიდევ უფრო ამტკიცებს სიმართლისათვის ბრძოლის წყურვილს.

არავინ ვიცით შედეგი ჩვენი ბრძოლისა, მაგრამ თვით ეს ბრძოლა იმდენად მაღალზნეობრივია, რომ ნამდვილად ღირს ჩვენს თავდადებად. თქვენც კარგად მოგეხსენებათ, რომ ძნელია ზნეობრივი ბრძოლა ზნეობასთან გულგრილ ადამიანებთან. მაგრამ ჩვენ ამ ბრძოლის სიძნელე არ გვაშინებს, რადგან ნიკოლოზ ბარათაშვილის მსგავსად ჩვენც გვჯერა: 'ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირული სულისკვეთება და გზა უფალი შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება!' არ შეიძლება ჩვენი გულწრფელი ბრძოლის გზა უკვალოდ გაქრეს.

ღმერთმა დაგლოცოთ!

ყოვლისგანმრიგე უფალი იყოს შემწე ჩვენი საერთო, სამართლიანი ბრძოლისა. მოშიშმილეთა "ზედა პალატას" გულწრფელი პატივისცემით "ქვედა პალატის" წევრი, ღირსების ორდენის კავალერი გოგიტა მელიქიძე.

შევამჩნიე, რომ ჩვენი კარვების ქალაქთან შეჯგუფებული ხალხი ზევით პარლამენტის შენობისკენ იყურებოდა, იქ ვიღაცას მუჭებს უქნევდა და ხმამაღალ წყევლა-კრულვას უგზავნიდა. ჩავთვალე, რომ ეს ხელისუფლებაზე გაბრაზებული ხალხის სახელისუფლებო შენობისაკენ მიმართული ზოგადი



შიმშილობის საპროტესტო აქცია პარლამენტის შენობის წინ

პროტესტი იყო, მაგრამ ჩემდა გასაკვირად, ეს ასე არ აღმოჩნდა. გაბრაზებული ხალხის მზერის ობიექტს თვალი გავაყოლე და რას ვხედავ: თავმჯდომარის კაბინეტის ფანჯარაში ოდნავ გაწეული ფარდიდან ნაცნობი სახე იყურება. ხალხმა ფარდიდან ქურდულად მომზირალის სახე შეამჩნია და მათი მუშტების ქნევა და წყევლა-კრულვას სწორედ ამ სახის მიმართ გამოიხატა. ხელისუფლება ფარდის მიღმა ემალება თავის ხალხს და მათ სამართლიან სახალხო პროტესტს ოდნავ გაწეული ფარდის ღიაობიდან ადევნებს თვალს. არ ვიცი ასეთი სახელისუფლებო ჭკრიტინი რამდენ ხანს გასტანს, მაგრამ ცხადია სახალხო უკმაყოფილება უშედეგოდ არ ჩაივლის. სასურველია ეს შედეგი მაქსიმალურად მშვიდობიანი იყოს და რაც მთავარია იყოს

აუცილებლად ზნეობრივი, რადგან არაზნეობრივი, ანუ უზნეო თვით გამარჯვებაც კი არ მინდა.

მთელი დღის განმავლობაში უამრავი ხალხი მოდის, უამრავი კითხვა-პასუხები და საუბრებია, რაც ძალიან დამღლელია. დღეს ჩვენი დროის ნამდვილმა გმირმა, თავისი მშობლიური აფხაზეთისათვის თავდადებულმა რუზგენ გოგოხიამ მომინახულა.

– შორიდან დაგინახე და გამიხარდა, რომ აქ დგახარ. მართალი გითხრა, შენი აქ დგომა არ გამკვირვებია, რადგან აქ სწორედ შენისთანა კაცები უნდა იდგნენ. მომიტევე, რომ მეც შენს გვერდით ვერ ვარ. სამაგიეროდ რაკი შენ აქ მეგულები, ყოველ დღე მოვალ და ყოველდღე გეტყვი გამარჯობას, რათა მართლა გავიმარჯვოთ. მე და შენ კი არა, ჩვენმა სამშობლო ქვეყანამ გაიმარჯვოს, და თუ კი ქვეყანა გაიმარჯვებს, მაშინ ჩვენისთანა კაცები თავისთავად გამარჯვებულები იქნებიან.



საზოგადოება მხარს უჭერს შიმშილობის საპროტესტო აქციას

მოვიდა ცნობილი მსახიობი და ყველასათვის საყვარელი ნინელი ჭანკვეტაძე. იგი მოშიმშილე ბიჭებს გამოელაპარაკა და გაამხნევა. მე მხარზე

ხელი დამადო და და-ძმური სითბოთი მომიკითხა. ცნობით, დარწმუნებული ვარ, რომ ველარ მიცნო. ან კი როგორ მიცნობდა, როდესაც ჩვენი სტუდენტობის შემდეგ უკვე მთელი 27 წელი არის გასული. თავი არ შემისხენებია. მისთვის ჩემს გულზე ჩამოკიდებული მოშიშხილის აღმნიშვნელი მოწმობის დანახვაც საკმარისი იყო.

მიცნო და სიხარულით მომიკითხა ცნობილმა ფოტოკორესპონდენტმა და ღირსეულმა კაცმა, ბატონმა ჯემალ კასრაძემ. იგი ძალიან თბილი პიროვნებაა და ეს ხასიათი მის მიერ შესრულებულ ნამუშევრებშიც შეიმჩნევა. ბატონი ჯემალის ფოტოები ყოველთვის ადამიანური სითბოთი და გულწრფელობით არის გამორჩეული.

ტელევიზიასა და ჟურნალისტებს ვერიდები. არ მინდა, ჩემი აქ ყოფნით თავი მოვიწონო. თუმცა აქ ყოფნა შინაგანად ძალიან მემამყება და სული ერთგვარი ზეიმითაც მაქვს საკვსე.

III დღე

პარლამენტის შენობის წინ მოედანი, სადაც ჩვენი კარვების ქალაქია გაშლილი, ერთგვარი ეპიცენტრია ყველა დიდი და მნიშვნელოვანი მოვლენისა. როდესაც დამოუკიდებელსა და თავისუფალ საქართველოს რუსეთის ბოლშევიკურმა ძალებმა შემოუტიეს, ახალგაზრდა ქართველები ტახხმელასა და კოჯორთან იცავდნენ თავიანთ სამშობლოს. სწორედ იქ ჩახოცეს ჯერ კიდევ უწვერულვაშო იუნკერები და პირველი ქართული უნივერსიტეტის სტუდენტები. სამშობლოსათვის თავშეწირული ახალგაზრდების გვამები თბილისში ურმებით ჩამოასვენეს და სწორედ აქ, ამ ტერიტორიაზე მიაბარეს მიწას. ეს ის ადგილია, რომელმაც ქვეყნისთვის გულანთებული ჭაბუკების ჯერ ისევ თბილი გვამები ჩაიხუტა და თავის წიაღში დაიმარხა. აქაურობა სამშობლოს სიყვარულითა და სამშობლოსათვის თავგანწირვის სულიერი ენერჯით არის დამუხტული.

სწორედ აქ აღესრულა ჩემი თაობისათვის კარგად ნაცნობი 9 აპრილის სისხლიანი ტრაგედია. რუსეთის სამხედრო “ლაფატკებით” აქ აკუწეს ქართველები და აქაურობა სამშობლოსათვის მჩქეფარე სისხლით მოირწყო. მახსოვს, თეთრი გედებივით ჩაწყობილი ლამაზი ქალიშვილები, ერთმანეთის მიყოლებით როგორ იწვნენ თავგაჩეხილები. რა დანაშაული მიუძღოდათ მათ, რისთვის გაუჩეხეს ჯარისკაცებმა ამ ქალიშვილებს თავები? ნუთუ სამშობლოს სიყვარული დანაშაულია? განა შეიძლება სამშობლოს სიყვარულისათვის ასე უღმერთოდ დასაჯო ქალები? ვინ არიან ისინი, თუ არა უმანკო მსხვერპლი თავისი სამშობლო-ქვეყნისა? ეს მოედანი სამშობლოსათვის მსხვერპლშეწირვის მოედანია. ეს ქართველთა ეროვნული გოლგოთაა. აქაურობა საქვეყნო საქმისთვის თავშეწირვის უტყვი მღალადებელია. ეს ჩვენი ცოდვა-მადლით დატვირთული მოედანია, რომელიც სამშობლოსათვის თავდადებულ

ადამიანთა სისხლით არის გაწმენდილი და განბანილი. მათთან ჩემს სულიერ ნათესაობას ვერსად ისე მძაფრად ვერ განვიცდი, როგორც აქ, ამ მოედანზე. რადგან ეს მათი ხსოვნის მოედანია. აქ მათი მარად ცოცხალი ხსოვნა ტრიალებს, მათი უკვდავი სულები რონინებენ და სამშობლოს განცდის მათთვის დამახასიათებელი ცეცხლი ყველაზე უფრო თვალსაჩინოდ სწორედ აქ ანთია. აქ სხვა აღტკინებას განიცდის ადამიანი და ვისაც გული აქვს, აქაურობა მათზე სხვაგვარად მოქმედებს...

ჩემთანაც იყო საუბარი იმის შესახებ, რომ თუ შიმშილობის ამ აქციის მიმართ მოვლენები ყველაზე უფრო უარესი სცენარით განვითარდებოდა, მე რას ვიზამდი. გავჩუმდი; მომერიდა იმისი თქმა, რომ მე გაქცეულს ვერავინ მნახავდა; ჩემი სამშობლო-ქვეყნის ინტერესებისათვის ადგილზე სიკვდილისთვისაც მზად ვიყავი და ა.შ...

ჩემი გაჩუმების მიზეზს ადვილად მიხვდნენ და დაიწყო ის, რასაც ასეთ დროს ამბობენ ხოლმე: ვის სჭირდება შენი თავგანწირვა? შენი შვილების პატრონი ვინ იქნება მერე? ვინ გაგიგებს? და სხვა ამის მსგავსი. ასეთ საუბარს აზრი არა აქვს, რადგან ეს ჭეშმარიტებისაგან თავის გარიდებისათვის გამიზნული საუბარია. არავის გაგება არ მჭირდება, რადგან ჩემი შინაგანი ხმა ძალიან კარგად ესმის მას, ვისაც იგი უნდა ესმოდეს. მთავარია, რომ მას ესმის; მას სჯერა ჩემი და დარწმუნებული ვარ, ჩემი აქ დგომის მიზეზიც კარგად იცის. მე მას მთელი სხეულით ვგრძნობ და მთელი ჩემი არსებით განვიცდი. იგი ჩემი სამშობლოა და როგორც ჩემია იგი, ისევე მე ვარ მისი; მისი განუყოფელი, სისხლხორცეული შვილი, რომელიც აქ ვდგავარ და ვდგავარ მარტოოდენ მისთვის; მხოლოდ საიმისოდ ვდგავარ აქ და აქედან მოველი კიდევ ერთი ახალი დღის გათენებას.



მოშიშხილეთა კარავი №6, რომელსაც ჰქონდა წარწერა: „ყოფილი პოლიტპატიმარი საქართველოსათვის“.

წუხელის გვიან დამეძინა და მერე ისეთ შემკრთალსა და დაფეთებულს გამეღვიძა, რომ თითქოს არც მიძინებოდა. ძილში ნანახი ცხადს იმდენად ძალიან წააგავდა, რომ მას სიზმარი არც კი ეთქმოდა, თუმცა მაინც სიზმარი იყო, რადგან ეს ყოველივე სწორედ ძილში ვიხილე:

ისევ ციხეში ვიყავი. მაგრამ ეს ციხე კი არა საპყრობილე იყო, რომელსაც სამმაგი ღობის, სათვალთვალო კოშკებისა და ავტომატიანი ზედამხედველების ნაცვლად მხოლოდ ერთი, მაღალი რკინის შუბებისაგან შემორტყმული ღობე ეკრა. შუბები ძალიან მაღალი და ასევე ძალიან თავწამახვილებულები იყვნენ. ამ რკინის შუბებით შემოკავებული საპყრობილე ჩვენი კარვების მსგავსი კარვებით იყო მოფენილი. ერთგან წყალი გადმოდიოდა და მე ამ წყალზე დასვრილ ტანსაცმელს ვრეცხავდი. ვრეცხავდი მთელი გულმოდგინებითა და სიხარულით. მიხაროდა, რომ წყალი გვქონდა და გარეცხვა შემემლო. დასვრილ სამოსს ჭუჭყს ვაცილებდი და დიდი მონდომებით ვასუფთავებდი, როდესაც უცხო ხმამ ერთი კონკრეტული მხარიდან დამიძახა. ამ ხმის გაგონებისთანავე

იქითკენ გავემურე. იქ რკინის შუბებით შემოსაზღვრულ ლობეში ჩატანებული ღია კარები დამხვდა, რომელშიც დაუფიქრებლად გავედი. უხილავმა ხმამ



დადგება დრო და შერცხვება ყველას, ვისაც ჩემს პატიმრობაში მიუძღვის წვლილი

მიკარნახა, რომ იქაც საპყრობილე იყო. ისიც რკინის მაღალი შუბებით იყო შემოსაზღვრული და იქ არასრულწლოვანი პატიმრები ყავდათ. დავინახე, რომ მათ შორის ჩემი თავგადახოტრილი შვილებიც იდგნენ. მათ ერთმანეთისათვის ხელი ჩაეკიდათ და ახალდაპატიმრებულთათვის დამახასიათებელი დაბნეულობით აქეთ-იქით იყურებოდნენ. მათ დანახვაზე ცეცხლი მომეკიდა. მაშინათვე იქით გავიქეცი. ბავშვებს მივვარდი, ხელი მოვხვე და მათი ხოტორა თავები გულში ჩავიხუტე. სული რომ მოვითქვი, მხოლოდ მაშინ მოვახერხე შეკითხვა:

- _ თქვენ რიდასთვის დაგიჭირეს?
- _ გვკითხეს, მამათქვენი გიყვართ თუ არაო?
- _ მერე?
- _ რა მერე, მამი, რას ვეტყოდით...?
- _ მიპასუხა გიორგიმ უფროსისათვის დამახასიათებელი სერიოზულობით.

თორნიკემ კი თავისი სიალალით გააგრძელა:

- _ ჩვენ ვუპასუხეთ, რომ მამა გვიყვარს.
- _ როგორ, პატიმარი მამა გიყვართ? ჩაგვეძივნენ ისინი.
- _ ვუთხარით, რომ მამა მართალი კაცია და იგი არამხოლოდ მამობის გამო, არამედ თავისი სიმართლის გამოც გვიყვარს.

- _ როგორ შეიძლება ბავშვებს მამა უყვარდეთ?! გვიყვირეს იმათმა.
 - _ მამის სიყვარულიც დანაშაულია?
 - _ დიახაც, დანაშაულია. პატიმარი მამის სიყვარული სწორედაც რომ დანაშაულია და თქვენ ამ დანაშაულისათვის დაისჯებით!
 - _ ნეტავი არ გეთქვათ, შვილო.
 - _ რას ამბობ, მამი, ხომ არ ვიცრუებდით...
 - _ არა მაგრამ...
 - _ მამი, ხელებზე სწორედ ისეთი პრიალა ბორკილები დაგვადეს, როგორი ბორკილებიც შენ გედო სასამართლოზე.
 - _ თქვენ ხომ არასრულწლოვანების გამო ჩემს სასამართლოზე არ გიშვებდნენ და საიდან იცით, თუ როგორი ბორკილები მედო?
 - _ დედამ გვითხრა, მამათქვენს ხელებზე სულ ახალი, პრიალა ბორკილები ადევსო.
- ბავშვებისათვის აღარაფერი მითქვამს, ყელში მოჩრილი ბურთი სიმწრით ჩავყლაპე და ზეცას ავხედე. საკუთარი ხმა სადღაც შორიდან გავიგონე: “რაც რომ ქვეყნად ცოდვა-ბრალი ტრიალებს, ზეცა რატომ არ ბნელდება ნეტავ?”
- ბავშვებს თავი დავანებე და ისევ სარეცხს დავუბრუნდი. ახლა უფრო მეტი მონდომებით შევუდექი რეცხვას. ვრეცხავდი და თავდავიწყებით ვწმენდდი ყველაფერ უსუფთაობას. სისუფთავისათვის ზრუნვამ ისე გამიტაცა, რომ ვერ გავიგე, დრო როგორ გავიდა და საღამოს წყვდიადი როგორ წამომეპარა. შევამჩნიე თუ არა საღამოს ბინდ-ბუნდი, შეცვბი და ბავშვებისაკენ გავიქეცი, რათა ბავშვებს ღამის სიბნელისა არ შეშინებოდათ, მივვარდი ჩვენი საპყრობილიდან არასრულწლოვანთა საპყრობილეში გასასვლელ კარს და დაკეტილი დამხვდა.
- _ გამიღეთ, ბავშვებთან უნდა გავიდე.
 - _ ეს კარი მხოლოდ დღისით იღება, ღამით კი მისი გაღება აღარ შეიძლება, მიპასუხა უჩინარმა ხმამ.
 - _ გამიღეთ, იქ ჩემი შვილები არიან.
 - _ იქ ყველანი ვიღაცის შვილები არიან.
 - _ ვიღაცის კი არა ჩემი, ჩემი შვილები არიან.
 - _ არიან და იყვნენ მერე.
 - _ როგორ უნდა იყვნენ, როცა ბავშვებს სიბნელისა ეშინიათ. განსაკუთრებით პატარა თორნიკეს, მას სიბნელის ავადმყოფური შიში აქვს. ღამე იღვიძებს, შეშინებული წამოვარდება და ტირის.
 - _ ტირის და იტიროს მერე.
 - _ როგორ თუ იტიროს, ხალხო?
 - _ აქ ყველა ბავშვი ტირის.
 - _ ეს არ არის ბავშვის ჩვეულებრივი ტირილი. ეს დაფეთებული, ისტერიული ტირილია, და თუ არ მივეშველე, ბავშვი შეიძლება ჭკუაზე გადავიდეს.
 - _ თუ ტირილი არ უნდათ, არც ციხეში უნდა მოხვდნენ.

– ეხლა ციხეში მოხვედრა-არმოხვედრის სასამართლოს ნუ გამიმართავთ. ბავშვს მიშველება სჭირდება, ბავშვი შეიძლება შიშისაგან ჭკუაზე შეცდეს.

– ციხე მამა-შვილობის სენტემენტალობას არ ითვალისწინებს, ციხე ციხეა და თქვენ ვალდებული ხართ მის კანონებს დაემორჩილოთ.

– არაადამიანობას როგორ შეიძლება დავემორჩილო! როგორ შეიძლება უსამართლობას დავემორჩილო! უსამართლობას როგორ უნდა შევეგუოთ ა და მ ი ა ნ ე ბ ო ო !

საკუთარმა ხმამ გამომადვილა. კარავში ჩემთან ერთად მყოფ ლერი მეგრელიშვილს გაღვიძებოდა და კეთილი ღიმილით მიყურებდა.

– მართალი ხარ, ჩემო ძმაო, უსამართლობას არ უნდა შევეგუოთ და რომ არ უნდა შევეგუოთ სწორედ ამისთვის ვართ ჩვენ აქ. დამშვიდდი და დაიძინე.

– რაღა დამაძინებს. ავდგები და სანთელს ავანთებ, თუ შენ არ შეწუხდები?

– სანთელი და ლოცვა ეშმაკს აწუხებს, მე კი რა ღმერთი გამიწყრება, ეს თქვა და დასაძინებლად გვერდზე გადაბრუნდა.

კვლავაც აკიაფდა პატრიარქის ნაჩუქარი კელაპტარი და დაიწყო ჩემთვის ესოდენ საყვარელი საქმე, რომელიც დილის რიჟრაჟამდე გაგრძელდა. გამთენიისას კარავიდან გავედი და ქაშუეთის ტაძრის ეზოში არსებულ წყალზე პირის დასაბანად გავემართე.

წუხელის შევამჩნიე, რომ ჩვენი მხარდამჭერების ერთმა ჯგუფმა ქაშუეთისკენ ჩამავალი ქუჩის კუთხეში ხმელი ტოტები მოაგროვა და პატარა ცეცხლი დაანთო, რომელზეც ხელებს ითბობდნენ და ერთმანეთს ესაუბრებოდნენ. ის 8 თუ 10 ადამიანი ისევ იქ იდგა. ცეცხლი ჩაქრობოდათ, სიცივისაგან მობუზულიყვნენ და კვლავაც ხმადაბლა საუბრობდნენ. მოსაუბრებმა შორიდან მიცნეს და დამიძახეს. მივედი და გულწრფელად გამიხარდა, რომ ისინი ჩემი რუსთაველები აღმოჩნდნენ. მათგან მხოლოდ ერთი ქალბატონი, თინათინ დიდებაშვილი ვიცანი, – ჩვენი თინიკო, რომელიც არც ერთ ეროვნულ საქმეს არ აკლდება და საქვეყნო საქმეთა ერთ-ერთი გამორჩეული გულშემატკივარია. მას ჯერ კიდევ სტუდენტობიდან ვიცნობ და იგი ყოველთვის ასეთი იყო. მის პიროვნულ ხასიათში მისივე გვარის ერთგვარი ანარეკლი შეიმჩნევა. არის მასში რაღაც დიდებული და ალბათ, ამიტომაც არის იგი დიდებაშვილი, ან პირიქით. ჩემი ღამენათევი რუსთაველები ისეთი მხნე და ისეთი ლამაზები იყვნენ, რომ მომინდა თვითეულს და-მმურად მოვხვეოდი, მაგრამ საამისოდ სითამამე აღარ მეყო და ჩქარა დავემშვიდობე.

დღეს კიდევ ერთი კაცი გახდა ცუდად და საკაცით გადაიყვანეს. თავიდან ბიჭები წნევისა და გულის წამლებსაც კი არ ღებულობდნენ, მაგრამ წნევის დარღვევა და გულის შეტევები ისე ძალიან გახშირდა, რომ წამლის მიუღებლობა უკვე შეუძლებელი იყო. შიმშილი განსაკუთრებული მდგომარეობაა. ამ დროს ორგანიზმი ამოვარდნილია თავისი არსებობის ბუნებრივი პირობებიდან და იგი ექსტრემალურ მდგომარეობაში იმყოფება. ორგანიზმი ეძებს სასიცოცხლო ძალას, და ეს ბრძოლა იმდენად მძვინვარეა,

რომ აშკარად გრძნობ საკუთარ თავში დაწყებულ სიკვდილ-სიცოცხლის ჭიდილს. რა თქმა უნდა, ასეთ ექსტრემალურ პირობებში თავს იჩენს ყველა ის ფიზიკური სისუსტე, რომელიც ორგანიზმს შეიძლება ქონდეს.

თავიდან ძალიან მკაფიოდ ვიგრძენი გულის მუშაობა, მერე მისი ფეთქვა იმდენად გაძლიერდა, რომ უკვე ერთგვარი შეშფოთების საფუძველი გაჩნდა. იყო განცდა იმისა, რომ გული გაიზარდა, გაიბერა და მკერდში შეიძლება აღარ დამეტიოს. მისი დარტყმები უკვე გულის ფიცარზე იგრძნობა და ახლა გული კი არ ფეთქავს, არამედ მკერდის ძვალს შიგნიდან აწვება და გათავისუფლებას ცდილობს. შევატყვე, რომ ცოტა ხანში შეიძლება უკვე წავიქცე და დავარდნისაგან თავის გადასარჩენად წინასწარ წამოვწევი.

აქ ყველამ კარგად ვიცით, რა მდგომარეობაშიც ვართ და ერთმანეთს გაფაციცებით ვადევნებთ თვალს, რათა ცუდად გახდომის შემთხვევაში მივეშველოთ და დახმარების აღმოჩენა არ დავუგვიანოთ. არც ჩემი წამოწოლა გამოპარვიათ ბიჭებს და მაშინათვე მკითხეს მიზეზი. არა უშავს, გამივილის, ვუპასუხე მე და ვეცადე სიმშვიდე გარეგნულად მაინც შემენარჩუნებინა, რათა ექიმი არ მომიყვანონ და არ მოხდეს ის, რაც ყველაზე უფრო ძალიან არ მინდა: სასწრაფო დახმარების მანქანა, საკაცე და თანამებრძოლთა გამომშვიდობებისა თუ გამხნეების მქუხარე ტაში.

შინაგანად გადაწყვეტილი მაქვს, რომ მაქსიმალურად გავძლო და ეს ბიჭები არაფრით არ დავტოვო. არ დავტოვო სამართლიანობისათვის ბრძოლის ის ფერხული, რომელიც აქ, პარლამენტის შენობის წინ არის გამართული. სანამ სხეული გაუძლებს, მოვითმენ, მაგრამ თუ სხეულმა ვეღარ გაუძლო, აქ იმდენ ხანს მაინც დავრჩები, სანამ გონება მექნება. და თუ გონება დავკარგე მაშინ მოხდეს ის, რაც მოსახდენია. მოსახდენი კი აქედან საავადმყოფოში გადაყვანა შეიძლება იყოს. იქ კი დარწმუნებული ვარ, ყველაფერი კარგად იქნება და სიკვდილს ჩემამდე არავინ მოუშვებს.

შიმშილობის, შეიძლება ითქვას, რომ საკმაოდ კარგი გამოცდილება მაქვს. ჯერ კიდევ წლების წინ გავეცანი და შევისწავლე შიმშილობის შესახებ არსებული ყველა პოპულარული გამოცემა. გაანალიზებული მაქვს ცნობილი და საყოველთაოდ აღიარებული შიმშილობის გამოცდილებები. მაკათმა განდის შიმშილობის შესახებ არსებული ფილოსოფიური კონცეფცია იმდენად მომეწონა, რომ მასზე ვრცელი პუბლიკაცია მოვამზადე და ქართულ პრესაში ჯერ კიდევ 19 წლის წინ გამოვაქვეყნე. ასევე განსაკუთრებული ყურადღებით შევისწავლე მერაბ კოსტავასეული გამოცდილება. ბატონი მერაბი ქართულ სინამდვილეში შიმშილობის სწორუპოვარი რაინდი იყო. მან არა მარტო დაითმინა შიმშილობის ძალიან დიდი და გამორჩეულად განსაკუთრებული რეჟიმი, არამედ ეს ყოველივე ფილოსოფიურად გაანალიზა და ამის შესახებ საოცრად მნიშვნელოვანი ტრაქტატი შექმნა. მისი ეს ლიტერატურული ნაწარმოები არის პირადი გამოცდილების შედეგი და მე ვიტყვოდი, მსოფლიოში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ტრაქტატი, რომელიც შიმშილობასა და მის ფილოსოფიურ ასპექტებს ეხება. ეს ტრაქტატი ჩვენთვის იმდენად

ღირებული კონცეფციაა, რომ იგი მრავალჯერ გამხდარა მსჯელობისა და განხილვის თემა. ბევრი მისი ეპითეტური გამოთქმა, თუ აზრობრივი წიაღსვლა ზეპირად მახსოვს. ძალიან გამეხარდა, რომ ორიოდ დღის წინ, ერთ-ერთმა ჩვენმა ორატორმა მერაბ კოსტავას შიმშილობის შესახებ შექმნილი ტრაქტატი თავიდან ბოლომდე საჯაროდ წაიკითხა და მთელმა საზოგადოებამ იგი მქუხარე ტაშით, ფეხზე მდგომარემ მოისმინა. ვფიქრობ, ამ ტრაქტატის ვრცელი ამონარიდის მოხმობა ჩვენს შემთხვევაშიც უპრიანი იქნება:

პატიმრის ჩანაწერებიდან

*თუკი ქადაგებ ქვეყნად ჰუმანიზმს, კიდევაც შესძელ ტანჯვის ატანა,
შესძელ ალაგმო შენში გურმანი, გაავებული როგორც სატანა.
შიმშილის განცდა მწვავეა ფრიად, ვით სიცოცხლეზე აღმართვა ხელის,
გვამში გელვრება ვით ცხელი ტყვია, თავს დაგტრიალებს სიკვდილის ცელი.
ქარქაშში ხმაღს ნუ ჩაგაგებინებს დრო სიმუხთლისა და უხამსობის,
მხოლოდ შიმშილი შეგაგნებინებს რა არის პური ჩვენი არსობის.
რაა შიმშილი, მეტადრე ჩვენმა გამოცდილებამ უწყის პირადმა,
უწყოდა განდიმ, ლიკურგემ ბრძენმა, ნიდერლანდებმა და ლენინგრადმა.
მხოლოდ ძლიერთა ძალუძთ ალაგმონ სულმდაბლობა და ძაბუნნი შიში,
გარემოცვისას ბევრმა ქალაქმა მონის ბორკილი არჩია შიმშილს.
რადგან ქალაქი, ვით პიროვნება, თვითაა თავის ბედის მჭედელი,
საკუთარ ხალხის და ეროვნების სინდისისაგან მოუკვეთელი.
თუ გამოირჩა უფლის წინაშე და მოიხადა საქვეყნოდ ვალი,
უკვდავეოს ხსოვნა ხალხის წინაშე, წარუხოცელი დასტოვოს კვალი...
იქ სახუმაროდ სადღა გაცლიან, როცა სიკვდილთან ნიშნავ პაემანს,
სიკვდილზე ფიქრებს, სიბრძნის ამ დედას, თუ სამარცხვინოდ არ გაექცევი,
ჯანგალეული სხეულის ჭვრეტა, შემაზრზენ შიშად თუ არ გექცევა,
გარეშემოთა და შენდა ბედად, მაღალი აზრი უფსკრულთა ზედა.
კვლავაც აღმართავს ხელთუქმნელ სვეტად, ჭეშმარიტების შენისა ჭვრეტად,
მშობლიურ ცასთან კვლავ შეგაერთებს, რომ შიმშილობა ბოლომდე განდობს
საიდუმლოთა დიდთა სიკეთეს...
როს შეგრძნებების ალორძინება ისევ და ისევ წარმოშობს ახალს,
მიხვდები, ეგ ზომ გულმოდგინებით რად ინახავდნენ ძველები მარხვას.
შიმშილმა ისე უნდა დაგცადოს და შეგირყიოს სიცოცხლის ღერძი
დაუნაყრებლად რომ განიცადო გემოც, ხარისხიც ყოველი კერძის,
როცა შიმშილი დაძრწის წელებში და ცხედარივით ნარზე დაგდებენ,
მიხვდები მიზეზს ჩვენთა ქელებში, ხორცეულს რატომ არ ამზადებენ...
და ზეციური ნესტრით ვნებული, კერძთა სურვილის იგრძნობ ხელყოფას,
იგი ჰგავს განცდას მიცვალებულის რომ ემიჯნება მიწიურ ყოფას.
და გინელდება მაშინ წყურვილი, ეს თვითდინება აღარას გკითხავს,
ანაზდად ქრება ხორცის სურვილი, სურვილი პურის არ ცხრება დიდხანს...*

სიქველეს ფრიად ვერ ჰგუობს შური, რძისმიერ ნაწარმს სიმჟავე მძაფრი,
იხრწნება ხორცი, ობდება პური, არვის უხილავს ხრწნადობა თაფლის,
ნაყოფში წვენი არ დგება სწრაფად, რაც დიდი ხარჯის შესატყვისია,
ყვავილის წვეთი რომ იქცეს თაფლად, ამისთვის წუთიც საკმარისია...
მოუსხამს ლურჯი ცას კრეტსაბმელი, გაავდარება არ უწერია,
სამყარო ელავს როგორც კანკელი და ენა მისი ერთობ მჭევრია...
ვგრძნობ, როგორც სიზმარს, თითქო მითიდან, ვით ნამსხვრევები ძვირფას
ზოდების

ხსოვნაში მშვიდად ამოტივტივდნენ, ცხოვრების ჩემის ეპიზოდები.
როს რელიგიის ვსვამდი ზედაშეს, ვგრძნობდი სურვილებს ათასგ ზის ნაკლებს,
არ ვაწუხებდი დიდად დედაჩემს, თუ მცენარეულს ვითხოვდი საკვებს...
როდესაც შევრგე თავი ხიფათში და უჩინარი გავხდი საჩინო,
ოდეს შევები პოლიტიკაში, კვლავ ვეზიარე ხორცსა და ღვინოს,
თუმც ურთიერთში არ აღვურიე, საპირისპირო ორი საწყისი,
სჩანს ნებისმიერ სწრაფვას სულიერს, ამსოფლიური აქვს შესატყვისი.
წუხხარ, რატომღაც არ მოდის რული, წევხარ გამხდარი და გალეული,
აქეთ ნახევრად ამოხდილ სულით, იქეთ ერთთავად ჩონჩხად ქცეული...
ისევ წვალემა, ისევ წუხილი, გამოსაცდელად ჩემდა წვეული,
სიკვდილის პირას ვიყავ წუხელის, მაგრამ გაბრუნდა, მომწყდა ძლეული.
ბუნების წესებს არ მოხედავენ, ეგ ზომ უშუალოდ ჩვენში რომ იშვის.
და ხელოვნურად ვისაც კვებავენ, შეუნელებელს განიცდის შიმშილს.
ტანჯვაში ვერვინ შეეცილება ამგვარი ხვედრი ვისაც არ ასცდა,
ებრძვის შიმშილის გამოცდილება, უკმარისობის შემზარავ განცდას...
შეუპოვრობის განცდა ჯიუტი, დე, ნაადრევად სიკვდილს განელოს,
ოღონდ კი ტანჯვის ყოველი წუთი, ცნობიერების არეს შეეხოს,
მაგრამ ჩვენ ვიცით ცხოვრების ფასიც, გვაქვს მიწიერი ვალის შეგნება,
განვლილ დღეთათვის ვაგებთ ჩვენ პასუხს, სხვისგან ნუ ელით პასუხისგებას...
არ დაგვჭირდება ჩვენ ახსნა ვრცელი და განმარტება იმისთვის რათა,
მივხვდეთ ჩონჩხი და ელვარე ცელი, რად მიიჩნიეს სიკვდილის ხატად...
და ამ ხრწნადობის ნებით მძლეველი, ვინც შეუპოვრად მიაპობს ტალღებს,
მიხვდება, ცათა სასუფეველი რატომ ამსგავსა იესომ ბალღებს...
ვინაც ირეკდა, განელო კარი, მაღალთა შორის მოიხსენებენ,
ის სანუკვარი საცაა მხარე, სადაც მართალნი განისვენებენ...
უფალო, ღირს მყავ ჩემი ერისთვის არ შევეპუო ხვედრის სიმძიმეს,
აქ გამოვლილი სატანჯველისთვის, იქაურ ტანჯვას ნუ შემიმცირებ.
გთხოვ, მარტვილობა მიქციო ბრძმედად, გარდასახდენი არ განმარიდო.
ღირსად მყო მისა შენისა ჭვრეტად, ჩემი ცხოვრების სამაგალითოდ...
მე მოგვივლინა ვით გზა და კარი, ვდგავართ ახალი ცხოვრების კართან,
გადმოგვასხურა ციური ცვარი, გადაგვეფარა სიწმინდის კვართად,
კაცობის ჩვენის იქცა მდინარედ, წყაროდ რწმენის და წყაროდ ცხოვრების,
დაუფარავად გვამცნო ვინ არის, პურიც, სახსარიც ჩვენი ცხოვრების...

*წილხვდომ სიკვდილს თუ ვუმზერდე ავად, მაშინ ნამუსის ქუდი გავთელო,
ჩემი სამშობლო ზეცაა თავად, შემდეგ ეს მიწა და საქართველო.
გინდა მომკალ და გინდ დამარჩინე, მასზე მეტი ვარ, ვიყავი რაცა,
გმადლობ უფალო, რომ გამაჩინე, აუხდენელი ოცნების კაცად.*

შიმშილობის შესახებ დაწერილი მერაბ კოსტავას ეს ვრცელი ტრაქტატი შექმნილია ციხეში. იგი მისი პატიმრული ყოფის ერთგვარი ანარეკლია, სადაც მან ერთ წელზე მეტხანს იშიმშილა. მისი სიცოცხლის შენარჩუნებას მხოლოდ სამედიცინო ჩარევისა და ხელოვნური კვების მეშვეობით ახერხებდნენ. მერაბისეული შიმშილი ნამდვილი გმირობის ტოლფასი იყო. მან ჩემზე ისეთი წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა, რომ ბევრი მისი ყოფისთვის დამახასიათებელი რეალობა საკმაოდ ცხადად წარმოვიდგინე და განვიცადე. ამ განცდებისა და წარმოდგენების თაობაზე პრესაში ათამდე პუბლიცისტური წერილი გამოვაქვეყნე. გამოსაცემად მომზადებულია წიგნი მერაბ კოსტავას შესახებ, რომლის ავტორობა გულწრფელად მეამაყება, რადგან ყოველთვის მქონდა მერაბთან სულიერი ნათესაობის ერთგვარი განცდა. მაშინაც კი, როცა მას უშუალოდ არ ვიცნობდი და მის შესახებ მხოლოდ გადმოცემები მესმოდა. ამ სულიერი ნათესაობის განცდა მომავალში ერთგვარ მსგავსებაშიც კი აისახა. მერაბის პატიმრობის მსგავსად ჩემს პატიმრობასაც სამშობლოს სიყვარული დაედო საფუძვლად. დამატებით ამისა ჩემი პატიმრობა კიდევ უფლის სიყვარულითაც იყო განპირობებული, ანუ ძირითადი მოტივი, რისთვისაც მე ციხეში მოვხვდი, სწორედ უფლის სიყვარული იყო. არც საპატიმრო შიმშილი ყოფილა ჩემთვის უცხო, რადგან სააკაშვილის რეჟიმს დამონებულ, უუფლებო სასამართლოსთან პირისპირ შეხვედრამ სწორედ პროტესტის ასეთი ფორმისკენ მიბიძგა და შიმშილი პატიმრობაში მყოფისთვის უსამართლობასთან ბრძოლის ყველაზე უფრო ეფექტიანი საშუალება გახდა.

თბილისის საგუბერნიო ციხედ წოდებული №5 საპყრობილის 89-ე საკნის 110-მდე პატიმარი ძალიან კარგად ხედავდა თვითგვემის ხარჯზე თუ რა პირობებში და როგორი შემართებით ვებრძოდი უსამართლობას. სიბნელეში, უჰაერობასა და პატიმრებით გადაჭედებულ საკნის გაუსაძლის პირობებში უკომპრომისოდ ვიცავდი შიმშილობის საპროტესტო რეჟიმს. პირველ ეტაპზე ჩემს წილ პურს ჩემთან ერთად პატიმრობაში მყოფ მშიერ ადამიანებს ვურიგებდი. მოგვიანებით მითხრეს, რომ ჩემს საპროტესტო რეჟიმს ეფექტი არ ექნებოდა, თუ პური საკანში შემოვიდოდა. რის გამოც ამის შემდეგ ჩემი ულუფა დერეფანში რჩებოდა. “კარმუშკიდან” (ასე ეწოდება საკნის კარებში დაყოლებულ მცირე ფანჯარას, საიდანაც პატიმრები საკვებს ღებულობენ, ანუ საიდანაც მათ “კორმიატ”) კარგად ჩანდა დერეფანში პატარა მაგიდაზე მთელი დღის განმავლობაში როგორ იდო პური, რომელსაც საღამოს ზედამხედველი ჭამდა. ზედამხედველები პირველ ხანებში დამცინოდნენ და ჩემს შიმშილობას საცინლად იგდებდნენ. მერე და მერე მიხვდნენ, რომ საქმე საკმაოდ სერიოზულად იყო და ციხეს ამ პროტესტის გამო შეიძლება ერთგვარი “ჩეპე”

მოსვლოდა. დაიწყო საუბრები და წინადადებები, რათა შიმშილობა შემეწყვიტა, მაგრამ მე ის პატიმარი არ ვიყავი, რომელიც ციხის ადმინისტრაციის საუბრებს ისმენს და მათ წინადადებებს ღებულობს. მოგვიანებით მდგომარეობის სერიოზულობამ თვით მაღალი ჩინის ზედამხედველებიც შეაშფოთა და გამოსავლის ძიება დაიწყო. თუმცა გამოსავლის პოვნა დიდად არ გასჭირვებიათ, რადგან ეს თვით ჩემმა ეკლესიურმა ბუნებამ და პატიმრობის სარწმუნოებრივმა მოტივმა უკარნახა. საგანგებო გადაწყვეტილება მიიღეს და ჩემი სულიერი მოძღვარი ციხეში ისეთ დროს შემოიყვანეს, როდესაც ჩემი ნახვის უფლება ჯერ კიდევ არავის ჰქონდა. ამ დარღვევასა და კომპრომისულ ნაბიჯზე იმიტომ წავიდნენ, რომ კარგად იცოდნენ, რომ მოძღვარი და მისი კურთხევა ჩემთვის ყველა მათ იურიდიულ კანონსა და წესზე უფრო ქმედითი იქნებოდა. კარგად მახსოვს ციხეში სულიერი მოძღვრის (დეკანოზი დიმიტრი გორგიძე) შემოსვლა, რომელიც კი არ შემოვიდა, არამედ გამწარებული შემოვარდა იქ, სადაც მე ვეგულებოდი. მისი გაფითრებული სახე და შეშფოთებული თვალები შექმნილ მდგომარეობაზე ძალიან კარგად მეტყველებდა. მერე იყო ლოცვა; ლოცვა ცრემლებით სავსე თვალებით და იყო ეკლესიიდან წამოღებული წმიდა სეფისკვერი...



სულიერ მოძღვართან, დეკანოზ დიმიტრი გორგიძესთან ერთად

დღეს სამშობლოსათვის წამებულ მერაბ კოსტავაზე ვფიქრობდი და გამახსენდა მის შესახებ გამოქვეყნებული ერთი ჩემი წერილი:

იზოლატორის საკანს მომცრო ნათურის ყვითელი შუქი ეფინება “ზუმლატაში” გამოწყობილ პატიმარს ხელები ჯიბეში ღრმად ჩაუწყვია და ვიწრო საკანში წინ და უკან დადის, – ბოლთას სცემს, ნერვიულობს, რის გამოც სუნთქვა გახშირებული აქვს. ყოველი ამოსუნთქვისას ორთქლის ჭავლი სახის წინ ორ მტკაველზე გაილანდება და ქრება. ცივა, ყველაფერს ყინავს. ირგვლივ

სამარისებური სიჩუმეა. სიჩუმე კი არა მდუმარებაა. დუმს ქვის ყრუ კედელი, დუმს რკინის ცივი კარი, დუმს მაღალი ჭერი, ქვის იატაკი, ერთადერთი სარკმელი, რომლიდანაც გარე სამყაროს შუქი მოჩანს, მაგრამ ის გარე სამყაროც დუმს. პატიმარი სამყაროს დუმილის პირისპირ დარჩა. ბორგავს, უნდა დუმილის კედელი გაარღვიოს, მაგრამ როგორ?

საკანში შემოყვანის წინ ცელოფანის პარკში გადახვეული ქართული გაზეთები, სუფთა ფურცლები და ფანქრები ჩამოართვეს. პოლიტიკურებს ჩვენთან წერა-კითხვა ეკრძალებათო, უთხრეს. ცარიელ-ტარიელი პატიმარი შორეული ციმბირის საპყრობილეში მსოფლიო მდუმარებას ებრძვის, რათა საკანს მიღმა დარჩენილი სამყაროს ხმა მიაწვდინოს, ქვეყნებსა და ხალხებს გააგებინოს, რომ იგი მართალია.

უთხრეს, სასამართლოს ადამიანის უფლებათა დაცვის ჰელსინკელი ექსპერტი დაესწრებაო, მაგრამ არ ჩამოვიდა. ან კი იცოდა რომელიმე ექსპერტმა, რომ შორეული ციმბირის პატარა ხუტორში იძულებითი ჩასახლების სასჯელს იხდიდა ქართველი პოლიტპატიმარი, რომელსაც ახალი დანაშაულისათვის პროვოკაცია მოუწყვეს, ვითომ მილიციის ოფიცერი სცემა და ტანსაცმელი შემოახია, რისთვისაც თავიდან გაასამართლეს და სასჯელის ახალი ვადით საპატიმრო კამერაში შეაგდეს.

არც სამშობლოდან ისმოდა ხმა. თუმცა იქიდან რა ხმა იქნებოდა, იქ ხომ მისი ახალი სასჯელის შესახებ ჯერ-ჯერობით არაფერი იცოდნენ. ბოლო წერილი გაახსენდა, რომელიც იზოლატორიდან გააგზავნა. არაფრის მიწერას აპირებდა, მაგრამ დედის წერილი მიიღო: შემატყობინე, სასამართლოს როდის დანიშნავენ და ცოცხალი თუ მკვდარი მაინც ჩამოვალ, იწერებოდა. სწორედ ამ წერილის პასუხად მისწერა.

“ძვირფასო დედა! ნუ ჩამოხვალ სასამართლო დახურული იქნება და მაინც არ დაგასწრებენ. არავის ჩამოსვლა საჭირო არ არის. პატიმრობა მე არ მაშინებს. გეხვევი, გკოცნი, შენი მერაბი”.

სასამართლო დახურული არ ყოფილა, მაგრამ მერაბმა თბილისში მაინც არ შეატყობინა. პროცესს თითქმის არავინ დასწრებია და იგი ცარიელ დარბაზში გაიმართა. მოსამართლემ პროვოცირებული ბრალდება, როგორც იტყვიან, თვალშისაცემი თეთრით დალაშხა. დააბოლოვა და ბრალდებულის საბოლოო სიტყვასთან მივიდა. პროცესი ისეთი დარღვევებით წარიმართა, რომ ‘ბრალდებული’ საბოლოო სიტყვის თქმის უფლებას აღარც კი ელოდა.

– ბრალდებულო კოსტავა, თქვენი საბოლოო სიტყვა.

“ბრალდებული” ფეხზე წამოდგა, ხელით მოაჯირს დაეყრდნო. მის ნათქვამს ახლა არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, მაგრამ სიტყვის თქმის უფლება ხელიდან მაინც არ გაუშვა.

– ჩემს წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდება ცილისმწამებლურია და თავს დამნაშავედ არ ვცნობ. თქვენ სწორედ ისე მექცევით, როგორც რუსეთი ექცევა ჩემს პატარა სამშობლოს. თქვენი მიზანი დაპყრობა-დამორჩილებაა,

მაგრამ ვერც მე და ვერც ჩემს საქართველოს დამონებულს ვერასოდეს გვნახავთ!

ბრალდებული გაჩუმდა და დაჯდა.

სასამართლოს მდივანი კალმით ფხაჭუნს მორჩა და მოსამართლეს გადახედა.

ეს წერილი გაზეთ “შანსის” 1997 წლის 72-ე ნომერში გამოვაქვეყნე და მისი სათაური არის “საბოლოო სიტყვა”. ასეთი საბოლოო სიტყვის თქმა მე ორჯერ მომიწია, რადგან ორჯერ გამასამართლეს და ორჯერვე პატიმრობა მომისაჯეს. პირველი წინასწარი პატიმრობის მოსჯა იყო, მეორე კი ჩემს მსჯავრდებულად ცნობასა და საპატიმრო დროის განსაზღვრას ითვალისწინებდა:

საბოლოო სიტყვა №1

გუშინ ჩემთვის სრულიად მოულოდნელად დამაპატიმრეს. დღეს კი თქვენ გიწევთ ჩემი პატიმრობის სასამართლო გადაწყვეტილებით გაფორმება. იმედია, მე მომეცემა საშუალება ჩემს მიმართ სრულიად აბსურდული ბრალდების თაობაზე დეტალური საუბრისა, რასაც ამჟამინდელი სასამართლო განხილვა მიზნად არ ისახავს. ამიტომ ახლა მხოლოდ იმას მოგახსენებთ, რომ ჩემი საზოგადოებისაგან იზოლირებისა და საპატიმრო რეჟიმში აყვანის არავითარი საფუძველი და არავითარი საჭიროება არ არსებობს. თვით ის აბსურდული ბრალდებაც კი, რომელიც სექტანტებმა ჩემს წინააღმდეგ შეთხზეს, პატიმრობის საჭიროებას არ ბადებს, რადგან მე საშიში არათუ საზოგადოებისათვის, არამედ ჩემთან დაპირისპირებული სექტანტებისთვისაც არა ვარ. მათთან ურთიერთობის არც ერთი შემთხვევა ჩემი ინიციატივით არ მომხდარა. ისინი თვითონ მხვდებოდნენ, თვითონ მაჩერებდნენ და თვითონ იყვნენ ინიციატორები ჩემთან საუბრისა, რომელი საუბრითაც შეურაცხყოფდნენ ჩემს ყოვლადწმინდა უფალს. მე ვეწინააღმდეგები სხვისი სიწმინდის შეურაცხმყოფელ საქმიანობას და ვგმობ მავნებლურ იდეოლოგიას, მაგრამ, როგორც ადამიანებს, მათ არ ვდეენი და მათთან მტრულ ურთიერთობებს არც შემდეგში ვისახავ მიზნად. როგორც მათივე საჩივრიდან ირკვევა, ისინი მითვალთვალებდნენ და გზაზე მსტოვრებივით მხვდებოდნენ. მერე კი ჩემი რწმენის შეურაცხმყოფელი საუბრებით ცდილობდნენ ჩემში ბუნებრივი აღშფოთების გამოწვევას, ამიტომ ჩემი დაპატიმრება იმ მიზეზით, რომ მოხდეს მათგან ჩემი იზოლირება ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია. ჩემს წინააღმდეგ აღძრული საჩივარი იდეოლოგიების ჩემზე ანგარიშსწორებაა და სხვა არაფერი. ამ სექტანტებთან მარტოოდენ იდეოლოგიური, აზრობრივი წინააღმდეგობა მაქვს და იგი დებატების ცივილურ ფორმას არ სცილდება. მაგრამ ამ საუბრებში სექტანტები იმდენად ხელმოცარულნი არიან, რომ მსჯელობას გაურბიან და პოლიციური ინტრიგებით ცდილობენ ჩემზე ანგარიშსწორებას. იდეოველთა გულის გასახარად მე შეიძლება მართლაც

დამსაჯოთ, მაგრამ ჭეშმარიტებას ამით ვერ დასჯით; მას ჩემსავით ბორკილებს ვერ დაადებთ და ჭეშმარიტებას ჩემს მსგავსად რკინის გისოსებში ვერ გამოკეტავთ.

ჩემს წინააღმდეგ აღძრული საჩივრებით სექტანტებმა უარყვეს ჯანსაღი აზრობრივი პოლემიკა და ანგარიშსწორების ყველაზე უფრო ლაჩრული გზა აირჩიეს, რაც დასმენით, ჩაშვებითა და ბინძური ინტრიგებით ხორციელდება.

მე ბუნებით კანონმორჩილი პიროვნება ვარ და ჭეშმარიტების კვლევაში ჩემგან სასამართლოს პრობლემა ნამდვილად არ შეექმნება, უფრო მეტიც, სიმართლე ამჟამად ჩემს მხარეს არის და მისი კვლევით მე თვითონ ვარ დაინტერესებული. ამიტომ სასამართლოს მინდა მაქსიმალურად შევუწყო ხელი. ნებისმიერ თქვენს მიერ მითითებულ დროს გამოვცხადდები და სასამართლოს ჩემი პატიმრობის არავითარი საჭიროება არ ექნება.

ნასამართლები არასოდეს ვყოფილვარ და ამ სფეროსთან ორმოცდახუთი წლის ასაკში ჩემი პირველი შეხვედრა, ის ანგარიშგასაწევი ფაქტორია, რომელმაც ჩემთვის საპატიმრო დადგენილების გამოტანაზე თავშეკავებისაკენ უნდა გიბიძგოთ.

ციხესა და პატიმრობასთან არა მხოლოდ მე, არამედ ჩემი საოჯახო მოდემის არც ერთ წევრს კავშირი არ ჰქონია. ამიტომ ციხე ჩემი ცხოვრების ფაქტორი არასოდეს ყოფილა. იმედია, არც თქვენი სასამართლო დადგენილება იქცევა ამის საწყისად.

ამჟამად ვიმყოფები სისტემატურ სამედიცინო კონტროლზე და მიტარდება სპეციალური სამკურნალო პროცედურები. წუხელის ჩემი პატიმრობის პირველი ღამე გავატარე იზოლიატორში, სადაც ძლიერი ტკივილებით შეწუხების გამო სასწრაფო დახმარება გამოიძახეს და შუადამეგადასულზე ძლივს შეძლეს სათანადო ნემსის გაკეთება. ადამიანის ჯანმრთელობის ფაქტორს თვით კაცთმოძულების ეტალონად ქცეული ფაშისტური რეჟიმიც ითვალისწინებდა. მას ითვალისწინებს ყველა ცივილური სამართალი და იმედია ჩემი სასამართლოც გაითვალისწინებს.

არ შეიძლება ღირსებისაგან თავისუფალი და საეჭვო რელიგიური წარმომავლობის მქონე სექტანტების კაპრიზებით შეილახოს ჩემი ღირსება და პატიმრობაში ამიყვანოთ. მითუმეტეს, როცა მათ ბოროტ კაპრიზებს არავითარი ობიექტური საფუძველი არ გააჩნია.

მე, როგორც ჟურნალისტი, არა მხოლოდ განათლებით ვარ ჰუმანიტარი, არამედ მოწოდებითაც ჰუმანისტი ვარ. მთელი ჩემი ცხოვრება ჰუმანურ პრინციპებს ვიცავ და არ შეიძლება სწორედ ჰუმანიზმის საწინააღმდეგო მუხლითა და მდევნელის სახელით გამასამართლოთ. არ შეიძლება, რადგან მე თვითონ ვარ ყოველგვარი დევნისა და შევიწროვების წინააღმდეგი.

მე არამარტო ღირსების სახელმწიფო ორდენის კავალერი ვარ, არამედ საერთოდ ღირსებაზე ორიენტირებული კაცი ვარ და ღირსება ჩემთვის ცხოვრების წესსა და ადამიანებთან ურთიერთობის ძირითად ფორმას წარმოადგენს.

მთელი ჩემი საგამომიებო ისტორია სხვა არაფერია, თუ არა სამშობლო-ქვეყნის სიყვარული და დაცვა მისი სულიერი სიწმინდისა. პატრიოტიზმი წმიდათაწმიდა გრძნობაა და არ შეიძლება ვინმე მას დანაშაულად მიიჩნევდეს, მითუმეტეს ჩვენში, სადაც პატრიოტიზმი არა მხოლოდ შემეცნებითი ფენომენია, არამედ იგი ყოველთვის იყო და კვლავაც რჩება თავგანწირვის მოტივაციად და მის უშუალო გამოხატულებად. სირცხვილია ასეთი მაღალი პატრიოტული კულტურის მქონე ქვეყანაში პატრიოტიზმის გამო მასამართლებდეთ და უფრო მეტიც, პატრიოტიზმის გამო დამსაჯოთ.

სამშობლოსათვის მლოცველ ჩემს მცირეწლოვან შვილებს არ უნდა დაუჭიროთ მამა პატრიოტიზმის ბრალდებით და არ უნდა დავანახოთ მათ ის სახელმწიფო უსამართლობა, რომლის მეშვეობითაც სამშობლოს სიყვარული დანაშაულად შეირაცხება. დღეს არამხოლოდ ჩემი პატიმრობის საკითხი წყდება და არამარტო მე მასამართლებთ, არამედ ჩემთან ერთად სამართლდება ჩემი სამშობლო-ქვეყანა და უფალი ჩემი, რომელსაც აგერ უკვე მე-20 საუკუნეა მართლად ვადიდებთ და რის გამოც სრულებით სამართლიანად ვიწოდებით მართლმადიდებლებად.

იელოველებისაგან პროვოცირებული სასამართლო დავა და მისი გამოისობით ჩემი პატიმრობაში აყვანა სამარცხვინო ფაქტი იქნება ჩვენი ქალაქისა და მისი საკმაოდ მაღალი თვითშეგნების მქონე საზოგადოებისათვის. იმედია, სასამართლო თავს აარიდებს ამ სირცხვილს და ჩემს უსამართლო პატიმრობას თავის სამუშაო აქტივში არ ჩაიწერს.

**2006 წლის 5 დეკემბერი,
ქალაქი რუსთავი.**

P.S. ამ საბოლოო სიტყვის წარმოთქმის შემდეგ, სასამართლო არც კი დაფიქრებულა, ისე გამოიტანა ბრძანება პატიმრობის შესახებ. ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს ეს გადაწყვეტილება სასამართლოს იქ კი არ მიუღია, არამედ იგი სადღაც, სხვაგან, უფრო დიდსა და პირქუშ შენობაში იყო მიღებული. ხოლო მოსამართლემ მხოლოდ წაიკითხა. წაიკითხა თვითდაჯერების გარეშე, გაუბედავი ხმადაბლობითა და მიფუჩჩებით. სწორედ ისე, მისი სხვათათვის გაცნობა რომ ეთაკილება და მის გამოაშკარავებას ერიდება. ამას თვით მოსამართლის ხმა და კითხვის მიფუჩჩებული მანერა ამხელდა. მაგრამ მაინც კითხულობდა... ბოლოს საკმაოდ ხმამაღლა და საზეიმო ტონით გამოაცხადა: პატიმრობის ვადა ჩაეთვალოს გუშინდელი დღიდანო.

პატიმრობის ეს სასამართლო დადგენილება ძალიან ბევრისთვის მიუღებელი და აღმაშფოთებელი აღმოჩნდა. გაკეთდა სპეციალური მიმართვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სახელზე, სადაც საქართველოს პარლამენტის სახელით დეპუტატთა თორმეტკაციანმა ჯგუფმა ჩემი თავდებით განთავისუფლების შუამდგომლობა დააყენა. მაგრამ ჩემი

პატიმრობის სასჯელი ისეთი განსაკუთრებული დაინტერესების საგანს წარმოადგენდა, რომ სააპელაციო სასამართლომ იგი 2006 წლის 13 დეკემბრის დადგენილებით ძალაში დატოვა და მისი შემდეგი გასაჩივრების უფლებაც ჩამომართვა.

ამავე სასამართლოს მიერ მიღებულ დადგენილებაში წერია, რომ იგი “არ არის უფლებამოსილი... განიხილოს და მიიღოს გადაწყვეტილება ბრალეულობის საკითხზე”. ვის სჭირდება ისეთი სასამართლო, რომელიც ადამიანთა პატიმრობისა და ციხეში ჩაყრის დადგენილებას მათი ბრალეულობის განხილვის გარეშე ღებულობს და თურმე მას საამისო განხილვის უფლებამოსილებაც კი არ გააჩნია? რა საბრალაო ასეთი უუფლებო სასამართლო და რაოდენ მზაკვრულია მიზანი, რომელსაც ასეთი სასამართლო-კანტორა ემსახურება. ჩემს მიმართ გამოტანილი სასამართლო დადგენილება ზუსტი ანარეკლია დღეს ჩვენში არსებული საერთო სასამართლო სახისა და აქ გამეფებული უსამართლობისა.

ბრალეულობის საკითხს არ განვიხილავთ, მაგრამ პატიმრობას თითქმის ყველას ვუსჯით და ვუსჯით ისეთი დიდი წარმატებებით, რომ ციხეებში ადგილი აღარ არის. ვაშენებთ ახალ ციხეებს, მაგრამ მაინც საპატიმრო სივრცის დეფიციტია. საქართველოში ყვარყვარეს ციხის პრინციპი ამოქმედდა. დასმენები, დაჭერები და დაპატიმრებები ისეთ პოპულარულ სახელისუფლებო საქმედ იქცა, რომ ამის შესახებ ყოველდღე თავმოწონებით აცხადებენ. ლამის არის მთელი ქვეყანა ყვარყვარეს ციხეს დაამსგავსონ, სადაც მთავარია ციხის კარები დაიხუროს და მაგრად დაიკეტოს. უდანაშაულო ხალხის ციხეში ჩაყრა, უსამართლო სასამართლო და ქვეყანაში საყოველთაოდ გამეფებული სიცრუე არავის ადარდებს. ხელისუფლება ფართო ნაბიჯებით მიუძღვის ქვეყანას. მიუძღვის და მიყავს წინ – ყვარყვარესაკენ. მიყავს ქვეყანა დროშების ფრიალით, თვალსაამურ შადრევნებითა და სახელისუფლებო უსამართლობით.

ასეულობითა და ათასეულობით ადამიანი უსამართლობით იტანჯება.

ციხეში ხალხი აღარ ეტევა, მაგრამ დაჭერებით გატაცებული ხელისუფლება ამაზე ნაკლებად ფიქრობს და კარს საიმედოდ კეტავს, რადგან მათთვის მთავარი ის არის, რომ ციხის კარები იკეტებოდეს, რომლის სიღრმიდან გამუდმებით მოისმის ხმები: აღარ ვეტევიტ! კარები აღარ იხურება! ციხე პატიმრებს ვეღარ იტევს, სამართალი ფეხქვეშ გაითელა, უსამართლობისაგან სული გვეხუთება, უსამართლობაში ვიხოცებით, ადამიანებ ო ო ო!

საბოლოო სიტყვა №2

დღემდე შეძრული ვარ იმ მოულოდნელობით, რომელსაც ჩემი დაპატიმრება წარმოადგენს. საბრალდებო საქმე იმდენად ვერაგულად არის შედგენილი და ობიექტური რეალობა ისეთი კუთხით არის წარმოჩენილი, რომ

იგი არათუ დაპატიმრების, არამედ ჩამოხრჩობის საფუძვლადაც შეიძლება გამოდგეს.

სასამართლო განხილვამ ჩემი უდანაშაულობა საკმაოდ მკაფიოდ წარმოაჩინა. მაგრამ მთავარი ის არის, თუ რამდენად შეუძლია სასამართლოს ამ უდანაშაულობის გაზიარება.

მე ვაღიარებ სექტანტებთან ჩემს იდეოლოგიურ წინააღმდეგობას, რომელიც სულიერების სფეროს განეკუთვნება და თეოლოგიური ხასიათისაა. მათთან ჩემი წინააღმდეგობა გამოწვეულია არა იმით, რომ ისინი იელღველები არიან, ისევე როგორც სხვები არიან ბაპტისტები, ორმოცდაათიანელები, ან კიდევ სხვა რაღაც გაუგებრობები, არამედ იმით, რომ ისინი არღვევენ ჩემი უფლისა და ჩემი ქვეყნის სხვათაგან დამოუკიდებელ, წმიდათწმიდა ინტერესებს. მე მხოლოდ მათი მავნებლური საქმიანობას ვამხილებ, რაც სიტყვის თავისუფლების კონსტიტუციით გათვალისწინებული უფლებაა; მაგრამ მე სწორედ ამ სამართლებრივი უფლების გამოყენებისათვის დავისაჯე. ასევე, სრული კანონიერი უფლება მქონდა საკუთარი პოზიციის საჯაროდ გამოხატვისა, რაც ჩემი მიტინგში მონაწილეობით განხორციელდა. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ეს მიტინგი სამშვიდობო ხასიათით, დემოკრატიული მოწოდებებითა და ცივილური ფორმებით საქართველოში ჩატარებული ყველა სხვა მიტინგისაგან გამორჩეული იყო.



ორთაჭალის ძველი ციხე და მისი ყოფილი პატიმარი

სავალალო კურიოზად უნდა ჩაითვალოს ის ბრალდება, რომელიც ტუალეტში ჩემს შესვლასა და იქიდან გამოსვლას შეეხება, რაც იელოველებმა ფარული კამერით გადაღებული მასალის სახით წარმოადგინეს და რომელსაც უახლოესი სკოლის შენობაში მიტინგის სააგიტაციოდ შესვლის ბრალდებად მიყენებენ. თვით ეს ფარული გადაღება კანონსაწინააღმდეგო ქმედებაა, რომლითაც ჩემი სამართლებრივი უფლებები შეილახა, მაგრამ ამას არავინ ჩივის და არც არავინ დაგიდევთ. მათთვის მთავარი ის არის, რომ ტუალეტი სხვათა მსგავსად მეც მჭირდება. მხოლოდ სხვათაგან განსხვავებით ტუალეტის საჭიროება ჩემთვის ბრალდების მიზეზი და ციხეში ჩასმის ერთ-ერთი საფუძველი ხდება. ეს ფაქტი მნიშვნელოვან წარმოდგენას იძლევა იმ ინტრიგანულ ბუნებაზე, რომლითაც ჩემი მომჩივანე მხარე არის შეპყრობილი. სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს საერთო ხასიათი იმ კაცთმოდულებისა, რომლითაც იელოველთა ინტრიგები იხლართება და რომელიც ძირითადი მოტივია იმ ბრალდებისა, რომლისთვისაც მე ვისჯები.

ჩემი ამ რკინის გისოსებში გამოკეტვა არის შედეგი იმ ფიზიკური და სამართლებრივი დევნისა, რომელსაც სექტანტები მიზანმიმართულად აწარმოებენ. ამ დევნაში სამართალდამცავი ორგანოები ისეთ დიდ მონდომებას იჩენდნენ, რომ ჩემგან სიმართლის მტკიცებას აღარავითარი აზრი არ ჰქონდა, რის გამოც გამოვიყენე დუმის კანონიერი უფლება და გარკვეული პერიოდი საერთოდ დადუმებული ვიყავი. რაღაც მომენტში კვლავ მომეცა იმედი, რომ იქნებ სასამართლომ მაინც შეისმინოს ჩემი სიმართლე და ობიექტურად მიუდგეს იმ რეალობას, რომელიც სასამართლოს წინაშე აღსარებასავით გულწრფელად ვაღიარე. ამ რეალობის არსებითი ნაწილი თვით მომჩივანმა სექტანტებმაც კი ვერ უარყვეს, თუმცა ჩვეულებრივი წვრილმანებით სცადეს მიჩქმალვა ძირითადი წინააღმდეგობისა და არაფერი თქვეს იმ საყოველთაო პროზელიტიზმის შესახებ, რომლის მავნებლობით შეწუხებულია მოსახლეობა და რომელსაც გმობს საზოგადოება. მე მხოლოდ საზოგადოების ეს დამოკიდებულება გამოვხატე და ჩემი ქალაქის მოსახლეობის წუხილი საჯაროდ გავახმიანე. იელოველთა საყოველთაო პროზელიტიზმი ხასიათდება შეფარული აგრესიით, რომელიც უარყოფს მნიშვნელოვან ზნეობრივ პრინციპებს, გმობს სახელმწიფოებრივ ინტერესებს და არღვევს ადამიანთა მშვიდობიანი თანაცხოვრების წესს.

ისინი გაგებით ხვდებიან ჰომოსექსუალიზმს და ადამიანის უფლებების დაცვის მომიზეზებით, მისაღებად მიიჩნევენ მამაკაცთა სქესობრივ თანაცხოვრებას და ლესბოსური ვნებებით შეპყრობილი დედაკაცების ურთიერთ შეუღლებას.

ისინი აღიარებენ ანარქიულ პოლიტიკურ წყობას და სახელმწიფო ხელისუფლება მათთვის მხოლოდ სატანური წარმონაქმნია. სწორედ ასეთ კონტექსტში არის მოხსენიებული ხელისუფლება მათი გამოცემის მესამე გვერდზე, რომლის სათაურია “ცრუ რელიგიის აღსასრული”.

ისინი უპირისპირდებიან ქვეყნის მთლიანობის მცნებას, შეუპოვრად იბრძვიან საზოგადოების გახლეჩვის, ადამიანთა დაპირისპირებისა და საერთო სულიერი ერთობის დარღვევისათვის.

მათთვის მიუღებელია სახელმწიფო სიმბოლიკა და დაგმობილია ბიბლიური რეალობის ამსახველი საქართველოს დროშა. მასზე გამოსახული სისხლისფერი ჯვრები, როგორც პავლე მოციქული იტყოდა, “სიცოფეა” იელოველებისათვის. აღარაფერს ვამბობ წმიდა გიორგის გამოსახულებით გამშვენებულ სახელმწიფო გერბზე და მის ეროვნულ მნიშვნელობაზე, რომელიც სექტანტებისათვის კატეგორიულად მიუღებელია.

იელოველები უარყოფენ სავალდებულო სამხედრო სამსახურში მონაწილეობას და თავიანთი ქადაგებებით ხელს უწყობენ დეზერტირობის განვითარებას.

ისინი აქტიურად ებრძვიან ჯერ კიდევ III საუკუნიდან სახელმწიფო რელიგიად აღიარებულ ქვეყნის სულიერ ერთობას. ემევენ დაბალი ცნობიერების ადამიანებსა და სულიერებისადმი ინდიფერენტულად განწყობილ პირებს და ცდილობენ მათი საერთო სახელმწიფო რელიგიიდან გაყვანას, რათა გააერთიანონ ამ რელიგიისადმი მტრული იდეოლოგიით შეპყრობილ სექტაში. ამით იელოველები ეწვევიან ქვეყნის საერთო სულიერი წყობის დარღვევასა და მასში წინააღმდეგობრივი დაპირისპირების შექმნას.

ჩვენს სასამართლო დავაში ამისი ნათელი მაგალითი იყო ის პატარა ბიჭი, რომელიც სახარებისეული მუხლებით შეგვახსენებდა მოციქულებისათვის ნათქვამ მაცხოვრის სიტყვას “წადით და მოიმოწაფეთ”. “მოციქულები დაიხოცნენ, ახლა კი მე უნდა ვიარო და ვიქადაგო სარწმუნოების გასავრცელებლად”, განაცხადა ბრიყვული სითამამის მქონე 14 წლის ახალგაზრდამ, რომელიც დადის ამ ორიათასწლოვანი ქრისტიანული კულტურის მქონე ქვეყანაში და სარწმუნოებას ავრცელებს. ამ პატარა ბიჭმა ყმაწვილური აღფრთოვანებით უამბო სასამართლოს, თუ როგორ მიატოვა თავისი მართლმადიდებელი ნათლია. როგორ უარყო ნათლობის მადლი და იელოველი დედის მეშვეობით ჯერ კიდევ ცხრა წლის ასაკში როგორ ეზიარა იელოველობას. ეს ბიჭუნა ჩემი მთავარი ბრალმდებელია, სწორედ მის მიერ წამოყენებული საჩივრის საფუძველზე ვიმყოფები პატიმრობაში. ჩემი ციხიდან გამოსვლის შემდეგ მე იგი ოჯახში უნდა მივიწვიო; ჩემს ბიჭებთან ერთად ტკბილეულით ვუმასპინძლო და მათთან ერთად ველაპარაკო სიმართლისა და სიცრუის ზოგად არსზე და, საერთოდ, ადამიანობაზე.

მე თვითნებობისათვის არა ვარ დაპატიმრებული, ჩემს მიერ ჩატარებული მიტინგის საკითხი შეთანხმებული იყო ქალაქის მერთან და ყველასთან, ვისთანაც ეს საჭირო იყო. ასევე შეიძლება ითქვას, რომ მე არც მხოლოდ პირადი ინტერესებისათვის ვისჯები. მაგრამ ჩემი ქალაქის დიდი ნაწილი და მისი ხელმძღვანელობა ამ უსამართლო პატიმრობის ჟამს გულგრილთათვის დამახასიათებელი უშფოთველობით დუმს და საკუთარ ადამიანურ პასუხისმგებლობას ვერ გრძნობს. ასეთი გულგრილობის ფონზე კიდევ უფრო


დიდი სიყვარულით განვიცდი იმ ადამიანების არსებობას, რომლებიც მთელი ეს პერიოდი მუხლჩაუხრელად დგანან და სიმართლის ზეიმს სულმოუთმენლად ელიან. თამამად შემიმძლია ვთქვა, რომ ციხის წყვდიადსა და ჩემს ირგვლივ ჩამოწოლილ სიბნელეს სწორედ მათი ფართოდ გახეილი თვალები მინათებენ.

ჩემი პატიმრობის სასამართლო დადგენილებას დიდი ასოებით აწერია სახელი ჩემი სამშობლო-ქვეყნისა, რაც პირდაპირი მითითებაა იმისა, რომ მე საქართველოს სახელით ვარ ბრალდებული. მთელი ჩემი ფიქრითა და მოქმედებით ვცდილობ ჩემი სამშობლო-ქვეყნის ინტერესების დაცვას და მისი სულიერი სიწმინდის შეუზღალველობისათვის ვიბრძვი; მაგრამ რაოდენ უცნაურია, რომ სწორედ საქართველოს სახელით მასამართლებენ და მისივე სახელით მსჯიან. ეს გარდა დიდი უსამართლობისა, დიდი ცინიზმი და მწარე ირონიაა. ასეთი ცინიზმისა და ირონიის აღძვრა ადამიანურ შესაძლებლობას აშკარად აღემატება და მისი პროვოცირება მხოლოდ სატანურ აზროვნებას შეეძლო გაეკეთებინა.

არ ვიცი სხვათათვის ეს რამდენად გასაგებია, მაგრამ მე ძალიან კარგად მესმის მიზეზი ჩემი პატიმრობისა, რომელიც გულწრფელად მეამაყება, რადგან მეამაყება სიყვარული უფლისა ჩემისა და მისი საღმრთო ინტერესებისათვის მსახურება, რაც მთლიანად მოიცავს ჩემი სამშობლო-ქვეყნისა და მისი ხალხის ინტერესების დაცვას. საკვირველი და სავალალო მხოლოდ ის არის, რომ მე ამ სიყვარულის გამო მაპატიმრებენ და ამ ინტერესების დაცვისათვის მასამართლებენ. ამიტომ ეს არ არის მხოლოდ ჩემი სასამართლო პროცესი. ამ სასამართლოზე ჩემთან ერთად სამართლდება ჩემი სამშობლო-ქვეყანა და სამართლდება ყოვლადწმიდა უფალი ჩემი!

რისთვისაც მე მასამართლებთ, ამისთვის წარსულში ჩემს წინაპრებს ხოცავდნენ და ეს იყო არამხოლოდ ზოგადად საქართველოს რეალობა, არამედ იყო უშუალო და პირდაპირი ხოცვა ჩემი წინაპრებისა, რომელთა შესახებ უზარმაზარი წიგნებია დაწერილი (მელიქი არაბული სიტყვაა და მმართველს, გამგებელს ნიშნავს). მელიქიძე ზოგს მხოლოდ გვარი ჰგონია ჩემი და არაფერი იცის იმ ისტორიულ სახელისუფლებო თანამდებობაზე, რომელიც მესხეთის მელიქობა იყო და საიდანაც ჩემი მელიქის ძეობა მომდინარეობს. რაოდენ ძნელი იქნებოდა მათთვის მრავალგზის სისხლით განზანთილ მესხეთში ექართველათ და ექრისტიანათ, ან პირიქით, ექრისტიანათ და ექართველათ. მათ ფონზე ჩემი ქვეყნისა და ჩემი უფლის მტერთაგან ჩემზე მოწეული განსაცდელი ერთობ მსუბუქი და ერთობ ტკბილია. რადგან ტკბილია განცდა უფლისა და სამშობლოსი, რომლის სისხლხორცეულ ნაწილადაც თავს მივიჩნევ და რომელთან ერთობაც ძალიან მეამაყება. ამიტომ თქვენს მიერ გამოტანილ სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრებას არ ვაპირებ და მზადა ვარ ღირსეულად მივიღო ყოველგვარი სასჯელი, რომელიც უფლისა და სამშობლოს სიყვარულისათვის უნდა მომესაჯოს.

როდესაც რკინის გისოსებით გადარაზულ ოთახში ჩემი საბრალდებო დასკვნის კითხვა დაიწყო, უნებლიედ გაცოცხლდნენ შორეული ხმები, თითქოს ორი ათასი წლის შორეთიდან უამრავი ადამიანის პირი ერთდროულად მომყვიროდა: ჯვარს აცუ! ჯვარს აცუ! ეს იყო არა მხოლოდ ხმა, არამედ ადამიანთა გამეხებული პირიდან ამოვარდნილი დაუნდობლობა, რომელსაც შესწევს ძალა საუკუნეების გარღვევისა და სიმართლეზე უსამართლოდ ამხედრებისა. დაპატიმრების პირველი დღიდან ეს პირგამეხებული ძახილი ჩემს სმენას აღარ სცილდება და მისი შეჩერება ახლა მხოლოდ ამ სასამართლოს შეუძლია.



უფლისა და სამშობლოს სიყვარულისათვის პატიმარყოფილი

მიმაჩნია, რომ ჩემს სასამართლო დადგენილებას ხელი უნდა მოაწეროს არა პილატე პროკურატორმა, არამედ ჩემი სამშობლო-ქვეყნის პროკურორმა და მოსამართლემ. და თუ მაინც იმძლავრა პილატე პონტოელის ვერაგმა სულმა, მინდა შეგახსენოთ, ჩემი მომჩივანი მხარისაგან დაგმობილი ჯვარი და გითხრათ: ჯვარი ეწეროს, ბატონებო, განსჯასა ჩემსა!

**უფლისა და სამშობლოსათვის
ბრალდებული გიორგი-გოგიტა მელიქიძე,
2007 წლის 13 თებერვალი.**

P.S. დადგება დრო და ამ დღეებისა ყველას შერცხვება. ყველას შერცხვება ჩემი ციხეში ჩაგდების გამო. რადგან ეს იმდენად უსამართლო და უკეთური გადაწყვეტილებაა, რომ ამან არ შეიძლება ადრე თუ გვიან არ შეგაწუხოთ. ეს წუხილი თქვენი სინდისის ხმის გამოღვიძება იქნება. ღმერთმა მოგმადლოთ სინდისის განცდა ჩემო უსინდისოდ განმკითხველნო.

IV დღე

წუხანდელი ღამე ლოცვაში გავატარე. ლოცვის დროს იმდენად დიდხანს მომიწია პარლამენტის ქვის ცივ კიბეებზე დგომა, რომ გავცივდი. მაგრამ მაინც მხნედ ვარ. მხნეობას ის ბედნიერი მოლოდინიც მანიჭებს, რომ დღეს უნდა ვეზიარო. წუხელის ჩემი აქციაში მონაწილეობის მესამე ღამე იყო და პირველად ვნახე სიზმარი: ჩემმა სულიერმა მოძღვარმა (დეკანოზი დიმიტრი გორგიძე) ძილში ოქროსფერით გაწყობილი წითელი სტიქარი მომიტანა, რომელსაც წინ ძალიან დიდი ღილი ჰქონდა. გამიკვირდა, ასეთი დიდი ღილი რატომ იყო. ეტყობოდა, რომ სტიქარი ახალი არ იყო, რადგან ხმარების ნაცვეთობები ემჩნეოდა. მაგრამ მაინც ძალიან გამიხარდა იმის გამო, რომ ნახმარი სტიქარი ნალოცი და უფრო მადლიანი იქნებოდა. შინაგანად აღფრთოვანებულს გამეღვიძა და ახლა ამ აღფრთოვანების გამო გამიკვირდა, რადგან ჩემს სტიქაროსნობაზე უკვე სამჯერ იყო ლაპარაკი და ვერ გავხედე. იმდენად განსაკუთრებულ პასუხისმგებლობად მივიჩნიე, რომ თავშეკავება ვამჯობინე. ახლა კი სიზმარში ნანახმა სტიქარმა როგორ გამახარა.

გაღვიძებისთანავე კვლავ ვილოცე, მერე ცოცხი ავიღე და ჩვენი კარვების ქალაქი დავგავე. დასაგველი ბევრი არაფერი იყო, მაგრამ მაინც მინდა აბსოლუტურად სუფთა ვიყოთ, რადგან სისუფთავის განცდა თავისთავად ბედნიერებაა. ამ ბედნიერებისაკენ სწრაფვა იმდენად გამძაფრებული მაქვს, რომ მინდა სულ ვასუფთაო ჩვენი გარემო, რათა სუფთად ვიყოთ, ყოველგვარი ხინჯისა და ჩრდილის გარეშე, ჩვენს ზნეობრივ ბრძოლას უპირველესად სწორედ სისუფთავე სჭირდება. ტყუილითა და უღირსი საქციელით არ უნდა დაისვაროს და დანაგვიანდეს ის გულწრფელი შემართება, რასაც ჩვენ ამ აქციით გამოვხატავთ.

ჩემგან ორი კარვის იქით ბიძინა გუჯაბიძისა და კობა დავითაშვილის კარავი დგას. გუშინ შიმშილობის შესახებ ამერიკელი მეცნიერის მიერ გამოცემული საკმაოდ საინტერესო წიგნი მათხოვეს. შიმშილობის საკითხი საკმაოდ კარგად არის შესწავლილი. იგი მთელი მეცნიერებაა. ამ მეცნიერებისგან მე ახლა მხოლოდ ის მჭირდება, რომ სინდისის ხმა შევასმინო ჩვენს უსინდისო და გულგაციებულ ხელისუფლებას. თუმცა ისიც არ ვიცი, საერთოდ აქვს კი გული იმ ხელისუფლებას, რომელმაც უამრავი, მშვიდობიანი ადამიანი რეზინის ჯოხების ცემითა და სპეც-ტყვიების პირდაპირი ჯერით დაარბია. თვალწინ მიდგას ზევით ხელაწეული ხალხი ნიშნად იმისა, რომ

აბსოლუტურად შეუიარაღებელი იყვნენ და მხოლოდ თავის სახალხო ნებას გამოხატავდნენ, მაგრამ მიუხედავად ამისა როგორი გამეტებითა და დაუნდობლობით სცემეს. სცემეს ჩემი ცაში ხელაწეული საქართველო და გულმართალი სამშობლო ჩემი. უცხოეთიდან შემოტანილი რეზინის ჯოხებით გამიროზგეს. სიმართლისათვის გამილახეს სამშობლო ქვეყანა ჩემი. ამ ყველაფერს მე თვითონ სიმართლისათვის დასჯილი საპყრობილიდან ვუყურებდი და ვუყურებდი სიმწრის ცრემლებით, რადგან უსაშველოდ მტკიოდა ჩემს ხალხზე დარტყმული ჯოხი. მტკიოდა, როგორც დაბმულ კაცს შეიძლება უსამართლო ცემა სტკიოდეს. 'დაბმულიც' რომ არ ვყოფილიყავი, სიტუაციას ალბათ ვერც მე შევცვლიდი, მაგრამ ნამდვილად შეუცვლელი იქნებოდა ის, რომ მეც ჩემს საქართველოსთან ერთად გავილახებოდი და გავიჯოხებოდი სამშობლოს მსგავსად.

ამასობაში თენდება და დილის წირვაზე ქაშუეთის ტაძარში გადავდივარ. თითქმის მთელ წირვას მუხლზე დამდგარი ვისმენ. ჩემს წინ სწორედ ის სასწაულმოქმედი ხატი ჰკიდია, რომლის სახება მისივე ჩარჩოს მინაზე გადავიდა და მაცხოვრის ნათელი თავისთავად აისახა სუფთა მინაზე.. ეს ის ნათელი სასწაულია, რომელიც უბრალო შეხედვითაც კი ყველასთვის ცხადია. წინასწარი შეთანხმების თანახმად წმინდა ზიარებას ვლებულობ და ბედნიერების შინაგანი განცდით ვუბრუნდები აქციის მონაწილეთა სამძოს. ისინი მოთენთილები და დაღლილები ჩანან, მაგრამ საკმარისია მხოლოდ გამოესაუბრო, რომ მაშინათვე იგრძნო თუ როგორი მხნე და შემართებულნი არიან.

ჩემთან ახლა ის კაცი მოვიდა, რომელიც ჩემს კარავსა და ჩემს საწოლზე იწვა. იგი შიმშილობისაგან ცუდად გახდა და საავადმყოფოში გადაიყვანეს. სამი დღის შემდეგ იქიდან გამოუწერიათ და ისევ ჩვენთან დაბრუნდა. ავადმყოფობა მაწუხებს და ამ რეჟიმს სხეულმა ველარ გაუძლო, ამბობს იგი და აქაურობას მონატრებული მზერით ათვალთვლებს. მერე ჩვენთან დიდხანს რჩება და მხოლოდ გვიან, საღამოს პირზე იტყვის:

– წავალ ახლა, წავალ ჩემს ხობში.

ღმერთმა სიკეთე მოგცეს, ჩემო ბატონო ედიშერ (წურწუმი) და თქვენი ეს ვაჟკაცური შემართება კეთილ ეყოს ჩვენი სამშობლო-ქვეყნის ინტერესებს.

– დღეს ცუდად აღარავინ გამხდარა და საავადმყოფოშიც არავინ გადაუყვანიათ. თუმცა კარგადაც არავინ არის. ხმადაბლა საუბრობენ, ერთმანეთს შიმშილით დაოსებული თვალებით უყურებენ და იმედს არ კარგავენ, რომ ეს ძალისხმევა შედეგს გამოიღებს და ხელისუფლება სამართლიანი არჩევნების ერთადერთ მოთხოვნას მაინც გაგებით შეხვდება. მითუმეტეს, რომ ეს მოთხოვნა ხელისუფლებასთან გამართულ მოლაპარაკების მაგიდასთან კი არ თქმულა, რაც ფაქტობრივად სიცრუის მაგიდა აღმოჩნდა, არამედ ხელისუფლებას იგი უშუალოდ პატრიარქის პირით ეუწყა.

საღამოს 6 საათზე კვლავაც ჩატარდა მოკლე საინფორმაციო მიტინგი. ჩვენს სიმართლისათვის მეზრძოლ კარვების ქალაქს კვლავაც ბევრი ხალხი მოადგა,

მაგრამ კიდევ უფრო ბევრია საჭირო. მოსულთა შორის ახალგაზრდები კანტი-კუნტად ჩანდნენ და ძირითადად უფროსი თაობის წარმომადგენლები იყვნენ. ნუთუ ახალგაზრდებს თავისი ქვეყნის ბედი არ აინტერესებთ? ან თვლიან, რომ ამ საქმეში მათ არავინ არაფერს ეკითხებათ და ეს მხოლოდ მათი მშობლების საკეთებელი საქმეა. არადა, ძალა სწორედ ახალგაზრდებშია, ახალგაზრდებშია ენთუზიაზმი, რომელიც ქვეყანას ესოდენ ძალიან სჭირდება.

ახლა სწორედ ის გამახსენდა, თუ როგორ ვუვლიდი ამ კარვების ქალაქს გარშემო, სანამ მისი სრულუფლებიანი წევრი გავხდებოდი. როგორ ვანუგეშებდი მის წევრებს და რა გამამხნეველ ბარათებს ვუგზავნიდი. რომელთა შორის ერთ-ერთი ახლაც ჯიბეში მაქვს:

თბილისი

პარლამენტის შენობის წინ მოშიმშილეთა აქციის მონაწილეებს!

ძვირფასო თანამემამულენო!

ჩვენი ერის კეთილგონიერი თვალი დღეს თქვენს მიმართ არის მოპყრობილი და თქვენ არა მხოლოდ ერთი კონკრეტული აქციის მონაწილენი ხართ, არამედ ხართ მეზრძოლნი ღვთივსათნო სიმართლისა და საზოგადოდ აღიარებული სამართლიანობისა.

თქვენ ახლა ჩვენი სახალხო ღირსების სადარაჯოზე დგახართ, რადგან ეს აქცია საერთო ზნეობრივი პროტესტია. იგი გამოხატულებაა ჩვენი ეროვნული და სულიერი ბრძოლისა. ეს აქცია სამშობლო ქვეყნისათვის ლოცვით ერთობის იმ იშვიათ გამოვლინებას წარმოადგენს, რომელიც მკაცრი მარხვის ფონზე ხორციელდება და რომელსაც სხვა არაფერი აქვს მიზანი თუ არა 'საქართველო უპირველეს ყოვლისა!' აქ მამულიშვილური სულისკვეთების მქონე ადამიანთა ის ძალისხმევაა, რომლის ხმაც უფალმა უნდა შეისმინოს და შეიწიროს ქვეყნისა და ხალხის უკეთესი მომავლისათვის ავლენილი ლოცვა. თითოეული თქვენგანი სწორედ ასეთ მლოცველებად მეგულებით და თქვენი ერთობა ჩვენი სულის ძახილია. იგი ქართველი ერის საერთო, სახალხო ხმა არის.

სამართალი და სამართლიანობა არა მხოლოდ იურიდიული კატეგორიაა, არამედ იგი გამოხატულებაა ადამიანთა ზნეობრივი თვითშეგნებისა. ჩვენი ზნეობის მქონე ადამიანები უსამართლობას ვერ ეგუებიან და ეს რომ მართლაც ასეა, ამაზე მეტყველებს შიმშილობის ეს მრავალრიცხოვანი აქცია, რომელიც ქვეყანაში გაბატონებული უსამართლობის წინააღმდეგ მიმდინარეობს. თქვენ ახლა ამ უსამართლობის საწინააღმდეგოდ ძალისხმევა ხართ, რომლებიც უსამართლობის მღვრიე მდინარეს მთავრად და აღმა მიდიხართ.

კურთხეულ იყოს აღმასვლა ესე!

ვიზიარებ თქვენს მამულიშვილურ სულისკვეთებას და გიცხადებთ თანადგომას. გადმოგცემთ საგანგებოდ თქვენთვის მოტანილ თაფლის წმინდა სანთლებსა და ლოცვანის წიგნებს.

ლოცვით, სანთლითა და თქვენდამი სულიერი ერთობით, ღირსების ორდენის კავალერი გოგიტა მელიქიძე

ამ დილით ახალი გაზეთები ვიყიდე, მთელი დღე ხელში ვატრიალე, მაგრამ ვერ წავიკითხე. ვიგრძენი, რომ სულ აღარ მაინტერესებს რას წერენ და რას ლაპარაკობენ ჩვენზე. მთავარია ჩემი გულის შინაგანი ხმა, რომელიც უფლის მიმართ გულწრფელი და სამშობლო-ქვეყნის სიყვარულით აღსავსეა. ასეთი განცდის დროს ხშირად მიგრძენია, თუ რა ადვილია სიკვდილი, მაგრამ მე სიკვდილს არ ვაპირებ. თუნდაც იმიტომ არ ვაპირებ, რომ ძალიან მინდა დიდხანს იბგეროს ამ, უფლისა და სამშობლოს სიყვარულით მფეთქავმა გულმა.

დღეს ექვსმა საკმაოდ პოპულარული გაზეთის ჟურნალისტმა მნახა. ისინი ჩემი ძველი კოლეგები არიან და საკმაოდ დიდხანს ვისაუბრეთ. გამოქვეყნებით კი ჩემზე არ მინდა გაზეთში რამე გამოქვეყნდეს. ტელეკამერებსაც სულ ვერიდები. მაშინ, როცა ჩემი სტილი სწორედ მეტყველება, გამოსვლა და გამოჩენაა. ახლა წყნარად ჩემთვის ჯდომა და ამ ჩანაწერების კეთება უფრო მსიამოვნებს, რაც მიუხედავად თავისი სადღიურო ფორმისა, მაინც თქვენთვის გამოგზავნილი ღია ბარათებია. ბარათები, რომლებიც თქვენდამი სიყვარულით იწერება, ჩემო ძვირფასო მკითხველო და თითოეულ თქვენგანს, კონკრეტულად თითოეულ თქვენგანს გეძღვნებათ!

ერთი დღე კარვების ქალაქის დღიურიდან

V დღე

დიდება უფალს, კვლავაც თენდება! გათენება იმდენად დიდი და შთაბეჭდავია, რომ მის გადმოცემას ალბათ ვერასოდეს შევძლებ. ვერასოდეს შევძლებ სრულყოფილად აღწერო ის შთაბეჭდილება, რასაც ჩემში გათენება იწვევს. რადგან ასეთი მაღალი განცდები სიტყვებში ვერ ეტევიან; ვერც გულში ეტევიან და ისინი მთლიანად მომიცავენ; მოიცავენ მთელ ქვეყნიერებას და ყველაფერს ბედნიერების საერთო განცდაში ათავსებენ. ბედნიერებაა განცდა იმისა, რომ ხარ თანამონაწილე და თანაზიარი ასეთი შთაბეჭდილებისა. გათენების მიმართ ეს შთაბეჭდილება ჩემში ყოველთვის არსებობს და არსებობს განცდა ამ სიდიადისა. განცდა იმ კოსმიური ზეიმისა, რაც სინათლის დაბადებით გამოიხატება. მე, ალბათ ბოლომდე გათენების ტრფიალად დავრჩები, როგორც დარაჯი მარადიული გათენებისა; როგორც გათენებისათვის დაუმცხრალი მებრძოლი.

კარვების ქალაქში უცნაურად თენდება. ადრე იღვიძებს შიმშილითა და მოლოდინით დაღლილი სიმართლისათვის მეომარი ქალაქი ჩვენი. ვდგავარ და დილის რიჟრაჟში წამოსვეტილ ქაშუეთს გავყურებ. იგი, პოეტის თქმისა არ იყოს, მართლაც კოსმოსური ხომალდით დგას მიწაზე; თავი ზეცისკენ

აღუპურია და თავისი ზეაწეული სილუეტით ზეცისკენ მარადიულ სწრაფვას წარმოაჩენს.

შორიდან სამების ოქროვანი გუმბათი მიმზერს. ჩვენი კარვების ქალაქიდან იგი საკმაოდ შორს არის, მაგრამ იმაზე უფრო ახლობელი ახლა არც ერთი შენობა არ მეგულება. აღარაფერს ვამბობ პარლამენტის ამ მაღალსვეტებიან სასახლეზე, რომელიც ისეთი ცივი და პირქუშია, რომ ტაძრის სითბოსა და სიახლოვესთან ვერც ვერასოდეს მოვა. ის ეკლესიური სიდიადე, რომელიც სამების საკათედრო ტაძრად წამოიჭიმა თავიდან ბოლომდე ჩემს თვალწინ დაიბადა. მახსოვს, პატრიარქის მოწოდების თანახმად როგორ შევიკრიბეთ ელიას მთაზე და როგორ ჩავუშვიტ პირველი ქვები ტაძრის მშენებლობისათვის გაჭრილ უზარმაზარ ბალავერში. უწმინდესმა მოგვიწოდა, ქვაზე სახელები ამოკაწრეთ და დულაბში ისე ჩაატანეთ, რომ თქვენი სახელები მარადიულად სამებასთან იყოსო. რაოდენ ბევრი ხალხი შეიკრიბა იმ დღეს ელიას მთაზე და რა ძალიან ბევრს სურდა საკუთარი სახელი სამუდამოდ სამების ტაძრისთვის დაეკავშირებინა. მერე ნელ-ნელა აივსო ფუნდამენტი და ტაძარი წამოიშარათა. ჯერ მიწას ამოცილდა და მერე ზევით, ზეცისკენ დაიწყო ამაღლება. ხშირად ავდიოდი მშენებარე ტაძართან. იქ ჩემი მესხები ქვის მთლელებად მუშაობდნენ. დიდხანს ვიდექი მათთან და ვსაუბრობდით. შენება თავისთავად ბედნიერებაა, მაგრამ კიდევ უფრო დიდი ბედნიერებაა შენება უფლის სახლისა.

შენდებოდა უფლის სახლი და იგი არამარტო ელიას მთაზე, არამედ თვითეული ჩვენგანის სულში იზრდებოდა. შენდებოდა ჩვენი მოლოდინით, ჩვენი ნატვრითა და ოცნებით. ქარიან ზამთარსა თუ გავარვარებულ ზაფხულში შენება არ ჩერდებოდა და შეიძლება ითქვას, ასე გაუჩერებლად იზრდებოდნენ კედლები. ისინი ძალიან მაღლები იყვნენ და გუმბათად ისევ ლურჯი ცა ედგათ თავზე. მათ სიმყუდროვეში გავირინდებოდი ხოლმე და ჯერ ისევ სველი კედლების სიმშვიდეს სუნთქვაშეკრული ვუსმენდი, მათ სიგრილეს შევიგრძნობდი და ტაძრის სიმშვიდით ვტკბებოდი. მერე გუმბათიც დაედგა; მერე მოპირკეთდა და დამშვენდა, რის შემდეგაც ჩვენი სულიერების ნამდვილ ძეგლად იქცა. როგორც პატრიარქმა ბრძანა, იგი წარმოადგენს ჩვენი ეპოქის ქართული სულიერების პორტრეტს. რაოდენ სასიამოვნოა, რომ ეს პორტრეტი ესოდენ შთამბეჭდავი და დიადა.

ჩვენი მართლმადიდებლური ტრადიციის თანახმად ეკლესიასთან გავლის დროს პირჯვარს ვისახავთ და წარმოვთქვამთ «დიდება შენდა ღმერთო!» რა თქმა უნდა, ასე არის სამების საკათედრო ტაძართან მიმართებაშიც. იგი თბილისის მრავალი კუთხიდან მოჩანს და მრავალგზის გვახსენებს თავს. როდესაც პირჯვარს ვისახავ, უფლის დიდებას წარმოვთქვამ და სამებას გავყურებ, ვგრძნობ, რომ იგი უფლის დიდების ცოცხალი ძეგლია. ტაძარი იმდენად დიდი და იმდენად დიადა, რომ იგი თავად არის სახე უფლის დიდებისა. იგი სახიერი ძეგლია ჩვენი მართლმადიდებლობისა და ქვით გამოხატული უფლის ცოცხალი დიდებაა.

ტაძრის გახსნაზე მოწვეულნი იყვნენ მსოფლიოს მართლმადიდებლურ ეკლესიათა მწყემსმთავრები, რომლებიც სამების საკათედრო ტაძრის ხილვით აღფრთოვანებას ვერ ფარავდნენ. განცვიფრებული შესცქეროდნენ მის სიდიადეს და მისი აღმატებულობის შესახებ სხვადასხვა ენაზე ლაღაღებდნენ.

ტაძრის გახსნას და პირველ საზეიმო წირვას ოჯახთან ერთად დავესწარი. 2003 წლის 23 ნოემბერი იდგა. ციოდა და საოცარი ქარი ქროდა. ისეთი ძლიერი ქარი იყო, რომ ხალხს თავზე ქუდებს აგლეჯდა. ჩვენ ერთმანეთს ხელს არ ვუშვებდით, რათა ქარს ბავშვები არ წაექცია. ტაძარში კი ეკლესიური სიმშვიდე და სითბო დაგვხვდა. გარეთ მოზუზუნე ქარი და ტაძრის წიაღში გამეფებული სიმშვიდე მრავლისმეტყველად მეჩვენა, როგორც ცხოვრების ამაოებით მგვრგვინავი სამყარო და ზეციური სიმშვიდის დამტვეველი ტაძარი; როგორც ბიბლიური კიდობანი გადარჩენისა და მის ირგვლივ მოტორტმანე წყალი.

იმ დღეს ერთი უცნაური სასწაული მოხდა, რომელიც არა მარტო ჩვენ დავინახეთ, არამედ იგი უამრავი ადამიანის თვალწინ გაცხადდა. ერთი თეთრი, ძალიან თეთრი, ქათქათა მტრედი ტაძარში შემოფრინდა. იგი ისეთი მშვიდი იყო, რომ ტაძარში თავმოყრილი ხალხის სიმრავლეს ოდნავადაც არ შეუკრთია. ერთხანს კარების თავზე შემოჯდა და იქიდან გვათვალიერა. მერე აფრინდა, ტაძრის შიგნითა სივრცეს მშვიდი ტაატით შემოუარა და ასევე მშვიდად დაემვა საკურთხეველში, სადაც პატრიარქის სავარძელზე დაჯდა.

ჩემს გარშემო მყოფ ადამიანებს ამ უცნაურად გამოცხადებულ მტრედზე მივანიშნე და მათაც ყურადღება გაამახვილეს. ფრინველის მოძრაობაში ისეთი სიმშვიდე და თავდაჯერებულობა იგრძნობოდა, რომ უნებურად მდინარე იორდანესთან შეკრებილ ხალხზე მოვლენილი თეთრი მტრედი და მისი უფლის მხარზე დაჯდომის ბიბლიური ფაქტი გამახსენდა. ამავე ანალოგიის შესახებ აზრი ტაძარში შეკრებილებმაც გამოთქვეს. ხოლო პატრიარქის თავთან უნებურად ჩამომჯდარი მტრედის ფოტო მეორე დღეს პრესაშიც გამოქვეყნდა. ამ უცნაური მტრედის ასევე უცნაურმა გამოჩენამ ნოეს კიდობანში მობრუნებული მტრედი და გადარჩენის შესახებ მოტანილი მისი იმედი გამახსენა. ხოლო მდინარე იორდანესთან გამოცხადებული მტრედის მსგავსად ჩვენი თეთრი მტრედის ესოდენ მიზანმიმართული ფრენა და მისი კონკრეტულ ადგილზე დაჯდომა შემთხვევითობას არანაირად არ გავდა, რადგან ტაძარში მაშინ რამდენიმე ათასი კაცი ვიმყოფებოდით და ამ მტრედმა ჩვენს შორის ყველაზე უფრო აღმატებული იცნო, მასთან მივიდა და მის თავთან დაჯდა, რითაც კონკრეტულად მიგვანიშნა და თვითეულ ჩვენგანს ეს მინიშნება თვალსაჩინოდ წარმოგვიდგინა. მტრედი იმდენად მსუბუქად და ფრთების ფართხალის გარეშე ფრინავდა, რომ თითქოს ჰაერში დაცურავდა. პატრიარქის თავთან მისი ესოდენ გულმინდობილი ჩამოჯდომა და უცნაური გარინდება სწორედ იმის უტყუარ ნიშნად მივიღე, რაზეც ადრეც მრავალჯერ მიფიქრია, მაგრამ ასე საჯაროდ თქმას ვერიდებოდი. პატრიარქი არ არის ჩვეულებრივი მოკვდავი და არც მხოლოდ ჩვეულებრივ საპატრიარქო მისისას ასრულებს. იგი ჩვენს შორის მავალი ღვთის რჩეული კაცია, რომელიც უფლის

განსაკუთრებულ მიას ასრულებს. მტრედმა სწორედ მისი ეს განსაკუთრებულობა გამოკვეთა და სამების საკათედრო ტაძრის კურთხევის ჟამს მასთან მისვლით თვალსაჩინოდ დაგვანახა ის, რაც ადრეც არაერთგზის მიფიქრია. ხოლო მტრედის პატრიარქთან ესოდენ შინაური გარინდება მასში დავანებული მადლის მიმართ ფრინველის ინტუიციური მიმდობის გამოხატულება იყო. პატრიარქის თავთან გაყუჩებული მტრედის სურათი, რაც იქ მყოფებმა საკუთარი თვალით ვიხილეთ და რომელიც დინამიკის მთელი სიდიადით აღვიქვით, ერთ-ერთმა გამომცემლობამ დაბეჭდა და საყოველთაოდ გაავრცელა. იგი, შეიძლება ითქვას, ყველამ ნახა, მაგრამ ბევრი ვერ მიხვდა იმ საკრალურ აზრს, რაც თვით ამ სურათშია გაცხადებული.

დასრულდა პირველი საზეიმო წირვა, დამთავრდა ამ საოცარი ტაძრის გუმბათიდან აღვლენილი პირველი ღაღადისი. ეს იყო პირველი დღე და პირველი ლოცვა, რომლითაც ტაძარმა თავისი ტაძრული ცხოვრება დაიწყო. გავა დრო და ბევრი რამ შეიცვლება. აღარ ვიქნებით ჩვენ, ამ პირველი წირვის მონაწილე აღარავინ აღარ ვიქნებით, მაგრამ იქნება ტაძარი და მარადიულად იქნება ლოცვა. – მარადიული ღაღადისი უფლის წინაშე. იმ უფლისა, რომელსაც ქართველმა ხალხმა ეს გრანდიოზული სალოცავი აუგო და რომელმაც შექმნა ესოდენ დიადი ტრიბუნა, საიდანაც ქართველი ხალხი უფალს უნდა ელაპარაკოს. ეს ის დიდი კარიბჭეა, რომლითაც ჩვენი ერი სასუფეველში უნდა შევიდეს. მისი სიდიადე სულში უნებურად შემოდის და ჩემთვის ესოდენ კარგად ნაცნობი გრძნობით მავსებს. ამ გრძნობის შესახებ პოეტი ამბობს: «მე კი რა ვუყო ამ გოლიათ მთებს, რომ ქონდრის კაცსაც დევად აგანთებს». საქართველოს მთებს და მათ გოლიათურ აღნაგობას მართლაც აქვს ის იდუმალი ძალა, რომელიც ადამიანს სიდიადის განცდას ანიჭებს და 'დევად აღანთებს'. ეს არის განცდა მასშტაბის სიდიადისა, რომელიც ადამიანის გონებასა და გრძნობას იდუმალი ძალით აღავსებს. ასეთი განცდის წყარო ახლა ჩვენი სამების საკათედრო ტაძარიც არის. არ შეიძლება ამ გრანდიოზული ტაძრის სიდიადემ ადამიანში უფლის სიდიადის განცდა არ აღძრას. მისი პატრონი და მისკენ მაცქერალი ერი ახლა უკვე სხვა ერია. სხვა ძალითა და სხვა სიდიადით ანთებული ერია, რომლის ცხოვრებაშიც სამების გრანდიოზული ტაძარი ნოეს (გადარჩენის) კიდობანივით შემოვიდა.

მოვდივართ და ამ სიდიადის განცდა არ გვასვენებს. ვჩერდებით, უკან ვიხედებით და მზერით ისევ სამების ცაში ატყორცნილ გუმბათს ვეფერებით. პირჯვარს ვიწერთ და კვლავ გზას ვაგრძელებთ. მერე კიდევ ვჩერდებით, კვლავაც ტაძარს ვუყურებთ, კვლავ ჯვარს ვისახავთ და მადლობას ვწირავთ უფალს, რომ ასეთი ტაძრის ღირსი გაგვხადა; ასეთი სიდიადის განცდა მოგვანიჭა და ზეცასთან სალაპარაკოდ ასეთი გრანდიოზული ტრიბუნა გვიბოძა.

მოვდივარ და ვფიქრობ, ეს არ არის ჩვეულებრივი ტაძარი და მის დასრულებას ქართველი ერი ჩვეულებრივად არ უნდა შეხვდეს. იგი შესაკრებელია მთელი ჩვენი ქვეყნისა, ჩვენი სულიერებისა და ჩვენ ის

ბედნიერი თაობა ვართ, რომლიც მის აშენებას, მის დაბადებას შევესწარით. ამიტომ აღმოსავლეთის ვარსკვლავთმრიცხველების მსგავსად უნდა მივებახლოთ მას და მოვეფეროთ. ყველა ჩვენგანმა უნდა განიცადოს მისი დაბადება და ყველამ უნდა ავივსოთ სული მისი სიდიადით. მაშინათვე ის ვიფიქრე, რომ შემეკრიბა ჩემი ქალაქის მოსახლეობა, ფეხით დავდგომოდი გზას და ასე ფეხდაფეხ მივახლებოდით სამების ტაძარს. მეორე დღესვე დავბეჭდე საგანგებო განცხადების ტექსტი, რომელიც ქსეროქსზე გადავამრავლე და ჩვენი ქალაქის ქუჩებში გავაკარი. დავუკავშირდი მეზობლებს, მეგობრებს, ნათესავებს და ყველას, რათა ყველამ მივიღოთ მონაწილეობა სამებისაკენ ფეხით სვლაში. რუსთავი დიდი ქალაქია და არ შეიძლება ამ ქალაქის სახელით სამებას მცირერიცხოვანი ჯგუფი მივებახლოთ. სამების მომლოცველობის თაობაზე განცხადება ტელევიზიითაც გავაკეთე. დაიწყო ჩემთან სატელეფონო ზარები და მომლოცველობისათვის დამახასიათებელი კითხვები:

- _ რამდენი შეიძლება წამოვიდეთ?
- _ იმავე დღეს დავბრუნდებით თუ არა?
- _ რა უნდა წამოვიღოთ? და ასე შემდეგ.

ჩემს პირად არქივში ინახება ქალაქში მაშინ გაკრული განცხადების ერთი პირი, რომელიც იმ გაფაციცებული ძალისხმევის შთაბეჭდილებას, ახლა უკვე რამდენიმე წლის შემდეგაც კი, ნათლად ტოვებს. ტექსტი თითქოს განსაკუთრებულს არაფერს შეიცავს, მაგრამ განსაკუთრებული იყო ჩვენი განწყობა და ის ემოცია, რომელიც ამ განცხადების გაკვრას ახლდა.

საუფლო ერთობისათვის

რუსთავის წმიდა ვახტანგ გორგასლის საკათედრო ტაძრიდან იწყება ფეხით სამომლოცველო სვლა თბილისის ახალაგებული სამების ტაძრისაკენ, რათა ჩვენი ქალაქის კეთილმორწმუნე საზოგადოებამ ერთობლივად მიაგოს პატივი ყოვლადწმიდა სამებას და მის სახელზე აგებულ ათასწლეულთა მშენებლობად აღიარებულ უდიდეს საპატრიარქო ტაძარს.

გასვლა: შაბათს, დილის 10.00 საათზე.

მანძილი: 30 კილომეტრი.

მსვლელობის ხანგრძლივობა: 8 საათი.

მსვლელობა წარიმართება: ვაზის ჯვრით, ვახტანგ გორგასლის, სამებისა და სხვა წმიდა ხატებით. მომლოცველები შეხვდებიან კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ს.

დამატებითი ინფორმაციისათვის დაუკავშირდით:

დადგა ეს განცხადებაში დასახელებული შაბათი და ის მითითებული ათი საათიც შესრულდა. წინასწარ არ ვიცოდი, თუ რამდენი ხალხი მოვიდოდა, მაგრამ ძალიან მინდოდა, რომ ამ დროს ბევრი, ძალიან ბევრი ვყოფილიყავით. რუსთავის საეპარქიო ცენტრად აღიარებულ გორგასლის სახელობის

საკათედრო ტაძარში ხალხმა მოსვლა დაიწყო. მოდიოდნენ დიდები და პატარები; მოდიოდნენ ასაკოვანი ქალბატონები და სულ პატარა ბიჭები. მოდიოდნენ შვილებით, ქმრებითა და მთელი ახლობლებით. ტაძარი ხალხს ვეღარ იტევდა. მერე ტაძრის ეზოც გაივსო და ხალხი ახლა საავადმყოფოს მხარეს გამავალ ქუჩაზე იკრიბებოდა.

– წავალთ? მეკითხებიან ცნობისმოყვარეები.

– წავალთ, აუცილებლად წავალთ, ვპასუხობ მე და თავს ძლივს ვიკავებ, რომ სიხარულით გული არ ამომიჯდეს. ჯვრისა და ხატების მატარებელი ადამიანები წინ გადმომყავს, რათა მსვლელობის დაწყების დროს ისინი წინ გაგვიძღვნონ. ახლა კურთხევა გვინდა, მაგრამ მოძღვარს ვერ ვნახულობ. ჯვარის გადამსახავი კაცი გვჭირდება, მაგრამ... თუ მღვდელი ვერ ვნახე, თავს იმით ვიმშვიდებ, რომ ქალაქის გასასვლელში მამა კახაბერი გველოდება და კარგად ვიცი, რომ ის კურთხევასა და ლოცვას არ მოგვაკლებს. ბოლოს როგორც იქნა, ჯვარიც გადაგვსახეს და მსვლელობა დაიწყო. მივდივართ ქუჩაში და ვცდილობთ მანქანების მოძრაობა არ შევაფერხოთ, მაგრამ როგორ გინდა არ შეაფერხო, როდესაც მთელი ქუჩა ხალხით არის სავსე. მაღალი კორპუსებიდან ფანჯრებს ალებენ და ხელს გვიქნევენ. მაღაზიებიდან ხალხი გამოდის და ჩვენ გვიერთდება. მივდივართ და კიდევ უფრო ვიზრდებით, ხალხი გვემატება და უფრო და უფრო მეტი ვხდებით. მანქანები ჩერდებიან და ადამიანები პირჯვარს ისახავენ. არ მეგონა თუ ამდენი ხალხი შემოგვიერთდებოდა და ახლა ისეთი ბედნიერი ვარ, რომ ლამის არის თითოეულ მომლოცველს მოვეხვიო, ჩავიხუტო და ვუთხრა: ღმერთმა შეგიწიროს ეს ძალისხმევა, ჩემო რუსთაველო!

ქალაქიდან გავდივართ და ზღვა ხალხი ახლა თბილისისკენ მიმავალ ტრასაზე გაეფინა. მსვლელობის დაწყებისთანავე გამოვაცხადე, რომ რაკი სამებისაკენ მივდივართ, სამების ტროპარი ვიმეოროთ_ მეთქი და ვხედავ, როგორ ჩურჩულებენ ამ ლოცვის სიტყვებს. მაშინ არ ვიცნობდი და მოგვიანებით გავიგე, რომ ჩვენს შორის ერთი უსინათლო ბიჭიც ჩამდგარა; ფეხზე გაუხდია და რუსთავიდან თბილისამდე შიშველი ფეხებით უვლია. ასე მიეახლა იგი სამების საკათედრო ტაძარს და თავისი ქალაქის სახელით მოეფერა მას.

ხალხის ასეთ სიმრავლეში ჩვენს გვარსა და სახელს უკვე მნიშვნელობა აღარ აქვს, ჩვენ უბრალოდ რუსთაველები ვართ და რუსთაველობა ახლა ყველა ჩვენგანის გვარიც არის და სახელიც. მივდივართ ქალაქის სახელით, მივდივართ ყველა რუსთაველის სახელით, მივდივართ და მივილოცებით.

სალამოჟამს ელიას მთის ფერდობს შევუდექით და სამების წმიდა ტაძარს მივადექით. იქ წინასწარი შეთანხმების თანახმად ვიცით, რომ პატრიარქი გველოდება. პატრიარქთან შეხვედრა ყველას გვეძვირფასება. გზაშიც მეკითხებოდნენ:

– პატრიარქი მართლა შეგვხვდება?

– ილია II დაგვლოცავს?



რუსთაველები ფეხით მიემართებიან ცამების საკათედრო ტაძრისკენ

_ ნამდვილად იცის პატრიარქმა, რომ ჩვენ მივდივართ?

იცის, გველოდება, დაგვლოცავს, პატრიარქი დღეს მთელ რუსთავს დალოცავს. სამების ტაძრის სამხრეთის კარი ფართოდ იღება და რუსთაველთა შესვლა იწყება. მე საგანგებოდ გვერდზე ვდგები და ხალხს ვატარებ, რათა ჯერ ესენი მიეახლონ უწმინდესს. ტაძარი ხალხით ივსება და ვეღარ შევდივართ. ხალხი ახლა შესასვლელ კარებთან ჯგუფდება. კარების წინა მოედანიც ხალხით ივსება. თითის წვერებზე ვიწვევი და ვცდილობ უწმინდესი დავინახო. იგი აღსავლის კარებიდან გამობრძანდა. ხელში აბრიალებული კელაპტრები უჭირავს. ამ კელაპტრებს რუსთავიდან ფეხით მიახლებულ ხალხის ზღვას ჯვარედინად სახავს. მისი ბაგეების მოძრაობით ვგრძნობ, რომ გვლოცავს, მაგრამ ისე შორს ვარ, რომ არცერთი სიტყვა არ მესმის. მოგვიანებით პატრიარქის მიერ რუსთაველთა დასალოცად წარმოთქმული სიტყვები პრესაში ქვეყნდება (გაზეთი 'საპატრიარქოს უწყებანი'). პატრიარქის ხმა არ მესმის, მაგრამ მის ლოცვას მთელი ტანით შევიგრძნობ: ღმერთმა დალოცოს ქალაქი რუსთავი და ყოველი მკვიდრი ქალაქისა ამისა. დაგლოცოთ ღმერთმა თქვენ მომლოცველები, რომლებიც დღეს რუსთავიდან ფეხით ჩამობრძანდით; ფეხით მოეახლეთ ყოვლადწმიდა სამებას და მის სახელზე აგებულ ახალ საეკლესიო კათედრას. ღმერთმა შეგიწიროთ ეს სარწმუნოებრივი გულმხურვალება. ასე მხნედ და შეუდრეკლად გველოთ უფლისკენ. ყოვლადწმიდა სამება იყოს მფარველი თქვენი, თქვენი ქალაქისა და სრულიად საქართველოსი!



თბილისისკენ მიმავალი რუსთაველები

დასრულდა ლოცვა, რომლის შემდეგ მომლოცველობით დაღლილი, მაგრამ უაღრესად კმაყოფილი რუსთაველები გარეთ გამოვიდნენ. უკვე ღამეა და ახლა უკან, რუსთავში დასაბრუნებლად ზრუნვა არის საჭირო. ყველანი ისეთი დაღლილები ვართ, რომ ტრანსპორტამდე მისვლაც კი ჭირს, მაგრამ ამდენ ხალხს რა ტრანსპორტი წაიყვანს. ჩვენს მიერ რუსთავიდან საგანგებოდ ჩამოყვანილი «იკარუსის» სამი ავტობუსი ივსება. კიდევ ერთს ვჭირაობთ, მაგრამ ხალხი კვლავაც ბევრი რჩება. დეკანოზი კახაბერ ტაბატაძე მიდის და ორი ავტობუსი მოყავს, მაგრამ არც ეს გვყოფნის. ხალხი მეტეხის ფერდობზე ფეხით ჩამოდის, რათა სანაპიროს ქუჩიდან რუსთავში წამომსვლელ ტრანსპორტს გამოყვეს. მე ისეთი დაღლილი ვარ, რომ ჩემს მეგობრებთან ერთად პირდაპირ ტროტუარზე ვჯდები, რათა ცოტა ხნით მაინც დავისვენო. ბიჭები ელდარ შენგელაიას ფილმის „არაჩვეულებრივი გამოფენის“ გმირს ვალოდია ჯინჭარაძეს იხსენებენ, რომელმაც ხალხს ყველაფერი გაუკეთა და ბოლოს ტაძრის ნანგრევებსა და ღამის სიბნელეში ისე დატოვეს, რომ წამოყვანილთაც კი არ წამოიყვანეს. _ ღამის მთელი ქალაქი გავისტუმრეთ და ჩვენ ვალოდია ჯინჭარაძესავით დავრჩითო, იცინიან.

დაღლილობისაგან ვედარც კი ვიცინი, მაგრამ ჩემი და იმ ვალოდია ჯინჭარაძის მსგავსებას მეც კარგად ვგრძნობ და ბიჭებს კმაყოფილი სახით ვუცქერი.

სამების მოლოცვა მართლაც დიდი კმაყოფილება იყო, მითუმეტეს ამდენ ხალხთან ერთად. ჩვენ დღეს მთელი ჩვენი ქალაქის სახელით ვიდექით ამ წმიდა გზაზე და რუსთაველთა სახელით გამოვხატეთ ეს ძალისხმევა, რომლის

განცდაც სიამაყით მავსებს და გულს საამურად ესაღბუნება. მას შემდეგ უკვე რამდენიმე წელი გავიდა და იმ დღის შთაბეჭდილებას არც მნიშვნელობა დაუკარგავს და არც ემოციური მუხტი. იმ მომლოცველობის ყოველ გახსენებაზე ისეთივე ბედნიერი ვარ, როგორც მაშინ, როცა მთელს, ჩემს ქალაქთან ერთად სამების ტაძრისკენ მივეშურებოდი.

ეს იმდენად მნიშვნელოვანი საქმე იყო, რომ დავუკავშირდი სხვა ქალაქებს და ველაპარაკე სხვა ქალაქების წარმომადგენლებს, რათა რუსთავის გამოცდილება გაეზიარებინათ და სამების ახლად დაბადებულ საკათედრო ტაძარს თავიანთი ქალაქებიდან ფეხით მოახლებოდნენ. ჯერ არ გამიგია, რომ რომელიმე მათგანს ჩვენი ქალაქის მსგავსი მომლოცველობა განეხორციელებინოს.

ბიბლიიდან ცნობილია, რომ ღმერთი ცოდვის მორევში ჩაფლული ქალაქების სოდომისა და გომორის დასჯაზე ხელს აიღებს, თუკი ქალაქში ათი მართალი კაცი მაინც აღმოჩნდება. ძნელია მართალი კაცის სადღეისო განსაზღვრება და მისით ქალაქის გადარჩენის იმედი, მაგრამ ცხადია რუსთავს არათუ 10, 20, 50 და 100, არამედ უამრავი უფლის სიყვარულით გულგავსებული ადამიანი ჰყავს და სამების ტაძრისკენ მიმავალი ჩვენი სამომლოცველო მსვლელობა სწორედ ამისი ნათელი დასტური იყო.

დასრულდა ჩვენი მომლოცველობა და ამ მომლოცველობის თაობაზე შემორჩენილი საამური ფიქრი. ახლა ისევ სადღეისო რეალობას ვუბრუნდები. რეალობა კი პარლამენტის შენობის წინ სიმართლისა და სამართლიანობისათვის მეზრძოლი კარვების ქალაქია, რომლის ერთ-ერთი მკვიდრი უკვე კარგა ხანია სამების ტაძრის გუმბათისაკენ თვალმიპყრობილი დგას და ადგილიდან არ იძვრის.

სამების ტაძარი აქედან შორია, მაგრამ სიშორე რას მიქვია, როცა მის მოოქროვილ გუმბათზე უფრო ახლობელი არცერთი შენობა და ნაგებობა არ არის. მითუმეტეს პარლამენტის ეს ცოდვა-ბრალით დამძიმებული შენობა, რომელიც თავისი მაღალი სვეტებით დამყურებს და არავითარ იმედს არ აღძრავს. იმედი ახლა ჩვენგან ნამდვილად შორს არის, მაგრამ კარვების ქალაქი არც თუ უიმედოდ არის და მოთმინებით ელის ახალ დღეს, ახალ საათსა თუ წუთს, როცა ხალხის ხმა შესმენილი იქნება. შესმენილი იქნება ხალხის ხმა ამ გულგაციებული ხელისუფლების მიერ. ჩვენ ახლა ხელისუფლების სიყრუე, მისი შეუსმენელობა გვაწუხებს, თორემ უფალს, დარწმუნებული ვარ, ხალხის ხმა და ჩვენი გულწრფელი ძალისხმევა ძალიან კარგად ესმის. ესმის და ხედავს ამ შიმშილით დაოსებულსა და ლოცვით დაღლილ კარვების ქალაქს.

დღეს რუსთავისა და რუსთაველების შესახებ ვფიქრობდი. ამ ფიქრის გაგრძელება შეიძლება იყოს ის ფაქტი, რომ რუსთავში სწორედ რუსთაველი მოსახლეობის მოთხოვნით გამოვედი და ერთ-ერთი მავნებელი სექტის სამხილებლად ხალხმრავალი მიტინგი გავმართე, სადაც დავგმე სექტანტიზმი და ვამხილე ის მავნებლური საქმიანობა, რომელსაც ისინი ეწევიან. მავნებელი რისი მავნებელი იქნებოდა, რომ ჩვენი მშვიდობიანი მიტინგი ბოროტად არ

გამოეყენებინა. სექტანტებმა ჩვეული ინტრიგა აღძრეს და რუსთავის პოლიციაში მიჩივლეს. რუსთაველმა «წესრიგის დამცველებმა» დამიჭირეს. რუსთავის სასამართლომ გამასამართლა და სასჯელიც რუსთავის პირველ საპყრობილეში მოვიხადე. ერთი სიტყვით ეს ფაქტი თავიდან ბოლომდე რუსთავს, რუსთაველებს, რუსთავისა და რუსთაველების გარემოცვას, მათ ტრადიციულ ქრისტიანულ სულისკვეთებას ეხება. ამიტომ წერილები, რომელთა გახსენებაც ეხლა მინდა, სწორედ რუსთავის სასამართლოს ეკუთვნის:

ქალაქ რუსთავის მოსამართლეს

პატივცემულო მოსამართლე,

მე თქვენს მიერ მსჯავრდებული გიორგი (გოგიტა) მელიქიძე ვინყოფები ციხეში, რომელიც მკაცრი სასჯელებით გამწარებულ ადამიანებს ველარ იტევს. ციხის ეს ცოდვა-ბრალით ჩაკირული კედლები ვერც მოსამართლეთა მიმართ გამოთქმულ საყვედურებს იტევს. ეს საყვედურები ხშირად მოსამართლეებზე მრავალსართულიანი გინებით გამოიხატება. მათგან განსხვავებით, მე ჩემი მოსამართლის მიმართ საყვედურების ბოღმა ნამდვილად არ მახრჩობს, რადგან ქრისტიანი კაცი ვარ და ჩემთვის ბოღმა და ღვარძლი უცხოა. თუმცა არც მადლობის საფუძველი მომეცა. მიუხედავად ამისა, მინდა ბოლომდე იმ კაცად დავრჩე, რომელსაც კარგად ესმის ადამიანური სისუსტეები და იცის სახელმწიფო მოხელეთა ოფიციალური პასუხისმგებლობის შესახებ.

მომეჩვენა, რომ თქვენს მიერ წარმოებულ ჩემს სასამართლოზე რამდენიმეჯერ დადგა ისეთი გარემოება, რომლის შემდეგაც მე პატიმრობიდან უნდა გავთავისუფლებულიყავი, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. ასევე მომეჩვენა, რომ ჩემი უდანაშაულობისა თქვენც გგეგროდათ, მაგრამ მაინც იძულებული იყავით გამამტყუნებელი განაჩენი გამოგეტანათ.

მოგეხსენებათ, ჩვენი ცხოვრება გაცილებით უფრო დიდი და მნიშვნელოვანი რეალობაა, ვიდრე ერთი სასამართლო პროცესი და მისი ერთი სავალალო შედეგია. მიუხედავად ყველაფრისა, გასაჩივრებას არ ვაპირებ და საკუთარი სიმართლის ძებნას უსამართლო გავლენებით დამუხტულ სასამართლო დარბაზებში არ დავიწყებ. მე ძალიან კარგად მესმის, თუ ვისთვის გავსამართლდი და რისთვის დავისაჯე, ამიტომ ყოველგვარ სასჯელს მოთმინებით ვღებულობ და ვმადლობ უფალს, რომ მისი სახელისათვის საპყრობილეში მოვხვდი.

საკატიმროს ბნელ საკანში დანთებულ სანთელთან ჩემთვის სალოცავ სხვა ადამიანებთან ერთად ჩემს მოსამართლესაც ვავედრებ უფალს, რათა დაიფაროს იგი ღმერთმა და მომადლოს ძალა უკეთესი მომავლისაკენ სწრაფვისა.



პატიმრის მოლოდინით დაღლილი ოჯახის წევრები

*გულწრფელი პატივისცემით, თქვენგან უფლისა და სამშობლოს
სიყვარულისათვის მსჯავრდებული პატიმარი
გოგიტა მელიქიძე.*

*თბილისი «გუბერსკის» ციხედ წოდებული №5 საპყრობილის
№89 საკანი.
2007 წლის 19 თებერვალი.*

რუსთავის საქალაქო სასამართლოს
ამავე სასამართლოს მიერ უფლისა და სამშობლოს
სიყვარულისათვის გასამართლებული და
საპატიმრო რეჟიმით მსჯავრდებული გიორგი-გოგიტა მელიქიძის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

რუსთავის თქვენდამი რწმუნებულმა სასამართლომ პატიმრობის განაჩენი ორჯერ გამომიტანა: ერთი, როდესაც წინასწარი პატიმრობის ორთვიანი ვადა შემიფარდა და მეორედ, როდესაც ჩემი უდანაშაულობის მამტკიცებელი რეალობა არ გაითვალისწინა და მწვალებლური სექტის იელოვური ინტრიგით ციხეში ჩამავდო.

სასამართლოს პირველივე სხდომაზე განვაცხადე და კვლავაც ვიმეორებ, რომ ეს არამხოლოდ ჩემი სასამართლო იყო, არამედ ჩემთან ერთად

გასამართლდა ჩემი სამშობლო-ქვეყანა და გასამართლდა მისი ტრადიციული, ჩვიდმეტსაუკუნოვანი სახელმწიფო რელიგია. ხოლო ჩემს მიმართ გამოტანილი სასჯელი იყო პირდაპირი გამოხატულება იმ დამოკიდებულებისა, რომლითაც ამ სახელისუფლებო გუნდმა და მისმა უსამართლო სასამართლომ უღმერთო სასჯელი გამოუტანა ჩემს სამშობლო-ქვეყანას და მის მართლად სადიდებელ სახელმწიფო რელიგიას.

«გუბერსკის» დესპოტური ციხისა და რუსთავის საპყრობილის საშინელ პირობებში გავატარე სასჯელის ძირითადი ვადა და ახლა, როდესაც თავისუფლებამდე თითზე ჩამოსათვლელი დღეები დამრჩა, გინდათ მოიღოთ მოწყალეობა და ამ უსამართლო პატიმრობიდან პილატესეული ღმობიერებით გამათავისუფლოთ.



სახალხო მიტინგი უსამართლო პატიმრის გათავისუფლების მოთხოვნით

მე კანონით ექვსი თვის წინ მეკუთვნოდა განთავისუფლება და ამას მოქმედი სამართლის კონკრეტული მუხლი ითვალისწინებდა, მაგრამ იგი არ გაითვალისწინეს ჩემმა დამსჯელებმა.

ჩემს თავისუფლებას ითხოვდნენ: საქართველოს პარლამენტის წევრთა 12 კაციანი ჯგუფი, საქართველოს საპატრიარქო და საზოგადოებრივი გაერთიანებები. იგივეს მოითხოვდა ქალაქის ცენტრალურ პროსპექტზე გამართული სახალხო მანიფესტაცია და სამართალდამცავი ორგანოების წინ შემდგარი საზოგადოებრივი მიტინგები, მაგრამ არცერთი ეს მოთხოვნა გაზიარებული და შეწყნარებული არ იქნა.

პატიმრობის იმ საშინელ პირობებში ჯანმრთელობა მნიშვნელოვნად შემელახა და სერიოზულად დაავადმყოფდი. მაგრამ უფლისა და სამშობლოს მიმართ დამოკიდებულება, რაც ჩემი საპატიმრო ბრალდების ძირითად მოტივს წარმოადგენდა, არათუ შემეცვალა, არამედ უფრო განმამტკიცდა. ამიტომ მე კვლავაც იქ ვდგავარ, სადაც დაჭერამდე ვიყავი. სადაც ოდითგანვე იდგა მესხეთისაგან განუყრელი და მესხეთივით ტანჯული საგვარეულო მოდგმა ჩემი, რომელსაც რწმენისა და სამშობლოსათვის ტანჯვა-ვაება არცერთ დროს არ დაკლებია.



გოგიტა მელიქიძის პატიმრობის გამო გამართული სახალხო მანიფესტაცია

მე, როგორც ჩემი მოდემის ერთგული კაცი, ნიანგის ცრემლებს არ ვსაჭიროებ და თქვენს მიერ მოწყალეობად შემოთავაზებულ თავისუფლებაზე უარს ვაცხადებ; სასჯელის ბოლომდე ვრჩები პატიმრობაში; თქვენეული სასამართლოსაგან შემოთავაზებულ ცინიკურ წყალობას არ ვღებულობ და მოწყალეობას კვლავაც ჩემი ყოვლადმოწყალე უფლისგან ველი.

რუსთავის №1 საპყრობილის პატიმარი
გ. მელიქიძე

რუსთავის საქალაქო სასამართლოს

გაცნობებთ, რომ თქვენი სასამართლოს მიერ გამოტანილი პატიმრობის სასჯელი თავიდან ბოლომდე მოვიხადე. მოვიხადე სწორედ ისე, როგორც ციხეში ამბობენ: «ოტ ზვანკა დო ზვანკა». ახლახან გავთავისუფლდი საპყრობილიდან; დავუბრუნდი ჩემს ოჯახს, ჩემს ქალაქს, ჩემს გულმართალ და სამართლისმოყვარე საზოგადოებას.

ციხიდან კი გამოვედი, მაგრამ გამოსწორებით ვერ გამოვსწორდი და სწორედ ისეთი დავრჩი, როგორც დამაპატიმრეთ. ისევ ისეთივე გულმხურვალეობით მიყვარს უფალი და სამშობლო ჩემი, რისთვისაც თქვენ გამასამართლეთ და პატიმრობა მომისაჯეთ. სასამართლოზე განვაცხადე და კვლავაც ვიმეორებ, დადგება დრო და ჩემი პატიმრობისა და გამო შერცხვება ყველას, ვისაც ამ პატიმრობაში წვლილი მიუძღვის.

პატიმრობა ფიქრისა და განცდის ის გაუნელებელი ქურაა, რომელშიც იწვის ყოველი უმნიშვნელო და ამაო ფიქრი, ხოლო განცდა ჭეშმარიტებისა კიდევ უფრო მეტად იწრთობა და იბრძმელება. უსამართლო პატიმრობის ცეცხლმა სწორედ ასე გამოაწრთო ჩემში სამშობლოს ფიქრი და უფლის განცდა. ჩემი ფიქრითა და განცდით არც პატიმრობამდე შემიქმნია ვინმესთვის საფრთხე და არც პატიმრობის შემდეგ ვაპირებ ვინმეს რამე დავუშავო. მაგრამ ჩემი ქვეყნისა და ჩემი უფლის მტრებისათვის მე კვლავაც ისეთივე არასასურველი პირი ვრჩები, როგორც ციხეში ჩასმამდე ვიყავი. ალბათ, მათი სექტანტური ინტრიგებისათვის ისეთივე აქტიური ობიექტი ვიქნები, როგორადაც პატიმრობამდე მიმიჩნევდნენ. ჩემს წინააღმდეგ აღძრული იელოვური ინსინუაციები იმდენად გამჭვირვალე იყო, რომ მათ უსამართლობას უბრალო ადამიანებიც კი კარგად ხვდებოდნენ. სწორედ ამ უსამართლობით აღშფოთებული საზოგადოება მართავდა მანიფესტაციას და აწყობდა სახალხო მიტინგს ჩემი განთავისუფლების მოთხოვნით, მაგრამ უსამართლობა იმდენად პრინციპული და შეუვალი აღმოჩნდა, რომ არ შეისმინა ხმა სიმართლისა და სიმართლე იგი უსამართლობის უდაბნოში ამაო ღაღადისად დარჩა. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ სიმართლე არასოდეს არის ამაო, რადგან მასში თვით საუფლო არსია გაცხადებული, რომელი არსისადა



დღეს მამა ციხიდან გამოდის!

გამოც სიმართლე მზესავით კაშკაშებს. ეს კაშკაში შეიძლება დროებით დააბნელო კიდევაც, მაგრამ სიმართლის საუფლო არსს ვერავინ ჩაკლავს.

სიმართლე თავისთავად დიადია. ამ სიდიადის განცდა არც ციხეში და არც საპყრობილეში წუთითაც კი არ გამწვანდება. მის ლალატს არც მომავალში ვაპირებ. ჩემი ეს განაცხადი საკმარისი ალიბია იმისათვის, რომ ჭეშმარიტებასთან დაპირისპირებულმა ადამიანებმა არარსებული დანაშაულისათვის კვლავაც ციხეში ჩამაგდონ.

ციხე ჩემთვის ნამდვილად დიდი განსაცდელი იყო; გაცილებით უფრო დიდი, ვიდრე იგი ჩემი დასჯით დაინტერესებულ ადამიანებს წარმოუდგენიათ. ჩემმა დამსჯელებმა, დარწმუნებული ვარ, კარგად იციან იმის შესახებ, რომ 'მართალი კაცი ქვაზე მაგარია». ბორკილებით ჩემი ტარებისა და გულისგამაწვრილებელი სასამართლო პროცესებით ტანჯვის შემდეგ, ვფიქრობ თქვენც დარწმუნდით, უფლისა და სამშობლო-ქვეყნის ინტერესების დაცვისათვის სიმაგრე ნამდვილად არ მაკლია. სიმართლისათვის ბრძოლის

საქმეში ახლა უკვე ციხის ჯოჯოხეთურ ყოფაში გამოვლილმა, მართლაც ქვისთვის დამახასიათებელი სიმაგრე შევიძინე. ეს არის თქვენს მიერ ჩემს წინააღმდეგ გამოტანილი სასჯელის შედეგი, რაც ცრემლით, ტკივილითა და ქრისტიანული მოთმინებით მოვიპოვე.

უფლისა და სამშობლოს სიყვარულისათვის განკითხული, თქვენს მიერ უსამართლოდ დასჯილი, მაგრამ კვლავაც ქრისტიანული კაცთმოყვარეობით აღსავსე, პატიმარყოფილი გოგიტა მელიქიძე

VI დღე

წუხელის იწვიმა და კიდევ უფრო შემცივდა. მოვიკუნტე, ძალიან მოვიკუნტე, რომ გავმთბარიყავი და ასე მოკუნტულს ჩამეძინა. ღამით გავიღვიძე და ისევ ლოცვას შევუდექი. ჩემი ფსალმუნის კანონი ეხლა პირველია, დადგენილი წესის თანახმად ერთი თვე ამ კანონს ვკითხულობ და შემდეგ მომდევნო კანონზე გადავალ. საოცარი დამთხვევაა, რომ სიმართლისათვის მებრძოლ მოშიმშილეთა კარვების ქალაქში ჩემი მონაწილეობის ჟამს ფსალმუნის იმ კანონს ვკითხულობ, რომელიც ასე იწყება: «ნეტარ არს კაცი, რომელი არა მივიდა ზრახვასა უღმრთოთასა და გზასა ცოდვილთასა არა დადგა და საჯდომელსა უსჯულოთასა არა დაჯდა». «უღმრთო ადამიანების ზრახვები, მიზნები და საქმეები დაცლილია სიკეთისაგან, რადგან მასთან არ არის ღვთის ნება. ხოლო სადაც ღმერთი არ არის და ღვთის ნება არ სუფევს, იქ არც სიკეთეა. ჩვენ მეტ-ნაკლებად ყველანი ვართ ცოდვილები, მაგრამ სულ სხვაა გზა ცოდვილობისა, რაც ცოდვიან სვლას, ცოდვასთან შეგუებას გულისხმობს. ხელისუფლება, რომელმაც სათავეში მოსვლის პირველივე დღეებში ეკლესიის კარები ურალის ტიპის სამხედრო მანქანით შეანგრია. რომელმაც ფერიის მთაზე მშენებარე ეკლესია ერთ ღამეს დაანგრია და მიწასთან გაასწორა, რომელმაც გზებზე მოსახლეობისაგან დადგმული ჯვრები მოთხარა და დაუნახავში გადაქაჯა, რომელმაც ჩემი მართლმადიდებლური ინტერესების დაცვისათვის დამიჭირა და ციხეში ჩამაგდო, რომელიც უცხოეთის მავნებლური სექტების ოფისებსა და მათ შესაკრებელ 'სამეფო დარბაზებს' (ასე ეწოდება იელოველთა შესაკრებელ დარბაზს) გამალებული ტემპით აშენებს, რა თქმა უნდა, ასეთი ხელისუფლება უსჯულოდ იქცევა. ამიტომ ღირსეული კაცი 'საჯდომელთა უსჯულოთასა' არ უნდა დაჯდეს. ამიტომ მეც იქ მივედი და დავჯექი, სადაც სიმართლე იყო და სადაც ჩემი თანამემამულეები სამართლიანობისათვის იბრძოდნენ.

რა თქმა უნდა, ისე არ გავკადნიერდები, რომ თავი ცოტნე დადიანს გავუტოლო, მაგრამ თანამოძმეთა ერთგულებისა და მხარდაჭერის საქმეში სწორედ მას უნდა შევედაროთ. სანამ უშუალოდ ამ აქციაში ჩავერთვებოდი, აქაურობას რამდენიმე დღე გარს ვუვლიდი და ჰოი საოცრება: თვალწინ სულ

ის სულმნათი ცოტნე მიდგა. ხან ქვა-ლორდიან გზაზე ცხენის ფლოქვების თქარა-თქური მესმოდა და თანამომხეთაკენ მიმავალ თვალებბრიალა დადიანს ვხედავდი. ხან წელს ზევით გაშიშვლებული და ხელებგბააწრული ჩემი ქართველები მეჩვენებოდნენ. ხან კობტაგორაზე შეკრებილ და სამშობლო-ქვეყნის ბედზე ხმადაბლა მოსაუბრე, რჩეულ ქართველებს ვხედავდი; ხან კი თაფლწასმული, ბუზებისაგან გაწამებული და სიცხისაგან დაოსებული ის პატრიოტები მეცხადებოდნენ, რომლებსაც სიტყვა პატრიოტი, ალბათ, არც გაეგონათ, მაგრამ სამაგიეროდ ყველა პატრიოტზე ქართველებს ვხედავდი; ხან კი თაფლწასმული, ბუზებისაგან გაწამებული და სიცხისაგან დაოსებული ის პატრიოტები მეცხადებოდნენ, რომლებსაც სიტყვა პატრიოტი, ალბათ, არც გაეგონათ, მაგრამ სამაგიეროდ ყველა პატრიოტზე უკეთ იცოდნენ, როგორ უნდა ყვარებოდათ სამშობლო და როგორ დაეთმინათ სამშობლოსათვის. ხან ის პირშიშველა, ქოსა მონღოლი მეჩვენება, რომელიც გაოცებული თვალებით კითხულობს: ვინა ხარ კაცო, შენ და ამათთან შენ რა გესაქმება? ხან კი საუკუნეების შორეთში დარხეული სიტყვების ექო კვლავაც საოცარი სიცხადით სწვდება სმენას: ქართველი ვარ და ჩემი ადგილი სიმართლისათვის წამებულ ამ ქართველებს შორის არის!

ეს ხმები, ეს ჩვენებები მაშინათვე მოიხსნა, როცა პარლამენტის შენობის წინ სიმართლისათვის მეგზობროდ ჩემს თანამოაზრეებს შევუერთდი და გულზე ჩემი გვარსახელით დამშვენებული წარწერა ჩამომკიდეს.

გუშინ ჩემებს დავურეკე და გაცივებისათვის საჭირო წამლები მომიტანეს. გაძლიერებული დოზები დავლიე, რათა გაცივების შემოტევა ჩქარა მოვიგერიო. ახლა ავადმყოფობა არაფრით არ შეიძლება. ახლა განსაკუთრებით ჯანმრთელი და ძლიერი უნდა ვიყო. ჩემი სიძლიერე არა მარტო მე, არამედ უფრო დიად და მნიშვნელოვან საქმეს სჭირდება და რაც მთავარია, სჭირდება სიმართლისა და სამართლიანობის ტრფიულ სამშობლოს ჩემსას.

კიდევ ერთი საოცარი დამთხვევა, როცა ამ სიტყვებს ვწერდი, ჩემს კარავში აქციის ერთ-ერთმა მონაწილემ შემოიხედა და ეს პატარა ფურცელი შემომაწოდა.

მოშიშვლებებს! (ცნობილებს და უცნობებს)
 გისურვებთ გამძლეობას და შინაურ მტერზე გამარჯვებულს.
 (რომელიც ყველა მტერზე უფრო მეორია).
 აქვინ გაამარჯვებინათ ნათესავთ სიყვარული, მგონიათ
 ღაბოცვიან საქმეებში, არ შეიძლება არ იყოს
 სიყვარული. აქვინ ღვიძი დროს ეროვნული გმირები
 ხარა. ღვიძი მომხსნე გვხვია მთავარი ყოველ
 დროს. აქვინ გაამარჯვებინათ ა. რე სენსიტიური
 სიყვარული. „მავანდობის“ - სიამაღობის სიძლიერა
 გამოვიჩინებთ. აქვინ ნაღი ქართველები ხარა.
 მავანდობისა ხომ ყველაზე ბიჭ ქრისტე ბუნია.
 მე არ მინდა, ~~მე~~ უბრალოდ ისე აქვინ
 რომ აქვინ სიყვარული შენთვის. ნუ დავიწყებ
 საქმეების სიამაღობის... ხელს.
 მჯერავს რომ ღმერთი შემოგვირბევს აქვინ
 მავს მთავარი შიშობისათვის.
 P.S. ღმერთი იყოს საქმეებში და აქვინ
 მფარველი. აქვინავე მოსკვირი.

- ეს წერილი ერთმა თმაჭაღარა ქალმა მოიტანა და მთხოვა, ყველა
 მოშიშვლებულს წააკითხეო. ამიტომაც შენ გადმოგცემ, როგორც
 შემოსასვლელიდან პირველი კარვის წევრს, პირველად შენ წაიკითხე და მერე
 სხვებს გადააწოდებო, მითხრა.

მოშიშვლებებს! (ცნობილებს და უცნობებს)

გისურვებთ გამძლეობას და შინაურ მტერზე გამარჯვებას (რომელიც
 ყველა მტერზე უფრო მეორია).

თქვენ გაამართლეთ პოეტის სიტყვები «მაგრამ დალოცვილ საქართველოში, არ შეიძლება არ იყოს ცოტნე». თქვენ ჩვენი დროის ეროვნული გმირები ხართ. ჩვენ მომსწრე გავხდით მრავალი ცოტნე დადიანისა. თქვენ გაამართლეთ ეგზიუპერის სიტყვებიც. «თავგანწირვა... ადამიანობის უმაღლესი გამოვლინებაა». თქვენ ნაღდი ქართველები ხართ. თავგანწირვა ხომ ყველაზე მეტად ქართულ გენშია.

მე არ მინდა, ციხე ისე აშენდეს, რომ თქვენი სიცოცხლე შეეწიროს. ნუ დატოვებთ საქართველოს სააკაშვილების ხელში.

მჯერა, რომ ღმერთი შემოგვინახავს თქვენს თავს მომავალი ბრძოლისათვის.

P.S. ღმერთი იყოს საქართველოს და თქვენი მფარველი.

თქვენთვის მლოცველი . . .

გაკრული ხელით დაწერილ ბარათს დავხედე და ჰოი საოცრება: მისი სტრიქონებიდან ისევ იმ სულნათელმა ცოტნემ შემომხედა. ამის შესახებ აღარაფერს ვიტყვი, რადგან სათქმელს თვით ბარათიც საკმაოდ კარგად ამბობს.

დღეს დილით უფრო მხნედ გავიღვიძე, წამლებმა მიშველა და გაციება დავძლიე. ახლა მხოლოდ საკუთარ სხეულში გარინდული შიმშილი უნდა დავძლიო და დავითმინო.

დილით გაღვიძება ვახსენე, მაგრამ სად იყო დილა იმ ღამის წყვილიაღში, როცა მე ლოცვები დავიწყე. პატრიარქისეული კელაპტარი კვლავ ავანთე და ფსალმუნებს შევუდექი. დავითის ამ მადლიან სიტყვებს რომ მოვრჩი კარვიდან გავედი, ქაშუეთის პირისპირ გავსწორდი და წმიდა გიორგის დაუჯდომელი ლოცვა დავიწყე. დღემაც ნელ-ნელა თენება იწყო. ზვიად ძიძიგურსაც გაეღვიძა. ნელი ნაბიჯებით ჩამიარა. ისე გაიარა, რომ არ მომსალმებია – ლოცვა არ შემაწყვეტინა. უცებ ჩვენთან მყოფი წესრიგის დამცველი ბიჭების ჩოჩქოლი მომესმა. დავინახე ტუალეტთან მისულმა ზვიადმა წონასწორობა როგორ დაკარგა. ორივე ხელით ტუალეტის კარს ჩამოეკიდა, მაგრამ ხელებმა ვერ დაიჭირა და მოშვებული ჩაიკეცა. ბიჭები მიცვივდნენ და წამოყენება დაუწყეს. ერთმა დაიძახა: არ გაანძრიოთ, ნუ წამოაყენებთ, ახლა ჰორიზონტალურ მდგომარეობაში უნდა გავაჩეროთ. ამ დამახილზე ბიჭებმა ძირს დააწვინეს და ხელების მასაჟები დაუწყეს. ლოცვანი ქვაფენილზე დავდე და იმათკენ გავიქეცი. თან ხმამაღლა ვიყვირე: «ნოლ ტრი, ნოლ ტრი».

პირველი გიმნაზიის ეზოში სასწრაფო დახმარების ნოლ სამი იდგა, მაგრამ რატომღაც მე მაინც „ნოლ ტრი“ დავუძახე. მძლოლს საჭეზე ეძინა და ფანჯარაზე თავმიდებული ექიმიც თვლემდა. ჩემს დამახილზე უცებ გამოფხიზლდნენ. მანქანა მომენტალურად დაიქოქა და მთელი სისწრაფით ჩვენსკენ გამოქანდა. ბიჭებმა რკინის ბარიერები გააცურეს და ის ჩემი «ნოლ ტრი» კარებს შორის მაღალი სიჩქარით შემოვარდა. პატარა ყუთიანი ექიმი მანქანიდან კი არ გადმოვიდა, სიჩქარით გადმოვარდა. სასწრაფო დახმარების მანქანას უკანა კარი ახადეს და საკაცე გამოაცურეს. ვიღაცა ცივ ქვაფენილზე

მწოლარე ძიძიგურისათვის «ადიელას» მთარბენინებდა, ზვიადმა თვალეზი გაახილა. საკაცე რომ დაინახა გაუკვირდა და კარავში შემიყვანეთო, თქვა.

ბიჭებმა ხელით აწიეს და კარავში ისე შეიყვანეს. ცოტა ხნის შემდეგ დავინახე, თუ როგორ მოვარდა სულიერი მოძღვარი. ცალი ხელით ანაფორის კაბა წამოეწია და დიდი, ღონიერი ნაბიჯებით მოისწრაფოდა. რკინის ბარიერები თვითონვე გასწია და შემოსვლისთანავე იკითხა:

– ზვიადი რომელშია?

ბიჭებმა ძიძიგურის კარვისაკენ მიუთითეს და ისიც იქით გაემურა. მაგრამ კი არ მიდიოდა, მირბოდა. მე იმ მოძღვრის გულისცემა ვიგრძენი. მისი სიყვარულით სავსე გულის ფეთქვა საკუთარი სხეულით განვიცადე და იქაურობას გავერიდე ცრემლების მოსაწმენდად. ცრემლი აქ საერთოდ ძალიან გაგვიშინაურდა, აქაური სულისკვეთება არა მხოლოდ გონებაზე, არამედ პირდაპირ გულზე გადის, რის გამოც ცრემლიანი თვალეზი აღარ ვიცი საით დავმალე. ექიმთანაც ხშირად ჩავდივარ და ვალერიანის ტაბლეტებს ვთხოვ. მაგრამ ბრძოლა მაინც გრძელდება. გრძელდება განცდით, ცრემლითა და სიხარულით. სიხარულს ჩვენი სამართლიანი ბრძოლის განცდა მანიჭებს.

დღეს მზია კიდევ ერთხელ მოვიდა და მნახა. მომიტანა ინფორმაციები, რადგან აქ უტელევიზოროდ ვართ და ინფორმაციებს მხოლოდ გადმოცემით ვგებულობთ. არადა მაინტერესებს, რა ხდება გარეთ? როგორ უყურებს ხალხი ჩვენი კარვების ქალაქს? იგრძნობა თუ არა მოსახლეობაში სახალხო პროტესტი? თუ მართლა ჩვენს დახოცვას ელიან?

– გაუძლებ? მეკითხება ჩემი მნახველი.

– გავუძლებ, სრული თავდაჯერებით ვპასუხობ მას.

– უნდა გაუძლო. თქვენი გაძლება ახლა ძალიან საჭიროა!

– საჭიროა და აგერა ვარ, მოთმინება და გამძლეობა ჩემი საქმეა.

– ხალხი ყველაფერს კარგად ხვდება. ის ნაწილიც კი, რომელიც თქვენი შიმშილობის შეწყვეტას მოითხოვს, მოითხოვს მხოლოდ თქვენზე ზრუნვის გამო, თორემ ბრძოლა რომ სამართლიანია, ამაში ეჭვი არავის ეპარება.

– სახლში როგორა ხართ.

– სიამაყის განცდით. ახლა მთავარი თქვენა ხართ. სწორედ თქვენ უნდა შეძლოთ ის, რაც აქამდე ვერ შეძლეს...

წარმოთქმული სიტყვების ინტონაციაში დიდი შემართება იგრძნობა. ასეთი შემართება უფრო მეტ ბრძოლისუნარიანობას მანიჭებს. თუმცა ეს არ არის ახალი შემართება. ასე იყო იმ სასამართლო პროცესზეც, სადაც უფლისა და სამშობლოს სიყვარულისათვის მასამართლებდნენ. ასე იყო მაშინაც, როცა ოჯახის წევრებს ციხეში ჩემი ნახვის შესაძლებლობას აძლევდნენ და საერთოდაც ასეა. მე ძალიან მიხარია, რომ ჩემი ესმით, ჩემს სულისკვეთებას იზიარებენ და ქალებისათვის დამახასიათებელი სიფრთხილისაკენ მოწოდებებით არ მბრკოლებენ. მიხარია, რომ ჩემი ასე ესმით.

VII დღე

მეგობრებს ვთხოვე და წარწერა მომიმზადეს: „ყოფილი პოლიტპატიმარი საქართველოსათვის», რომელიც დღეს დილიდან ჩემს კარავზე დაამაგრეს. მართალია, მე სარწმუნოებრივი მიზეზით შემითხზეს საქმე და ჩემი სარწმუნოებრივი გულმხურვალებისათვის გამასამართლეს, მაგრამ ის სამართლებრივი დევნა, რომელიც ჩემზე განხორციელდა, სწორედ იმ სახელმწიფო პოლიტიკის შედეგი იყო, რომელსაც ჩვენი ქვეყნის ამჟამინდელი ხელისუფლება აწარმოებს. ამიტომ გარდა იმისა, რომ მე ამ უსინდისო ხელისუფლების სინდისის პატიმარი ვიყავი, თავისთავად პოლიტიკურ პატიმრადაც ვითვლები.

პოლიტიკური საქმიანობა საერთოდ ნაკლებად მხიბლავდა და ამიტომ პოლიტიკაშიც ნაკლებად ვერეოდი. ამის გამოა, რომ დღემდე არც ერთი პარტიის წევრი არა ვარ. მაგრამ პოლიტიკა თავისით მოვიდა ჩემთან. მოვიდა თავისი მკაცრი ციხე-საპყრობილეებით, უსამართლობის მძაფრი განცდითა და ფეხქვეშ გათელილი საქვეყნო სიმართლით. ასე თავისთავად მოვიდა პოლიტიკა, როგორც საქმიანობა და მეც მზად დავხვდი. თუმცა სამშობლო-ქვეყნის ინტერესებზე ფიქრი და ჩემი ხალხისთვის ზრუნვა აქამდეც საჩემო საქმედ მიმაჩნდა და ჩემი ერთი კაცობით ყველგან ვიყავი, სადაც ქვეყანას უჭირდა და ყოველთვის იქ ვიდექი, სადაც ჩემს ხალხს ვჭირდებოდი. ერთ-ერთი წერილის გადასაქსეროქსებლად ჩვენი კარვების ქალაქიდან ცოტა ხნით გავედი. ამდენი შიმშილობის შემდეგ ნელა და ფრთხილად მივდიოდი. ქუჩაში ბევრი ხალხი მოძრაობდა. ისინი გაფაციცებით მიეშურებოდნენ ამა თუ იმ საქმეზე. მათი აჩქარებული რიტმიდან მე უკვე ამოვარდნილი ვიყავი. უფრო მეტიც, მათ მიმართ ახლა უკვე ერთგვარ გაუცხოვებას ვგრძნობდი. რა შეიძლება ყოფილიყო ამ გაუცხოვების მიზეზი თუ არა სახელისუფლებო სიცრუისადმი ჩემი თავგანწირული ბრძოლა და მათი ამ სიცრუესთან ესოდენ მშვიდი შეგუება. ისინი დანაყრებული და გამამძარი დადიოდნენ, მე კი სიმართლის ძიების საქმეში შიმშილით ვიყავი დაოსებული. ჩემი ეს განსხვავება ქუჩაში ფეხაჩქარებით მოძრავ ხალხთან აშკარად იგრძნობოდა. ჩვენი ურთიერთგანსხვავება ბუნებრივი იყო, მაგრამ მე ეს ხალხი მაინც მიყვარს. მიყვარს ისეთი, როგორც არის. ჩემი ხალხის ცალკეული ნიშან-თვისებების მიმართ შეიძლება მოწონება-არმოწონება ყოველთვის მქონდეს, მაგრამ უსიყვარულობა არასოდეს. მე ეს ხალხი ძალიან, მართლა ძალიან მიყვარს და მათი სიყვარულის გარეშე ღმერთმა არც მაცოცხლოს.

პირველ სკოლასთან გავლისას შევამჩნიე ერთი ჩემთვის კარგად ნაცნობი მათხოვარი. ის ხელგაწვდილი იდგა და ხალხს კვლავაც დახმარებისაკენ მოუწოდებდა. მე შეხვედრას მოვერიდე და მისი დახმარება ქსეროქსიდან მოზრუნების შემდეგ გადავწყვიტე. როცა იქიდან მოვბრუნდი დავინახე, რომ ის მათხოვარი ძირს წაქცეულიყო და ხალხი თავს ეხვია. მისი ძველი პალტოც იქვე ეგდო. ვიღაცეები ხელების მასაჟს უკეთებდნენ. ჰაერი, ჰაერი მიუშვითო,

დაიძახეს და ხალხმა უკან დაიხია. დავინახე მისი გამტკნარებული სახე, რომელსაც თვალები რაღაც არაბუნებრივად გაფართოებოდა. მიუხედავად გაფართოებული თვალებისა, ის უკვე ველარავისა და ველარაფერს ხედავდა. ვერც თავის ხურდების ჯამს, ვერც ამ ძველ პალტოს და ვერც მის გარშემო მოფუსფუსე ხალხს. რა თქმა უნდა, ჩემი დახმარება მას უკვე აღარაფერში სჭირდებოდა. სინდისის ქენჯნა ვიგრძენი და შემრცხვა, რომ იმ მათხოვარს დროზე ვერ დავეხმარე. ისე ვერ დავეხმარე, რომ გადამერჩინა და ამ მდგომარეობაში არ ჩავარდნილიყო. ეს მე შემრცხვა, მაგრამ ჩემი ქვეყნის პრეზიდენტს? პრეზიდენტს თუ რცხვენია ამ ქუჩაში წაქცეული მათხოვარისა და არა მარტო ამ მათხოვარისა, არამედ უამრავი გამათხოვრებულ მდგომარეობაში ჩაყენებული ადამიანისა. ან კი საერთოდ თუ აქვს პრეზიდენტს სირცხვილის გრძნობა? ახლა გონება დავძაბე და მთელ მის გამოსვლებს მეხსიერების თვალი გადავაკვლე, მაგრამ რად გინდა... სირცხვილი მასში არსად არის. არსად არის მცირე ელემენტიც კი იმისა, რომ პრეზიდენტს სირცხვილის გრძნობა ჰქონდეს და ან მომავალში შეეძლოს ამისი განცდა. ეს რომ ნამდვილად ასეა, ამაში თქვენც დამეთანხმებით, ჩემო ძვირფასო მკითხველო, რამეთუ პრეზიდენტი და მისი უტიფარი გამოსვლები თქვენთვისაც საკმაოდ კარგად არის ცნობილი. ვის სჭირდება უსირცხვილო პრეზიდენტი? სირცხვილისაგან ასე პირწმინდად გარეცხილი კაცი რატომ უნდა პრეზიდენტობდეს? როგორ შეიძლება ჩემი სირცხვილ-ნამუსის ტრადიციული კულტურით აღსავსე ქართველ ხალხს სწორედ უსირცხვილო პრეზიდენტი ჰყავდეს? ეს რომ არ შეიძლება, სწორედ ამიტომ მიწევს დედაქალაქის დედაქუჩაზე ესოდენ მძიმე მარტვილობა.

დღეს ფატიმ დამირეკა. ის ჩემი დაა, რომელიც ყოველ დღე მიკავშირდება ტელეფონზე, რათა ჩვენი მდგომარეობა გაიგოს. ამჯერად პასუხი დამიგვიანდა და მოკითხვის შემდეგ მითხრა:

– ზარი რომ გამოდიოდა და პასუხს არ მცემდი, შევშფოთდი, ეტყობა უკვე ისეთ მდგომარეობაშია, რომ ტელეფონზეც ველარ მელაპარაკებო, ვიფიქრე.

ჯერჯერობით ვუძლებ; მადლობა ღმერთს, რომ კარგად ვუძლებ. ასეთი თანაგანცდის მომენტი მოშიმშილეებისათვის მხნეობის მომნიჭებელია, რაც თვითეულ ჩვენთაგანზე ძალიან დადებითად მოქმედებს.



წყლის ბოთლი, როგორც შიმშილის განუყრელი და ერთადერთი ატრიბუტი

ფატი თავის დიდ ოჯახთან ერთად მაღალ მთებში ცხოვრობს. როცა ტელეფონზე მიკავშირდება, მის ხმასთან ერთად მის მაღალ მთებზე შეფენილ სოფელსაც ვხედავ. მაღალ სოფელში მაღალი ზნეობის ადამიანები ცხოვრობენ, რომლებიც გულწრფელად მიყვარან და მეამაყებიან. მე აქ, დედაქალაქის დედაქუჩაზე მათი წარმომადგენელიც ვარ, მათ სახალხო ხმას გამოვხატავ და მათი მოქალაქეობრივი სიმართლის დაცვას ვცდილობ. ფატი ჩემთვის ერთადერთია, მაგრამ მისი სიყვარულის ნიჭი შეიძლება ათ სხვა დას ეყოს. ჩვენ სწორედ ამ ნიჭითა ვართ ძლიერი და კაცთმოყვარეობის ეს ქართული ბუნება ჩვენი ყველაზე უფრო დიდი სიმდიდრეა.

ამას წინათ ნინო ღვინიაშვილთანაც იყო საუბარი. ნინო ცნობილი ფილოლოგი და ენათმეცნიერების აღიარებული სპეციალისტია. იგი რამოდენიმე წელია საზღვარგარეთ ცხოვრობს და როდესაც ჰკითხეს: როდის ჩამოხვალ, საქართველოში როდის დაბრუნდებიო, უპასუხა:

– იმ ქვეყანაში, სადაც გოგითა მელიქიძეს იჭერენ და მის მსგავს ადამიანებს ციხეში ყრიან, რა ჩამომიყვანსო, უთქვამს მას.

ნინო უცხოეთის ერთ-ერთ გამომცემლობაში მუშაობს და თავისი მნიშვნელოვანი ჰონორარი იმ საპრობილეს გადმოურიცხა, სადაც მე უფლისა და სამშობლოს სიყვარულისათვის სასჯელს ვიხდიდი. იგი არა მარტო ენის კარგი სპეციალისტია, არამედ კარგი ქართველია. რამდენი ასეთი ნინო და რამდენი ასეთი კარგი ქართველი ჰყავს ამ ქვეყანას, რომელიც არ შეიძლება იცოდეს და არ გიყვარდეს. სწორედ ეს სიყვარულია ის მამოძრავებელი ძალა, რომელიც დამშვიდების საშუალებას არ მამძლევს და რომლისადა გამოც დღეს რუსთაველის პროსპექტზე ვდგავარ.

კვლავაც და კვლავაც არ მასვენებს ფიქრი იმაზე, რომ ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტი, თურმე დასასვენებლად საფრანგეთის საკურორტო ქალაქ ნიცაში წავიდა, მაშინ, როცა მისი უკეთური პოლიტიკის გამო ადამიანები აქ შიმშილით იხოცებიან და საკაცეებით გაყავთ, პრეზიდენტი კურორტზე მიდის. მაშინ, როცა პატრიარქი მას გამოსავლის მოძებნისათვის მიმართავს და მისგან ხალხისკენ ნაბიჯის გადადგმას მოითხოვს, იგი ხალხს ზურგს აქცევს და არცთუ მთლად გახმაურებულ ქალბატონებთან ერთად მიდის ნიცაში. ასეთი მდგომარეობის მქონე პრეზიდენტს რა ასვენებს და რა ესვენება ასეთ კაცს, თუკი ის ადამიანია? საიდან მოდის საკუთარ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების მიმართ ასეთი ცინიკური დამოკიდებულება? როგორ ახერხებენ ადამიანთა ასეთ აბუჩად აგდებას? როგორ, საიდან, რატომ? ვეკითხები საკუთარ თავს და პასუხს ვერ ვპოულობ, რადგან სახელისუფლებო კაბინეტის კარებები მაგრად არის ჩაკეტილი და ამ კაბინეტებში გამეფებული მდუმარებიდან ხალხის გასაგონი არაფერი ისმის.

გუშინ ჩვენი კარვების ქალაქის გაზეთი მოვამზადე და სტამბაში დასაბეჭდად გავატანე. კმაყოფილი ვარ, რომ მოშიშმილეთა სამომ გაზეთის გამოცემის იდეა სწორად გაიგო და მხარი დამიჭირა. გაზეთს ჩვენი, მოშიშმილეთა კარვების ქალაქის სახელი ქვია და იგი სწორედ ასე «კარვების ქალაქის გაზეთად» იწოდება. დღეს გაზეთი უკვე დაბეჭდილი მოიტანეს. იგი, რა თქმა უნდა, უხარვეზო არ არის, მაგრამ ჩვენი ქალაქის შეუპოვარ ხასიათს ატარებს, და რაც მთავარია, ჩვენ ახლა უკვე გაზეთიც გვაქვს, რომლითაც ქვეყანასა და ხალხს ველაპარაკებით, რომლითაც ჩვენს სამშვიდობო მოთხოვნებს ვაცნობთ და პროცესის შეუქცევადობას ვამკვიდრებთ. ამ გაზეთით მე, როგორც ჟურნალისტმა და გაზეთის გამომცემელმა, ჩემი ფუნქცია მოშიშმილეთა შორისაც ვიპოვე. გაზეთის გამოცემის ხარჯსა და ფულის საკითხს საერთოდ გავერიდე, რადგან არ მინდა ესოდენ გულწრფელ ატმოსფეროში ვინმეს უსიამოვნო ეჭვის ობიექტი გავხდე. მე მხოლოდ ერთი



უსამართლო ხელისუფლებასთან სიმართლისათვის მებრძოლი

რიგითი მეომარი ვარ ჩემი კარვების ქალაქისა, და კიდევ უფრო ფართო გაგებით, ჩემი სამშობლო ქვეყნისა. ამ რიგითი მეომრობითაც ბედნიერი ვარ, რადგან ეს არის გულწრფელი მსახურება უადრესად მნიშვნელოვანი და დიდი საქმისა. ეს საქმე ეხება ჩემთვის ესოდენ საყვარელ სამშობლო-ქვეყანასა და მის უკეთეს მომავალს.

დღეს ჩემი კარვის ახლოს ერთ-ერთი მოშიმშილე ტელეფონზე საუბრობდა. მისი ხმა ჩემამდე კარგად აღწევდა და მკაფიოდ გავიგონე, ტელეფონში როგორ ჩასძახა: „ვშიმშილობ იმისათვის, რომ მომავალში ჩემმა შვილებმა არ იშიმშილონ!“ იქიდან დასმული კითხვა რა თქმა უნდა, არ გამიგია, მაგრამ ძალიან კარგად გავიგე პასუხი, რომელიც ჩვენმა მოშიმშილემ გასცა, და რომელიც შეიძლება ითქვას, ყველა ჩვენგანის პასუხია: ვშიმშილობთ იმისათვის, რათა მომავალში ჩვენმა შვილებმა არ იშიმშილონ!

ერთ-ერთმა მოშიმშილემ უბის წიგნაკიდან თავისი საოჯახო ფოტო ამოიღო და მაჩვენა:

– ეს ჩემი შვილია; ესენი კი შვილიშვილები არიან, შინაგანი კმაყოფილებით მიხსნიდა იგი. ასეთი საოჯახო სურათები შევამჩნიე, რომ სხვებსაც აქვთ ჯიბეში. ამოიღებენ, დაჩერებიან, დიდხანს დაჩერებიან და მერე ფრთხილად ისევ ჯიბეში ინახავენ.

სურათიდან თვალგაგაცისკროვნებული ბავშვები იმზირებიან. მათ თვალეში თითქოს უცნაური მოლოდინია. მოლოდინი აქ, ჩვენთან მოშიმშილე

პაპისა. პაპა ხშირად თეთრწვერა მოხუცად წარმოგვიდგენია და არა იმ შუახანს მიტანებულ ენერგიულ კაცად, რომელიც ვაჟკაცურად იტანს მოშიშმილეთა ქალაქის რეჟიმს და უკეთესი მომავლისათვის იბრძვის.

დამთავრდება ჩვენი ბრძოლა, მეუბნება ის, რომელმაც სულ ახლახან საოჯახო ფოტო მაჩვენა; ჩვენ ჩვენს ოჯახებს დავუბრუნდებით. ამ კარვებს დაკეცავენ და აალაგებენ. აალაგებენ კარვების ქალაქის გარშემო შემორტყმულ ბარიერებსაც. აქაურობა დაიგვება და დასუფთავდება. მერე ჩემ შვილიშვილებთან ერთად მოვალ ამ მოედანზე და ვეტყვი მათ: ეს ის მოედანია, სადაც მე თქვენი უკეთესი მომავლისათვის სიკვდილ-სიცოცხლეს ვერკინებოდი. აქ წყდებოდა ბედი ჩვენი ქვეყნის უკეთესი მომავლისა. აქედან ვითხოვდით სამართალსა და ვებრძოდით უსამართლობას. ეს სამშობლოს სიყვარულის მოედანია. ეს მოედანი სამშობლოსათვის თავშეწირული ადამიანების სისხლით არის მორწყული. აქ იბადებოდა ფიქრი და ზრუნვა ჩვენი სამშობლო- ქვეყნისა. ყველაფერ ამას სიამაყით ვეტყვი ჩემს შვილიშვილებს, რადგან იყო დრო, როდესაც ამ მოედანზე მე საკუთარი ძალისხმევით ვიდექი და ვიდექი სწორედ ჩვენი სამშობლო-ქვეყნისა და მისი უკეთესი მომავლისათვის.

იქნებ წელიწადში ერთხელ სხვა მოშიშმილეებთან ერთად მოვიდეთ და ყველანი აქ შევიკრიბოთ. შევხვდეთ ერთმანეთს და ეს დღეები გავიხსენოთ. გავიხსენოთ კარვების ქალაქი, აქაური შემართება, საკაცეებით გაყვანილი ბიჭები და ის წმინდა საქმე, რომლისთვისაც ახლა აქ ვდგავართ. ამას, არც მეტი და არც ნაკლები, სამშობლოსათვის ბრძოლის საქმე ქვია. სამშობლოსათვის ბრძოლა კი ყოველთვის ძვირფასი და კეთილმოსაგონარია.

VIII დღე

ჯერ კიდევ ღამე იყო, როდესაც ლოცვებს შევუდექი. კვლავ აკიაფდა პატრიარქისეული კელაპტარი ჩემს პატარა კარავში და კვლავაც აივსო გული ლოცვითი ნეტარებით. პირველივე ფსალმუნის ბოლოში კვლავაც წარმოვთქვი სიტყვები: «უწყის უფალმა გზაი მართალთაი და გზაი უღმრთოთაი წარწყმდეს». არ მინდა უღმრთო ვუწოდო ჩემი ქვეყნის ხელისუფლებას, მაგრამ სხვა რა შეიძლება დავარქვა მას, რომელმაც გლდანში ეკლესიის ჯვრით დამშვენებული რკინის კარები მანქანით შელექა და ფერიის მთაზე მშენებარე ტაძარი მიწასთან გაასწორა. ეს და ამის მსგავსი სხვა უამრავი ფაქტი ნამდვილად უკუღმართობაზე მეტყველებს, რომლის შესახებ ნათქვამია «და წარწყმდეს გზაი უღმრთოთაი». ამ წარწყმედის პირდაპირი გამოხატულება იყო წუხანდელ ღამეს ერთ დამახილზე ჩვენს კარვების ქალაქთან მოვარდნილი ათი ათასობით ადამიანი, რომელიც მზად იყო წარეხოცა ეს ხელისუფლება.

თვალს ვადევნებდი პარლამენტის შენობის წინ შეკრებილ ხალხს და ვგრძნობდი, რომ ხალხი მიკროფონთან მოლაპარაკე ორატორებს, როგორც

იტყვიან, ცალი ყურით უსმენდა, თვალი კი პრეზიდენტის კანცელარიისა და პარლამენტის შენობისაკენ ეჭირა. ხალხს ამ ძალადობრივი ხელისუფლების დიქტატი და მათი უსამართლობა იმდენად ყელში აქვთ ამოსული, რომ მზად არის ერთ დამახილზე მიექრნენ, კარები შელექონ, თავზე დაალექონ ხელისუფლებას სიცრუითა და ძალადობით მითვისებული სკამ-მაგიდა, პრეზიდენტის სავარძელი კი მოედანზე გამოიტანონ და საჯაროდ დაწვან. ეგრეთ წოდებული ვარდების რევოლუციით სააკაშვილმა ხელისუფლების დამხობის ისეთი ცუდი მაგალითი მისცა საზოგადოებას, რომ ყოველ კრიტიკულ სიტუაციაში ხალხის ცნობიერება სწორედ ასეთი დამხობისაკენ ისწრაფვის და ამ ცუდი მაგალითის გამეორებას ლამობს. ის, ვინც ქარს თესავს, ქარიშხალს მოიმკისო, გვასწავლის ბიბლია. და ახლა უკვე კარგად იგრძნობა იმ ქარიშხალის ბობოქრობა, რომელიც სააკაშვილის მიერ დათესილი ქარის საპასუხოდ არის აღძრული. ორატორები ხალხს მოთმინებისაკენ, სამართლებრივ და ზნეობრივი ბრძოლისაკენ მოუწოდებდნენ, რასაც ხალხი, როგორც ითქვა, ცალყურად უსმენს. მაგრამ როგორც კი გაკრთება ფრაზა: «თუ ხელისუფლება ხალხის ხმას არ შეისმენს, ხალხი დაამხობს ხელისუფლებას», იქუხებს ტაში და ხალხი ამ ტაშის გრიალით ორატორს სიტყვას აწყვეტინებს. ამით საზოგადოება პირდაპირ მიანიშნებს, რომ ლაპარაკი და პოლიტიკა მას ნაკლებად აინტერესებს, მაგრამ აინტერესებს ხელისუფლების ჩამოგდება, დამხობა-დასჯა. იგრძნობა ხალხის უკმაყოფილება, მათი შინაგანი გაბრაზება, რაც ხელისუფლების მიმართ დაუნდობლობასა და შეუწყნარებლობაში გამოკრთება ხოლმე. მე მინდა ჩემი ხალხი უფრო დიდსულოვანი იყოს და ყოველი მათი შეწყნარებლობისა და დაუნდობლობის გამო გული მტკივა. ხელისუფლებაზე გაბრაზების საფუძველი თუ ვინმეს აქვს, ალბათ მე უნდა მქონდეს, როგორც ამ ხელისუფლებისაგან რეპრესირებულსა და უსამართლოდ ციხე-საპყრობილეებში ნატანჯ კაცს. მაგრამ ეს ასე არ არის: მე არა მხოლოდ რწმენით, არამედ ბუნებითაც ქრისტიანი ვარ და ჩემთვის უცხოა რევანშიზმი. გაცილებით უფრო ახლოს არის მოთმინება, შენდობა და მიტევება, ვიდრე პასუხის მიგება და სამაგიეროს გადახდა.

უსამართლო პატიმრობიდან მობრუნებულმა, ჯანგატეხილმა, დაწიხლულმა და გაწამებულმა პირველი რაც გავაკეთე ის იყო, რომ ჩავკიდე ხელი ჩემს შვილებს და ჩემს დამჭერ სექტანტთა ოფისს მივადექი. ჩემი მომჩივანები მოვიკითხე და მათთან შეხვედრა ვითხოვე. მინდოდა მათ შვილებთან ერთად, ჩემი პატიმრობით დათრგუნულ შვილებთან ერთად შევხვედროდი, მაგრამ ისინი მომერიდნენ და პირისპირ შეხვედრას თავი აარიდეს. სამაგიეროდ მათი ოფისის სხვა წევრები შემხვდნენ ჰალსტუხების ფრიალით, გაზეპირებული ფრაზებითა და ფარისევლური თავაზიანობით. იქიდან წამოსვლის შემდეგ ბავშვებმა მკითხეს, ეს რა უცნაური ხალხი იყო; ყველას ერთნაირი შუშის თვალები როგორ ჰქონდათო? მათ შორის შუშის თვალი არავის ჰქონია, მაგრამ ცივ, უაზრო და არაფრისმთქმელ მათ



გმადლობთ შენ უფალო ღმერთო ჩემო, რამეთუ გამომირჩიე ქრისტესმოყვარე
საწყოსა შენსა და ღირს მყავ სახელისა შენისათვის პატიმრობის განსაცდელში
მყოფობისა...

გამომეტყველებაში თვალის სიცოცხლე იმდენად შეუმჩნეველია, რომ
ბავშვებმა ისინი ყველანი შუშის თვალებიან ადამიანებად აღიქვეს.

ასეთი შუშისთვალება ადამიანებით არა მარტო ეს სექტანტთა ბუნაგია
სავსე, არამედ სავსეა ჩვენი სამშობლო ქვეყნის ხელისუფლება. თვით
პრეზიდენტი?

გაიხსენეთ მისი თვალები, დაუკვირდით მისი თვალების
გამომეტყველებას, განა ეს საქართველოს პირველი კაცის თვალებია? ქართველ
ხალხს განა ასეთი ცივი, დაფეთებული და არაფრისმთქმელი
გამომეტყველების მქონე პრეზიდენტი შეიძლება ჰყავდეს?

სამშობლოდან დევნილი გრიგოლ რობაქიძე თავის მშობლიურ
საქართველოს ასე მიმართავს: „მე მიყვარს შენი გამოხედვა, ძველი მესხური!“,
ამით ქართული გენის მოტრფიალე და მისი მესაიდუმლე იმას აღიარებს, რომ

საქართველოს აქვს ძველი გამოხედვა და ეს გამოხედვა არის მესხური. საოცარია, რომ ჩემმა პატარა მესხებმა სექტანტთა ბუნაგში შეხვედრილი ადამიანები უპირველესად სწორედ თვალებით აღიქვეს და მათ ძირითად მახასიათებლად ცივი, უგულო თვალები დაასახელეს. ამიტომ მათ შუშისთვალეა ადამიანები უწოდეს. თვალი სულის სარკეაო, გვასწავლიან წმიდა მამები და რა ქნას იმ უბადრუკმა სარკემ, რომელზეც სხვა არაფერი აირეკლება, თუ არა სიცარიელე საკუთარი სულისა.

დავუბრუნდეთ ისევ ჩვენი კარვების ქალაქს. რადგან იგი ჩვენია, ჩვენი მეზობელი ციხე-სიმაგრეა, რომელიც მოთმინებითა და გამძლეობით იბრძვის სიმართლისა და სამართლიანობისათვის. ადამიანები მოდიან და მიდიან, გვამხნევენ და ტაშს გვიკრავენ. ჩვენ კი ფეხმოუცვლელად ვდგავართ: ვდგავართ მოთმინებით და გამძლეობით. ვდგავართ საკუთარი სიმართლის განცდით, სამართლიანი ბრძოლით არის გული ანთებული და უკან დახევას არ ვაპირებთ. არც სიმართლის ღალატს ვფიქრობთ და არც სამართლიან ბრძოლაზე ხელის აღებას. შიმშილობის დღეების მაჩვენებელ დაფაზე ციფრებს ყოველდღიურად ვცვლი. ახლა ვნახე და ხუთი ციფრი კიდევ მაქვს დარჩენილი. ესე იგი ხუთ დღეს კიდევ გამოვცვლი ციფრებს და მერე ვნახოთ... რაც უფრო გვემატება შიმშილობის დღეები, ბრძოლა მით უფრო ძნელდება. რადგან, ორგანიზმი თანდათან სუსტდება და ძაბუნდება. მეზობელი სულის ბობოქარ ცეცხლს სხეულის ეს დასუსტებული ჭურჭელი ვეღარ იტევს და ლამის არის სული და სხეული ერთმანეთს გაეყაროს. სული ძლიერი და შეუპოვარია. იგი მიზანმიმართული და დაუოკებელია. სხეული მოთენთილი და მშვიდია, რომლის სიღრმეშიც მგელივით მძვინვარებს შიმშილი, მაგრამ მისი მძვინვარება ახლა ნაკლებად მაწუხებს, რადგან მთელი ყურადღება სულის ხმას, სულის შეუპოვარ ძახილს ეკუთვნის. სული კი მეზობელია, რომელიც ღვთის ნაპერწკალივით ანთია სხეულში. ეს ის ნაპერწკალია, რომელიც სითბოსა და სიცოცხლის კოცონს ჩაქრობის საშუალებას არ აძლევს, და ნაღვერდალივით ღვივის სიცოცხლე, ღვივის სიცოცხლე შიმშილით დაოსებულ სხეულში და გრძელდება ბრძოლა – გრძელდება ბრძოლა იმ იმედით, რომ „უფალმა უწყის გზაი მართალთაი«. (ფსალ. 1,6) და გზაი მართალთაი სათნო არს უფლისათვის. მე უფალზე მსასობელი კაცი ვარ და არაფერი არ მინდა უფლისადმი სათნოების გარეშე. თვით გამარჯვება, ესოდენ სანატრელი გამარჯვებაც კი არ მინდა, თუკი იგი ღვთისთვის სათნო არ იქნება.

13.20 წუთი იყო, როდესაც ზვიად მიძიგურის კარავთან ჩოჩქოლი ატყდა და ექიმო, იყვირეს. მოვარდა ექიმი, რომელიც მაშინათვე წნევასა და პულსზე ჩამეყდროვდა. მერე ფონენდოსკოპი უცებ მოიძრო და საკმაოდ ხმამაღლა განაცხადა:

– უნდა ვიჩქაროთ, გული უკვე ზღვარზეა და შეიძლება გაჩერდეს!

საავადმყოფოში გადაყვანაზე ზვიადი აქამდე კატეგორიული წინააღმდეგი იყო. ახლა უკვე მის პასუხს აღარავინ დაელოდა, რადგან გონება დაკარგა და სრულებით მოეშვა. ბიჭებმა ლეიბით ასწიეს და სასწრაფო დახმარების

საკაცეზე დაასვენეს. ტრადიციის თანახმად კარვების ქალაქში კიდევ ერთხელ იქუხა ტაშმა. ხოლო ბარიერებთან მოჯარულმა ხალხმა ზვიადის სახელის დამარცვლით სკანდირება დაიწყო. სასწრაფო დახმარების მანქანის კარებები ფრთხილად დაიხურა და მანქანა დაიძრა. ახლავა შევამჩნიე, რომ მოყვითალო ფერის მანქანას დიდი წითელი ასოებით ეწერა 'გული'. რაოდენ მრავლისმთქმელი სიტყვაა და რა ძვირფასია ეს დალოცვილი.

უნებურად გოგი ცაბაძის საკმაოდ პოპულარული სიმღერა გამახსენდა: «რა უძირო და რა გამძლე... გულო, უნდა მიერთგულო მიმყვე საიქიომდე». «გულის» მანქანამ წაიყვანა ზვიადი, რათა მისი გული გადაარჩინოს. გულზე ფიქრის დროს საჭიროა გავიხსენოთ, რომ არსებობს უგულო კაცის მცნება. რა საცოდავია უგულო კაცი და რა საზიზღრობაა უგულო კაცობა. ნამდვილად არავინ მეგულება, მათ შორის პრეზიდენტის გარემოცვიდანაც კი, რომელსაც შეეძლოს თქმა «პრეზიდენტი გულიანი კაციაო». რა უყავი გული კაცო? გული სადა გაქვს? სად დაკარგე გული, შე ჩემი ცოდვით სავსე? ასეთი უგულო კაცი, როგორ ბედავ თავს მოახვიო პრეზიდენტობა იმ ხალხს, რომელი ხალხიც სწორედ გულითა და გულისხმიერებით არის გამორჩეული.

ძიძიგურის წაყვანისთანავე გოგა ხაინდრავამ განაცხადა, რომ მის ადგილს იკავებს და მოშიმშილეთა ქალაქის წევრი ხდება. ბრძოლა გრძელდება. გრძელდება ბრძოლა სახელისუფლებო დუმილთან, პრეზიდენტის უგულობასა და საქვეყნო უგუნურებასთან.

დღეს წითელი ჯვრის საერთაშორისო ორგანიზაციის მიმართ წერილი მოვამზადე. ბიჭებმა მოიწონეს და უამრავმა მოშიმშილემ მოაწერა მას ხელი. წერილი გაიგზავნა, მაგრამ შედეგს არ ველით, რადგან ვიცით, რომ ამ საერთაშორისო ორგანიზაციის საქართველოს წარმომადგენლობა ისე, როგორც სხვა უამრავი რამ, სახელისუფლებო კლანის ხელშია. მისი ხელმძღვანელი არის ნაცემოდრაობის აქტიური სახის ბესო ჯუღელის ცოლი.

წითელი ჯვრის მსოფლიო საერთაშორისო ორგანიზაციას

თქვენთვის ცნობილია, რომ საქართველოს დედაქალაქში სიმართლისა და სამართლიანობის მოთხოვნით მიმდინარეობს აქცია, რომელიც პარლამენტის შენობის წინ გამართული კარვების ქალაქითა და მათში განთავსებული 70-მდე მოშიმშილის ძალისხმევით გამოიხატება. დღეს უკვე შიმშილობის მე-17 დღეა და მდგომარეობა საკმაოდ დამძიმებულია. რამდენიმე ჩვენი წარმომადგენელი წაიქცა და საავადმყოფოში საკაცით გადაიყვანეს. ჩვენი სიცოცხლე ამკარად საფრთხეშია, მაგრამ ხელისუფლება მდგომარეობის განსამუხტად და ჩვენი სიცოცხლის გადასარჩენად ნაბიჯსაც არ დგამს. არავინ ვიცით რამდენიმე საათის შემდეგ რომელ ჩვენთაგანს უმტყუნებს ჯანმრთელობა და სიკვდილის რეალობა დაუდგება.

თქვენ, როგორც საერთაშორისო ჰუმანიტარული საზოგადოების წარმომადგენლობა, გულგრილად არ უნდა უყუროთ ამ პროცესებს და

აქტიურად ჩაერთოთ ადამიანთა ჯანმრთელობის გადასარჩენად. მეორე მხრივ საგანგაშო სიგნალი უნდა მისცეთ მსოფლიო საზოგადოებრიობას, რომ ადამიანები სიმართლისა და სამართლიანობის მოთხოვნით აქ საქართველოს პარლამენტის შენობის წინ იღუპებიან.

ჩვენ არც ერთი პარტიის წევრები არა ვართ და არც პოლიტიკური ინტერესები გვამოძრავებს. ჩვენ ის რიგითი მოქალაქეები ვართ, რომლებიც საზოგადოების ხმას და ხალხის ძახილს გამოვხატავთ. ეს ძახილი, ისეთ საყოველთაოდ აღიარებულ დემოკრატიულ პრინციპს შეეხება, როგორც სამართლიანი და თავისუფალი არჩევნების ჩატარებაა.

იმედი გვაქვს, გულგრილი არ დარჩებით შექმნილი პროცესების მიმართ და ხმას აიმაღლებთ ადამიანთა სიცოცხლის გადასარჩენად.

თქვენგან ქმედითი ნაბიჯების მოლოდინით აქციის მონაწილე მოშიშხილები:...

მოშიშხილეთა ხელმოწერებით დამშვენებული ეს დოკუმენტი მაშინათვე გაიგზავნა. რუსთაველის პროსპექტზე, წუხელის ბარიკადები რომ დაიდგა, მას შემდეგ პროსპექტი გადაკეტილია. დილით ხალხი ცოტა იყო, მაგრამ შუადღისთვის აქაურობა ისევ ხალხით გაივსო. წესრიგის დაცვაზე მყოფმა მორიგე ბიჭებმა წიგნი მომიტანეს და გადმომცეს:

– ქალაქ რუსთავიდან ხალხი იყო ჩამოსული და შენ გკითხულობდა. მათ შორის ერთ-ერთმა ზურაბ გიორგაშვილი ვარო, ახსენა, მეორემ კი ეს წიგნი გამოგიგზავნათ.

ბატონი გიორგაშვილი რუსთავში კარგი კაცობით ცნობილი პიროვნებაა, იგი ჩვენი ძია ზურაბია. წიგნის ავტორი კი ჩვენი ძვირფასი მწერალი ბატონი გივი ჯახუაა, რომელსაც ჩემთვის გამოგზავნილ წიგნზე ავტოგრაფად ლოცვა გაუკეთებია «ღმერთმა გაკურთხოს მამულიშვილო!».

იცოცხლეთ, ჩემო რუსთაველებო, თქვენ სწორედ ისეთი გულიანები ხართ, როგორც ჩვენი ქალაქია. რუსთავი არც ერთ სხვა ქალაქს არ ჰგავს. იგი ქართული სოფლების სევდითა და მოშლილი კერიის მონატრებით გამთბარი ქალაქია. აქ სხვაგვარი სიყვარული იციან და აქ სხვაგვარად საყვარელი ადამიანები ცხოვრობენ.

მე ჯერ მხნედ ვარ და ბრძოლის ისეთი ჟინითა ვარ აღსავსე, რომ შიმშილს ვერც კი ვგრძნობ. მხოლოდ ძილში განვიცდი მუცლის არეში წვას, მაგრამ ეს შიმშილის გრძნობა არ არის, რაღაც სხვაა, რომლისთვისაც ახლა ნამდვილად არ მცალია. მთავარი ახლა გაძლებაა. გაძლება კი, მადლობა ღმერთს, არ მაკლია.

4 საათი იქნებოდა, როდესაც პატრიარქი თანმხლებ პირებთან ერთად მობრძანდა. მას კარვების ქალაქის ბარიერთან შევეგებე; მუხლებზე დავეცი და ხელზე ვეამბორე. პატრიარქმა ყველანი ერთად დაგვლოცა და გამოაცხადა, რომ მოსული იყო საგანგებო მისიით. თუმცა ამ მისიის შესახებ სიტყვის უთქმელადაც ყველაფერი ნათელი იყო. პატრიარქს ჩვენთვის პატარა კალათით სეფისკვერები ჰქონდა მოტანილი და დიდი გრაფინით ნაკურთხი წყალი. უწმინდესი კალათიდან თვითონ იღებდა სეფისკვერს და აკანკალებული

ხელით თვითუღს ცალკ-ცალკე გვთავაზობდა. პატრიარქი ძალიან დაღლილი მეჩვენა; დაღლილი და შეწუხებული. სახე გაფითრებული ჰქონდა და ლაპარაკი უჭირდა. მისი აკანკალებული ხელით გამოწვდილი სეფისკვერის დანახვაზე გული ამომიჯდა და მის წინ მუხლებზე ახლა უკვე მეორედ დავეცი. მერე ყველაფერი ცრემლის კურცხალში გაერთიანდა. ცრემლმა ყველაფერი ერთად დაიტია: ჩემი ხელაკანკალებული პატრიარქი, შიმშილით დაოსებული საძმო, გარშემო მოჯარული ჩვენი მხარდამჭერი საზოგადოება და მთელი საქართველო. მთელმა საქართველომ ცრემლის ერთ კურცხალში მოიყარა თავი და ეს ცრემლი ახლა ყველას და ყველაფერს გვაერთიანებდა.

პატრიარქისათვის თვალეზში არ შემხედავს, მაგრამ ბიჭებმა მითხრეს, როდესაც იგი სეფისკვერებს გვირიგებდა, თვალეზი ცრემლებით ჰქონდა სავსეო. პატრიარქის ამ ცრემლის შესახებ შემდეგ ოფიციალურადაც ითქვა. ჩვენ მას უხმოდ დავემორჩილეთ, მაგრამ ვინც იგი ამ მდგომარეობაში ჩააყენა, სწორედ მის სინდისზე იყოს პატრიარქის ცრემლი.

ცნობილია, რომ მთელი ჩვენი კარვების ქალაქის არსებობის პერიოდში, პატრიარქი ცდილობდა მდგომარეობის განმუხტვას და სისტემატურად ელაპარაკებოდა ხელისუფლებას, მაგრამ ხელისუფლებამ ყურად არ იღო მისი ლაპარაკი და სიტუაციის გასამუხტავად ერთი ნაბიჯიც კი არ გადმოდგა.

საკაშვილის, მართლაც, ქაჯეთის ციხესავით, კარჩაკეტილ რეჟიმს პოლიტიკური ოპონენტების სიტყვის მოსმენა და მისი გაგონება რომ არ უნდა, ეს აქამდეც საკმაოდ კარგად იყო ცნობილი, მაგრამ პატრიარქის თხოვნასაც თუ არ შეიწყნარებდა და მისი კურთხევის უგულვებლყოფას თუ მოახდენდა, ეს არ გვეგონა.

პატრიარქმა რამდენიმე დღით ადრე გააკეთა საგანგებო მიმართვა პარლამენტის შენობის წინ მიმდინარე შიმშილობის აქციის თაობაზე. ეს მიმართვა ორი ნაწილისაგან შედგებოდა. ერთი ნაწილი გვეხებოდა მოშიმშილეებს და აქ პატრიარქი ჩვენზე და ჩვენს ჯანმრთელობაზე მამა-შვილურ ზრუნვას გამოხატავდა, რის გამოც შიმშილობის შეწყვეტას გვირჩევდა. მთელი დანარჩენი მიმართვა ეხებოდა ხელისუფლებას, რომ ისინი უნდა წავიდნენ დათმობაზე, მიიღონ სათანადო გადაწყვეტილებები, რომლითაც განმუხტავენ სიტუაციას და შექმნიან შიმშილობის შეწყვეტის საფუძველს. შეახსენა მათ, რომ დათმობა დამარცხებას არ ნიშნავს; დათმობაზე წასვლა ეს ძლიერთა პრეროგატივაა და ასე შემდეგ. ამ მიმართვისთანავე ოპოზიციის 8-კაციანი წარმომადგენლობა ეწვია პატრიარქს და შექმნილი სიტუაციის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა, აქვე ითქვა, რომ მისი უწმინდესობის სამშვიდობო მიმართვის თანახმად ოპოზიცია თმობს მემორანდუმით გათვალისწინებულ ყველა 17-ვე მოთხოვნას და მხოლოდ სამართლიანი საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას ითხოვს. საპარლამენტო არჩევნები უკვე 2 თვის შემდეგ არის დანიშნული და თითქოს მისი სამართლიანად ჩატარების წინააღმდეგი არავინ არ უნდა იყოს, მაგრამ ხელისუფლება აქაც შეუვალია.

17-დან ერთადერთ მოთხოვნაზე დასული ოპოზიცია მხოლოდ სამართლიან არჩევნებს მოითხოვს და სხვას არაფერს. ამ განსაკუთრებული მდგომარეობით შეშფოთებულმა პატრიარქმა პარლამენტის თავმჯდომარესთან დაკავშირება გადაწყვიტა და ტელეფონზე ამ ერთადერთი პირობის შესრულება ითხოვა. ქალბატონი თავმჯდომარე გადაწყვეტილებას დამოუკიდებლად ვერ იღებს და პრეზიდენტთან ამ საკითხზე მოსალაპარაკებლად ერთი დღე ითხოვა. გავიდა ის ერთი დღეც და არავითარი სამართლიანი არჩევნების ჩატარების პირობა არ გაჩნდა. ქვეყანას ახლა ჩვენ ვმართავთ და ყველაფერი ისე იქნება, როგორც ჩვენი _ ნაცმოდრობის სახელით უმრავლესობაში მოსულებს გვინდაო. ეს სიტყვასიტყვით ასე არ თქმულა, მაგრამ იმ ერთადერთი თხოვნის გაუთვალისწინებლობა სწორედ ამას ნიშნავს და სხვას არაფერს. ხელისუფლებამ ხალხის მოთხოვნის გასაზიარებლად არც ერთი ნაბიჯი არ გადადგა. იგი ბოლომდე შეუვალი და თავნება დარჩა. ხელისუფლებამ არც პატრიარქის შეგონება შეისმინა და არც დათმობათა შესახებ გაკეთებული რჩევა გაიზიარა. ხელისუფლებას არც ხალხის, არც მოშიშმილე ოპოზიციისა და არც პატრიარქის სიტყვა არ ესმის. იგი ბოლომდე ჯიუტი და ფეხმოუცვლელი რჩება. ხელისუფალთა სიჯიუტე შეიძლება ახალი აღარც არის, მაგრამ ძალიან ახალი და ავისმომასწავებელია ის სიტყვით ართქმული განაცხადი, რომელიც მათი ქმედებიდან გამოსჰვივის: რატომ არ დაეთანხმა ხელისუფლება სამართლიანი საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას? რატომ არ უნდათ მას სამართლიანი არჩევნების ჩატარება? თუკი სამართლიანი არჩევნების ჩატარებაზე თავს იკავებენ, მაშინ რისთვის ემზადებიან, როგორ გაყალბებას აპირებენ და როგორი არჩევნები უნდა ჩაატარონ? აიტანს კი ჩვენი ქვეყანა კიდევ ერთი არჩევნების ასე უსინდისოდ გაყალბებას?

ხელისუფლების ეს სიჯიუტე ავის მომასწავებლად მეჩვენა და გულმა უსიამოვნო წინათგრძნობით დამიწყო ჩხვლეტა.

პატრიარქმა ძალიან კარგად იგრძნო სიმართლე. დაინახა სიმართლისათვის წამებული, გამხდარი და მის წინ მორჩილებით მუხლმოყრილი სამწყმსო თვისი. იგრძნო ტკივილი ფეხქვეშ გათელილი სიმართლისა და საკუთარი თვალით ჩახედა სამართლიანობის ძიებაში დაღლილ ადამიანთა თვალებს და ატირდა პატრიარქი. ეს ყველაფერი ჩემთვის ძალიან ძნელი დასანახი და ასატანი იყო, ამიტომ მაშინათვე განვმარტოვდი და საკუთარ ცრემლებთან დავრჩი.

მოგვიანებით გულგამოციებული ადამიანები თვალმოწყურული მკითხავენ: რისთვის იშიშმილეთ, ხომ მაინც ვერაფერს მიაღწიეთ?

მიღწევად ისინი პრეზიდენტის ქუჩაში გამოგდებულ სავარძელს გულისხმობენ და შედეგადაც მხოლოდ ასეთ შედეგს მიიჩნევენ. დიახ, ასეთი ადამიანებისათვის მართლაც ვერაფერს მივაღწიეთ, რადგან მათ მხოლოდ დასანახის დანახვა შეუძლიათ.

ჩვენს ძალისხმევას მათი თვალის სასეირო და დასანახი შედეგი არ მოჰყოლია. თუმცა, სულიერ ხედვაში გაწვრთნილი თვალი კარგად ხედავს იმას, რაც თვალთ არ ჩანს, საყურებელი და სასეირო არ არის, მაგრამ თავისი ზნეობრივი მნიშვნელობითა და განცდის მაღალი ხარისხით დასანახ შედეგზე უფრო დასანახი და მნიშვნელოვანია.

მთელმა ქვეყანამ დაინახა, რომ სააკაშვილის რეჟიმს ადამიანები ებრძვიან მშვიდობიანი პოლიტიკური მეთოდებით და მხოლოდ მშვიდობიანი. ბრძოლის ამ უკიდურესად მშვიდობიანმა ფორმამ კიდევ უფრო მეტი სიცხადით უნდა წარმოაჩინოს ხელისუფლების მოძალადე სახე: რეზინის ტყვიები, მომწამლავი გაზი და რეზინის ჯოხებით ადამიანთა ისეთი გამეტებული ცემა, რომ მშვიდობიანი მანიფესტანტები ექიმებმა სიკვდილს ძლივს გადაარჩინეს. ეს ყველაფერი უკვე იყო და მას 7 ნოემბრის მოვლენები ეწოდა. ეწოდა დაუნდობლობა, მუხანათობა და მშვიდობიან მოსახლეობაზე სახელისუფლებო ძალადობა.

შიმშილობა თავისთავად პოლიტიკური ბრძოლის უკიდურესი ფორმაა. ამ უკიდურესობის მომსწრე მე თვითონ გახლდით, როცა ტაშის გრიალით ვაცილებდით საკაცეზე უგონოდ დასვენებულ მოშიმშლევებს, რომლებიც ჯანმრთელობის გაუარესების გამო სასწრაფოდ გადაყავდათ საავადმყოფოში. მიუხედავად ასეთი უკიდურესი ფორმისა, ხელისუფლებას მაინც ვერაფერი შევასმინეთ. სულ ელემენტარულ საკითხებშიც კი იოტისოდენა დათმობას ვერ მივაღწიეთ. ეს ის ხელისუფლებაა, რომელსაც ხალხის ხმა არ ესმის და საზოგადოების მოთხოვნებს არ ითვალისწინებს. თვით შიმშილის ესოდენ უკიდურესი ფორმაც კი ხელისუფლებისათვის ანგარიშგასაწევი ფაქტორი არ არის.

შიმშილობის ასეთი მასშტაბური ფორმით საყოველთაოდ წარმოჩინდა ხელისუფლების ანტიჰუმანური და დესპოტური სახე. ხელისუფლებას არ აინტერესებს თავისი ხალხის ბედი, როდესაც მის ცხვირწინ ადამიანები ელემენტარულ სამართლიანი მოთხოვნებისათვის სიკვდილ-სიცოცხლის ჭიდილში არიან ჩართული, ამ დროს პრეზიდენტი საფრანგეთის საკურორტო ქალაქში, ნიცაში მიდის დასასვენებლად.

ჩვენი აქციის მემშვეობით მთელმა ქვეყანამ დაინახა, თუ როგორ იბრძვიან ადამიანები სამართლიანობისა და კანონიერებისათვის. თუ რა დიდი ძალისხმევა სჭირდება ხალხს ამ ხელისუფლებასთან თვით ყველაზე ელემენტარული საკითხების მოგვარებისთვისაც კი. მიუხედავად ასეთი დიდი ძალისხმევისა, ადამიანები ამ ელემენტარული საკითხების მოგვარებასაც ვერ ახერხებენ.

ჩვენმა აქციამ კიდევ ერთხელ წარმოაჩინა ხელისუფლების ხისტი პოლიტიკა და ნაციონალების უგუნურებამდე მისული სიჯიუტე. სიჯიუტე საკუთარ ხალხთან, საკუთარი ქვეყნის მოქალაქეებთან, რომელთა პრეზიდენტობას არასამართლებრივი ფორმებით ითვისებს და ისაკუთრებს.

ჩვენი აქციის უკიდურესად ჰუმანურმა პრინციპებმა უნდა გამოაფხიზლოს მოსახლეობის ის ნეიტრალური ნაწილი, რომელიც ეგუება სახელისუფლებო სიცრუეს და საკუთარი უარყოფითი დამოკიდებულების გამოხატვისგან თავს იკავებს. ამ აქციის ფონზე ხელისუფლების უარყოფითი სახე, როგორც იტყვიან დღესავით ნათელია. ამან საზოგადოებაში კიდევ უფრო მეტი სახალხო უკმაყოფილება უნდა გამოიწვიოს და ხელისუფლების მიმართ დამოკიდებულებაც ერთმნიშვნელოვნად უნდა ჩამოაყალიბოს.

ამ აქციით ჩვენ ბრძოლა გამოვუცხადეთ სახელისუფლებო სიყალბესა და საქვეყნო უსამართლობას. ამით გამოვხატეთ უსამართლობასთან ჩვენი შეურიგებლობა და დავგმეთ ის სიყალბე და თვალში ნაცრის შეყრის პოლიტიკა, რომელსაც სააკაშვილის რეჟიმი ახორციელებს.

ჩვენ ვაწარმოებთ ზნეობრივ ფრონტს ხელისუფლებასთან და წარმოვაჩინეთ მის უზნეო სახეს. ვის სჭირდება უზნეო ხელისუფლება?

ჩვენ წარმოვაჩინეთ ჩვენი ქრისტიანული სახე და სრული მორჩილება გამოვუცხადეთ პატრიარქს. ხელისუფლებამ უარყო პატრიარქის შეგონებები, არ შეასრულა მისი საპატრიარქო კურთხევა და საქვეყნოდ ცხადყო საკუთარი უღმერთობა.

ამ აქციაში მონაწილეობით კიდევ ერთხელ გავიხილე გული სამშობლოს სიყვარულით, კიდევ ერთხელ გავიცხოველე საქართველოს განცდა და კიდევ უფრო მეტად ავმადლდი სამშობლოზე ფიქრით. ვძლიე საკუთარი თავი და ჩემი სამშობლო- ქვეყნის ინტერესებისათვის დავითმინე შიმშილი, სისუსტე და დღედაღამ ქუჩაში დგომა.

ჩემი აქციაში მონაწილეობით მართალი ვიყავი ჩემი ხალხის წინაშე, რომელთა სამართლიანი ინტერესების დაცვასაც მე ესოდენ მოთმინებითა და გამძლეობით ვუდექი დარაჯად.

მართალი ვიყავი ჩემი სამშობლო-ქვეყნის წინაშე, რომლის ინტერესებისათვის ბრძოლაშიც პირნათლად ვიდექი და ჩემი ერთი კაცობით პასუხს ვაგებდი მის წინაშე.

მართალი ვიყავი თვით უფლის წინაშე, რომლის სახელითა და რომლის სიყვარულითაც ვებრძოდი სიცრუეს და ვამხელდი იმ სახელისუფლებო სიყალბეს, რომელმაც ლამის ქვეყანა წალეკოს.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, არ შეიძლება ესოდენ გამკაცრებულმა მარხვამ და ესოდენ გაძლიერებულმა ლოცვამ უკვალოდ ჩაიაროს და ესოდენ დიდი ძალისხმევა უფლისგან შესმენილი არ იყოს. მე ვაკეთე ის, რაც მე შემეძლო მეკეთებინა, დანარჩენი კი თვით უფალმა იცის...

ძალიან მეამაყება, რომ თანამონაწილე ვიყავი იმ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისა, რომელიც ქვეყანაში გაბატონებული სიცრუისა და უსინდისობის წინააღმდეგ მიმდინარეობდა. ამ სამართლიან ბრძოლაში მე ჩემი წილი ომი ვიომე და ვიომე საკმაოდ ღირსეულად. ეს იყო მომავლისაკენ გადადგმული ის ნაბიჯი, რომელიც მხოლოდ მომავალმა უნდა შეაფასოს და არა დღეს მოქირქილე ცინიკოსებმა.

საღამოს კვლავ აგუგუნდა ხმამაღლა მოსაუბრე რუპორები და კვლავ გაისმა ორატორის ხმა.

– ახლა მე გაგაცნობთ იმ ადამიანებს, რომლებიც საკუთარი მოთმინებისა და გამძლეობის ხარჯზე გმირულად მონაწილეობდნენ ამ საპროტესტო აქციაში. თავიანთი გულწრფელობით იომეს ხელისუფლებაში მოკალათებული ბოროტების წინააღმდეგ. ისინი ამ ბრძოლაში მართალი არიან და მიუხედავად ამ ბრძოლის შედეგისა, თავისთავად მნიშვნელოვანი და დიადია ბრძოლა სიმართლისათვის.

ისინი ჩვენი დროის ნამდვილი გმირები არიან. მათი სახელი და გვარი კარგად უნდა დაიმახსოვროს საღად მოაზროვნე საზოგადოებამ, რადგან ჩვენს ქვეყანას მომავალი სწორედ ასეთი ადამიანების მეშვეობით თუ ექნებათ. ასეთი ადამიანების გულწრფელობა და სამშობლოსათვის თავდადების უნარი არის გარანტია ჩვენი ქვეყნის უკეთესი მომავლისა.

რუსთაველზე შეკრებილი საზოგადოება ტაშით ხვდება ამ განცხადებას და ასევე ტაშის აკომპანემენტით ისმენს თვითეული ჩვენგანის სახელსა და გვარს.

ბატონი გოგა ხაინდრავა მისთვის დამახასიათებელი რიხით კითხულობს თვითეულის გვარსა და სახელს. წაიკითხა 10, 14 და მივიდა ჩემს ნომერთან. სახელი მკაფიოდ წარმოსთქვა, გვარზე კი უნებურად დაბრკოლდა. მელიქი, თქვა მან და გაჩერდა. მერე ფურცელი თვალთან უფრო ახლოს მიიტანა და გვარი სრულყოფილად წარმოთქვა, – მე-ლი-ქი-ძე. მისი ეს დაბრკოლება უცნაურად მენიშნა, რადგან როგორც უფალი ამბობს, შემთხვევითი არაფერია და არც ეს დაბრკოლება იყო შემთხვევითი. ის მელიქი, რომელიც მან პირველად წაიკითხა და შემდეგ მელიქიძე-თი გაასწორა სხვა არაფერია, თუ არა მესხეთის მელიქთა ისტორიული მოდგმა, რომელ მოდგმასაც მელიქის მაღალი სახელისუფლებო წოდება გვარად ექცა და მთელი მისი სანათესაო ხაზი მელიქიძეებად ვიწოდებით. ორატორის ეს უნებლიე წაბორძიკება სხვათათვის, რა თქმა უნდა, გაუგებარი იყო, მაგრამ ჩემთვის ძალიან ნიშანდობლივი და მრავლისმეტყველი გახლდათ, რადგან თითქოს და ერთი შეხედვით უმნიშვნელო წაბორძიკებაში ამ საკითხით გაცნობიერებული ადამიანისათვის დიდი ისტორიული რეალობა გაცოცხლდა და კიდევ ერთხელ ვიგრძენი, რომ ჭეშმარიტად შემთხვევითი არაფერია.



გამომშვიდობების ჟამს გადაღებული უკანასკნელი ფოტო: კახა პატარაშვილი, ჯემალ ვანაძე, გიგა გირკელიძე და გოგიტა მელიქიძე

– ეს ადამიანები – ორატორმა კვლავ გააგრძელა საუბარი – მორჩილებით შეხვდნენ პატრიარქს და ნდობითა და პატივისცემით გაიზიარეს უწმიდესის მოთხოვნა აქციის შეწყვეტის თაობაზე. ეს არ იყო ჩვენთვის ადვილად მისაღები გადაწყვეტილება. მაგრამ მას უყოყმანოდ ვიზიარებთ იმის გამო, რომ ჩვენი ერის სულიერი მამა ასე მოგვიწოდებს. ჩვენ კარგად გვახსოვს, თუ რა მოჰყვა პატრიარქის თხოვნის უგულვებელყოფას 9 აპრილს სწორედ აქ, ამ მოედანზე. 9 აპრილი აღარ უნდა განმეორდეს, ქართველის სისხლი აღარ უნდა დაიღვაროს. ჩვენ სხვა გზით და სხვა მეთოდებით უნდა გავაგრძელოთ ბრძოლა.

ორატორი აქ კიდევ სხვა, კონკრეტულ საქმეებზე საუბრობდა, მაგრამ მის სიტყვებს უკვე ვეღარ ვისმენდი, რადგან აღარ შემეძლო იმის ყურება, თუ როგორ დაიწყებოდა ჩვენი კარვების დაშლა. სწორედ ახლა ვიგრძენი, თუ როგორ შემყვარებია ჩვენი კარვების ქალაქი და ის ბიჭები, რომლებიც ჩემთან ერთად იყვნენ ჩართული სიმართლისათვის ბრძოლაში და ჩემთან ერთად იზიარებდნენ სიკვდილ-სიცოცხლის ესოდენ მკაცრი ბრძოლის პირობებს. მათი საკონტაქტო ტელეფონები აჩქარებით ჩავიწერე. ასევე აჩქარებით გადავიღე მათთან ერთად რამდენიმე სამახსოვრო სურათი. ჩამოვხსენი პატრიარქის მიერ ნაჩუქარი ღვთისმშობლისა და წმიდა გიორგის ხატები. წამოვკრიფე ხელნაწერები. დავემშვიდობე თვალზე ცრემლმომდგარ ბიჭებს და წამოვედი. კარვების ქალაქთან მოჯარული ხალხი კვლავ ტაშს უკრავდა. მაგრამ მათი რიგები ისე თავდახრილმა გამოვიარე, რომ არავისთვის არ შემიხედავს. მოვდიოდი და მათი მქუხარე ტაში მომაცილებდა. ეს ტაში არა მარტო მე, არამედ აქციის ყველა მონაწილეს ეკუთვნოდა. უფრო მეტიც, ეს ტაში მთელ საქართველოს ეკუთვნოდა; მშვიდობისმოყვარე, სიმართლისათვის

მებრძოლი, პატრიარქის მორჩილი მთელი საქართველო იყო ობიექტი ამ ტაშისა, რომლის გრიალი ისმოდა არა მხოლოდ დედაქალაქის დედაქუჩაზე, არამედ ყველგან, სადაც საქართველოა; სადაც ქართველთა მშვიდობისა და სამართლიანობისმოყვარე ბუნებაა; სადაც სიცრუესთან შეურიგებელი ბრძოლა და სადაც სულიერი მწყემსის მიმართ მორჩილებაა, – როგორც წესი ჩვენი ქრისტიანული ეთიკისა.

ბოლოთქმა

საქართველოს პარლამენტის წინ შიმშილობის საპროტესტო, პოლიტიკური აქცია, რომლის შესახებაც წიგნში არის მოთხრობილი, 2008 წლის მარტში მიმდინარეობდა, რომელიც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უშუალო ჩარევით შეწყდა. მაგრამ არ შემწყდარა და ალბათ არც არასოდეს შეწყდება სამშობლოზე ფიქრი.

და გრძელდება ფიქრი იგი, რამეთუ გრძელდება სიცოცხლე ჩემი.

მარად თქვენი
გოგითა მელიქიძე

სარჩევი:

1. წინათქმა;
2. მსოფლიო სევდის ჭირისუფალი;
3. I დღე;
4. II დღე;
5. III დღე;
6. IV დღე;
7. V დღე;
8. VI დღე;
9. VII დღე;
10. VIII დღე;
11. ბოლოთქმა.

რედაქტორი: თამარ შაიშმელაშვილი
კომპიუტერული უზრუნველყოფა: ქართლოს სამარგულიანი
მზია დემეტრაშვილი

გ ი ხ ა რ ო დ ე ნ
(უფლისა და სამშობლოს სიყვარულისთვის მსჯავრდებულის სასამართლო მიმართვა)

სასამართლო დარბაზში წარმოდგენილია ჩემი დასჯის მოსურნე, მოსარჩელე მხარე, _ იელოველთა სექტის წარმომადგენლობა, რომელთა წევრებს ქრისტესმიერი კაცთმოყვარეობით მივმართა:

1. გიხაროდენ, ბატონებო, გიხაროდენ, რამე თუ მე თქვენს წინაშე რკინის გალიაში დამწყვდეული ვარ. ჩემს წინააღმდეგ აღძრული თქვენი საჩივრების მიზანი მიღწეულია, _ მე პატიმრობაში ვიმყოფები;

2. გიხაროდენ, რამეთუ თქვენ არამხოლოდ შორეულ უცხოეთში, არამედ უკვე ჩვენშიც იმდენად მომძლავრდით, რომ სწორედ თქვენ შესძელით ჩემს ქვეყანაში, ჩემი მშობლიური რწმენისთვის დაგეპატიმრებინეთ;

3. გიხაროდენ, რამეთუ სასამართლოს დარბაზში ადამიანები რომ ტირიან, ისინი ჩემი თქვენს მიერ პროვოცირებული დაპატიმრებით ატირებული ახლობლები არიან;

4. გიხაროდენ, რამეთუ ზამთრის ამ მკაცრ სიცივეში, ციხის კართან თვალცრემლიანი ქალი, ამანათით ხელში რომ დგას, იგი ჩემი მეუღლეა, რომელიც ამ პატიმრობით არანაკლებ არის დასჯილი;

5. გიხაროდენ, რამეთუ თმაჭაღარა ქალმა, გაჭირვების გამო ლომბარდში ჩემი ქორწინების ბეჭედი რომ მიიტანა, იგი დედაა ჩემი ოჯახისა;

6. გიხაროდენ, რამეთუ ელიავას ბაზრობასთან სამუშაოს მაძიებელთა შორის, სიცივით მოზუზული ასაკოვანი კაცი რომ დგას, იგი მამაა ჩემი ოჯახისა, რომელიც მეორე ჯგუფის ინვალიდია. მაგრამ, მიუხედავად ამისა მაინც მოთმინებით ელის იაფი მუშის დამქირავებელს, რათა მცირედით მაინც შეეწიოს ჩემი პატიმრობით გამწარებულ ოჯახს;

7. გიხაროდენ, რამეთუ მამის სასამართლო პროცესზე, ალგეთის მგლის ლეკვებივით თვალებგაფართოებული ცხრა და რვა წლის ბიჭები რომ დგანან, ისინი ჩემი შვილები არიან;

8. გიხაროდენ, რამეთუ ქალაქის ცენტრალურ პროსპექტზე უამრავი ხალხი მდუმარე მსვლელობით საპროტესტო მარშს რომ მართავს, ის ჩემი დაპატიმრებით შეწუხებული საზოგადოებაა;

9. გიხაროდენ, რამეთუ ზამთრის სიცივეში პროკურატურის შენობასთან შეკრებილი მომიტინგეები ხმამაღლა რომ სკანდირებენ: «თავისუფლება უდანაშაულო პატიმარს!», «სამართალი უსამართლოდ დასჯილს!», «ხალხის მხარდაჭერა უფლის

სიყვარულისთვის დასჯილს!» და სხვა ამის მსგავსი შემახილები, არის საპროტესტო ხმა ჩემი დაპატიმრებით შეწუხებული ხალხისა;

10. გიხაროდენ, კიდეც სხვა მრავალი მიზეზის გამო, რამეთუ ჩემს მიმართ გაჩაღებულმა «სამართლებრივმა» დევნამ თავისი ნაყოფი გამოიღო. - ბევრი ადამიანი გაამწარა, უამრავს გული დაწვიტა და კიდეც უფრო მეტი საკმაოდ სამართლიანად აღაშფოთა;

11. გიხაროდენ, რამეთუ ციხის ბნელ საკანში, რკინის ტლანქი გისოსებით გადარაზული სარკმლისაკენ ხელაპყრობილი პატიმარი კვლავაც თქვენი გადარჩენისათვის მლოცველია;

12. გიხაროდენ, რამეთუ ნამარხულები, ნაშიშშილები და საპყრობილის საშინელი ყოფით ნატანჯი სხეულიდან ამოვარდნილი ლოცვა – სავედრებელია თქვენდამი შენდობისა;

13. გიხაროდენ და კვლავაც გიხაროდენ, რამეთუ უამრავი მიზეზისა და გამო თქვენს მიმართ ჩემი გაბოროტება ბოლომდე ჩაკლულია, მაგრამ არ არის ჩაკლული და ღმერთმა არც არასდროს ჩაკლას მხურვალემა უფლის გულწრფელი სიყვარულისა და ძალა მისი მართლად მადიდებლობისა, რომლის ძირეულ პრინციპებს: კაცთმოყვარეობა, ღმობიერება და სარწმუნოებრივი შემწყნარებლობა წარმოადგენს. ეს ყოველივე ჩემთვის არა მხოლოდ თეოლოგიური პრინციპებია, არამედ ცხოვრების მშობლიური წესი, აზროვნების ტრადიციული სტილი და ადამინებთან ურთიერთობის მარად უღალატო ბუნებაა.

მაგრამ ვინახართ თქვენ – იაღოვას მოწმეებად სახელდებულ სექტის წევრებო? რას ემსახურებით? ვის ინტერესებს იცავთ? რა სამართლებრივი დევნა წამოიწყეთ? რისთვის მტანჯავთ მე და რას ერჩით ამ ხალხს, რომელთა სულში უფლის ორიათასწლოვანი სიყვარული ანთია?

*უფლის მართლად მადიდებელი
გიორგი – გოგიტა მელიქიძე*

P.S. ჭეშმარიტად, - «ნეტარ არიან სიმართლისათვის დევნილნი!» მაგრამ ჩვენ...? სად არის ჩვენი ნეტარება, როდესაც ჩვენს გვერდით მართალი კაცი ისჯება? რატომ ვდუმვართ, როდესაც მწვალებლური სექტის წარმომადგენლები უფლის მოყვარულ კაცს სჯიან? რას ვფიქრობთ, როდესაც ჩვენი ტრადიციული და მშობლიური სარწმუნოებისათვის ჟურნალისტს ციხეში სვამენ? სადა ვართ ჩვენ, როდესაც ჩვენს ქრისტიანულ სულს აპატიმრებენ? რატომ ვუცქერთ შორიდან ჩვენი ეროვნული აზროვნებისათვის ბორკილების დადებას? რატომ ვრჩებით გულგრილი, როდესაც ჩვენს ქართულ მეობას ციხითა და ტუსალობით თრგუნავენ? რატომ არ ვიცავთ ჩვენს მამა-პაპათა სისხლით განბანილ რწმენას? რატომ ვართ ასეთი ზედაპირულები და რატომ გვაკლია წინაპართა ჩვენთა სარწმუნოებრივი კულტურა? რატომ არა ვართ ერთგულები ჩვენი სამშობლო-ქვეყნის ინტერესებისა? რატომ დუმს ჩვენი პიროვნული ღირსება და რატომ პასიურობს ჩვენი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა? რატომ ვერ ვხედავთ საკუთარ თავს, მაშინ როდესაც უფალი ყველგანა და ყოველთვის გვხედავს? გვხედავს უფალი სუყველას ერთად და

თვითეულს ცალ_ცალკე; გვხედავს თუ როგორ ვუხსნით გზას ჩვენი უმოქმედობით ჩვენი ქვეყნისა და ხალხისთვის მავნებლური იდეოლოგიის გავრცელებას!

შეურაცხყოფენ ჩვენს უფალს, ჩვენ კი ამას საკუთარი პასიურობითა და უდრტვინველობით ვახალისებთ. ცხოვრების ქართულ წესს გმობენ და ჩვენ კი მათ არ ვგმობთ! ღირსებითა და სიწმინდით აღსავსე ჩვენს წარსულს უარყოფენ და ჩვენ კი მათ არ უარვყოფთ!

სამშობლო გვიყვარს, მაგრამ სამშობლოს სიყვარულისათვის დასჯილ მოყვარეს გული არ ვუჩვენეთ და მის დასაცავად არაფერი გავაკეთეთ! სიმართლესა და სამართლიანობას ვესწრაფვით, ადამიანის უსამართლო დასჯას კი უსიტყვოდ შევეგუეთ! სიკეთეს ველით, მაგრამ კეთილ საქმეში ჩვენ ადგილს არ ვებძებთ! ღირსეული ადამიანები გვინდა ვიყოთ, მაგრამ უღირსობის წინააღმდეგ ხმის ამოდებაც კი არ გვინდა! თავისით არაფერი ხდება, ჩვენ კი არაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ სიკეთე გვეყოს!

ღვთივსათნო სიკეთის ქმნისა და ღირსეული საქმის კეთებისათვის დღისა თუ ღამის ნებისმიერ დროს შეგიძლია დაუკავშირდე საზოგადოებრივ ცენტრს: 8(99) 79 75 50; 8(77) 79-75-50; 8(24) 17 71 70.